ᲜᲘᲜᲝ ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲐᲢᲘ ᲭᲣᲚᲐᲧᲘᲫᲔ
ᲛᲐᲘᲐ ᲝᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ
ᲘᲐ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ



5

# ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

## მასწავლებლის წიგნი

„კლიო“
„წყაროსთვალი“

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ნინო ქუმსიშვილი
მაია ოთიაშვილი
რატი ჯულაყიძე
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

# მუსიკა

## მასწავლებლის წიგნი

## V კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

„წყაროსთვალი“

გამომცემლობა „კლიო“

**ნინო ქუმსიშვილი** **მაია ოთიაშვილი**
**რატი ჯულაყიძე** **ირინე მიქაძე**
**ია გაბუნია**

# მუსიკა, V კლასი

მასწავლებლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი:
**ირინე მიქაძე, მარინე დაფქვიაშვილი**

ლიტერატურული რედაქტორი:
**თამარ გუჯაბიძე, თეა პიტიურიშვილი**

სანოტო ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**მიხეილ ვაწაძე, სოფო საღარაძე**

ელექტრონული რესურსის უზრუნველყოფა,
ფონოგრამები და LMMS-ის აქტივობები – **მიხეილ ვაწაძე**

დიზაინი და მხატვრობა: **ელენე ვარამაშვილი, ია გაბუნია**

© „წყაროსთვალი“, 2018
© მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია, 2018

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-23-9

შპს **„გამომცემლობა კლიო“**
ალმაშენებლის გამზ. 181-2, თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234.04.30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

**„წყაროსთვალი“**
გარე კახეთის 4, თბილისი, 0144
მობ.: 599 76.10.39
E-mail: tskarostvali@gmail.com
www.tskarostvali.ge

## სარჩევი

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია.................................................. 4
2. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ.................................................. 5
3. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ........................ 6
4. შესავალი. მიზანი. სტრატეგია .................................................. 11
5. V კლასის თემებისა და აქტივობების მეთოდური რეკომენდაციები........................ 13
6. რეკომენდებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები..... 15
7. გაკვეთილების სანიმუშო სცენარები.................................................. 18
8. V კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები ...................... 98
9. სანოტო დანართი .................................................. 100
10. პროგრამა LMMS-ის მოხმარების ინსტრუქცია.................................................. 143
11. Audacity-ს მოხმარების წესები..................................................151
12. აუდიო და ვიდეო მასალის სია .................................................. 155
13. ლექსიკონი .................................................. 159
14. გამოყენებული ლიტერატურა:.................................................. 164

**საავტორო ჯგუფის მიერ შესრულებული თემები**

**ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე:**

1. ზღაპრული სამყარო მუსიკაში
2. მუსიკის როლი მუნჯ კინოში
3. მუსიკა პანტომიმის თეატრში
4. სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები

რიტმულ-ინტონაციური აქტივობები

**მაია ოთიაშვილი; ირინე მიქაძე; ია გაბუნია**

1. მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები
2. მუსიკა დრამატულ თეატრში

მუსიკის სახელმძღვანელოების სერია სწავლების დაწყებითი საფეხურისათვის (V–VI კლასები) ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სახელმძღვანელოს კონცეფციის ერთ-ერთი მიზანია, მოსწავლეებში მუსიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მსჯელობის, აზრის გამოთქმისა და ინტერპრეტირების უნარების განვითარება.

უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას, რაც ქმნის გენეტიკური კოდის გახსნისა და, ამ გზით, მუსიკალური უნარების განვითარების შესაძლებლობას. სახელმძღვანელოების სერია ხელს შეუწყობს საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებული მოქალაქის ჩამოყალიბებას, ამიტომაც დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორისა და პროფესიული მუსიკის გაცნობას.

მოსწავლისათვის მყარი და დინამიკური ცოდნის მისაცემად, სერია ირჩევს გაღრმავებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივ და მრავალმხრივ მიწოდებას. ინფორმაციული მარცვალი ჩადებულია პირველივე სასწავლო წლის მასალაში, მომდევნო კლასებში კი იგი ღვივდება, ვითარდება და მდიდრდება. საწყის ეტაპზე ბავშვები იწყებენ ინტონაციების, მოტივების, შემდეგ კი ფრაზების, მუსიკალური წინადადებისა და თემების, ნაწარმოების მხატვრული შინაარსის ამოცნობას. საბოლოოდ, ეს უნარები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოისმინონ, აღიქვან და გაიაზრონ სხვადასხვა მუსიკალური ჟანრი და ფორმა, იმსჯელონ მუსიკის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, ელექტრონული პროგრამების გამოყენებით თავად შექმნან მარტივი კომპოზიციები.

მუსიკალური ცნებების ცოდნა და ფურცლიდან სიმღერის უნარ-ჩვევა მოსწავლეებს მყარ საფუძველს უქმნის, სწავლების მომდევნო საფეხურზე ცოდნის შევსების და გამყარებისათვის.

წიგნების სერია არ გულისხმობს მუსიკის საგნის პროფესიულ დონეზე სწავლებას. მისი მიზანია, სწავლების პროცესში აქტიურად შეუწყოს ხელი მოზარდის მრავალმხრივ განვითარებას. მუსიკის შინაარსის ამოცნობა და სასიმღერო უნარების ჩამოყალიბება სახელმძღვანელოს ძირითადი კონცეფციაა.

დაწყებითი საფეხურის V-VI კლასში მუსიკის საგნის სასწავლო კომპლექტი შედგება მოსწავლის სახელმძღვანელოს, მასწავლებლის წიგნისა და ელექტრონული რესურსისაგან.

სერიაში შესულია:

1) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მუსიკის სტანდარტისა და გაკვეთილების შესაბამისობის ცხრილი;
2) სცენარები თითოეული გაკვეთილისთვის, რომელთა უმრავლესობა რამდენიმე 5-10-15-წუთიან აქტივობას მოიცავს. აქტივობები ეყრდნობა მუსიკის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს. ყოველი აქტივობის ბოლოს მიღებული ცოდნისა და უნარების გენერალიზების მიზნით, მოსწავლეები ასრულებენ შემაჯამებელ სამუშაოს. სახელმძღვანელო ეხმარება პედაგოგს, ჩაატაროს მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო გაკვეთილები;
3) სანოტო მასალის დანართი, სადაც თავმოყრილია იმ სიმღერების ვარიანტები, რომელთა შესწავლასაც მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს სხვადასხვა გაკვეთილზე;
4) ელექტრონული პროგრამა LMMS-ის და Audacity-ს მოხმარების ინსტრუქცია;
5) დამოწმებული ლიტერატურა.

**დაწყებით საფეხურზე, V-VI კალსის მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნებში მოცემულია რუბრიკა „თავისუფალი აქტივობები“, რომლებიც მასწავლებელს მრავალფეროვანი გაკვეთილის ჩატარების, მოსწავლეებს კი თანმიმდევრული ცოდნის მიღებისა და სასიმღერო უნარების განვითარების საშუალებას მისცემს.მოცემულ აქტივობებს არა აქვს სავალდებულო ხასიათი. მასწავლებელი, კლასის მზაობიდან გამომდინარე, თავად გადაწყვეტს, შეასრულებს თუ არა მას.**

თითოეული გაკვეთილი მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ აქტივობას: სიმღერას, მოსმენას, ჩაწერას, რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. წიგნში ჩართულია ინტონაციური სავარჯიშო-გამღერებები, რომლებიც ბავშვს უვითარებს სასიმღერო უნარებს, გამოუმუშავებს მარტივი საგუნდო პარტიის ამოკითხვის ჩვევას, ქმნის პოზიტიურ განწყობასა და ამზადებს კლასს მუსიკის მოსასმენად.

დროდადრო წიგნში ჩართულია აქტივობა, რომელიც ბავშვს ასწავლის მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ვიზუალური სახე-ხატების ამოკითხვასა და მათ გადმოტანას ფურცელზე ნიშნებით ან სიმბოლოებით, ე. წ. პიქტოგრამებით. ხშირად, ეს ნიშნები საკმაოდ მარტივია – მთავარია, მოსწავლემ რაღაც ხერხით გამოსახოს წარმოდგენილი მუსიკალური ფრაგმენტი და გაუჩნდეს გარკვეული დამოკიდებულება კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოებისადმი.

წიგნში წარმოდგენილი გაკვეთილის სცენარები მხოლოდ საორიენტაციოა და არა სავალდებულო. პედაგოგს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მეთოდი ან აქტივობა. მან უნდა გადაწყვიტოს, სწავლების რა მიმართულებას აირჩევს – მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობს სიმღერას თუ გასართობ-შემეცნებით აქტივობებზე გააკეთებს აქცენტს. მთავარია, მოსწავლეს განუვითარდეს მუსიკის შინაარსის ამოცნობის უნარი.

სახელმძღვანელოში მოცემული მუსიკალური ცნებებისა და განმარტებების მნიშვნელობას მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს. პედაგოგი არ აიძულებს მას რისამე დასწავლას, დაზეპირებას.

## 3 სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

* თითოეულ საკითხს ეთმობა 1 ან 2 აკადემიური საათი.

| | | რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში | | | მუსიკა და ჩვენი ყოფა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზღაპრული სამყარო მუსიკაში | | | მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები | | |
| | | როგორ იქმნება ზღაპრული სახეები მუსიკაში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ იყენებენ კილის არამყარ საფეხურებს მუსიკაში ზღაპრული სახეების გადმოსაცემად? მუს.დაწყ. (II, 2; | როგორ ჩავწეროთ მუსიკალური მელოდია, რომელიც ქრომატიულ სვლაზეა აგებული? მუს.დაწყ.(II).3. | რა მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ თანხლებას კომპიუტერულ პროგრამებში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ შევადგინოთ ტრეკერი რომელიმე კომპიუტერული თამაშისთვის? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ ჩავწეროთ და დავიმახსოვროთ ტრეკერი? მუს.დაწყ.(II).3. |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | იყო და არა იყო რა... | X | | | | | |
| 2-3 | მუხა | X | | | | | |
| 4 | მუჭანახევარა | X | | | | | |
| 5 | გუთნისდედა და სოვდაგარი | X | | | | | |
| 6 | გედების ტბა | X | X | | | | |
| 7 | ფასკუნჯი | X | X | | | | |
| 8 | მწყემსი და ჯუჯები | X | | | | | |
| 9 | ზღაპარი | X | X | | | | |
| 10 | კუდიანი დედაბერი | X | X | | | | |
| 11 | სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“ | X | X | | | | |
| 12-13 | კიკიმორა | X | X | X | | | |
| 14 | ზამთრის ფერია | X | X | X | | | |
| 15-16 | ზღაპრის გმირები დღესასწაულზე | | | X | | | |
| 17 | წელიწადის დრონი | | | X | | | |
| 18-19 | ჰენზელი და გრეტელი | X | X | X | | | |
| 20 | ჯადოსნური ფლეიტა | X | | | | | |
| 21 | ვაშლის გულში | X | | | | | |
| 22 | მძინარე მზეთუნახავი | X | | | | | |
| 23 | ამოიცანი მოტივი | | | X | | | |
| 24 | დედა ბატის ზღაპრები | X | X | X | | | |
| 25 | მზეთუნახავი და ურჩხული | X | X | X | | | |
| 26 | ზღაპრული თუ ყოფითი? | | X | | | | |
| 27 | გამოიცანი ინტონაცია | X | X | X | | | |
| 28-29 | საახალწლო ზღაპარი | X | X | X | | | |

| მუსიკა და კინო | | | მუსიკა და თეატრი | | | | | | ეთნოგრაფია და მუსიკა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მუსიკის როლი მუნჯ კინოში** | | | **მუსიკა დრამატულ თეატრში** | | | **მუსიკა პანტომიმის თეატრში** | | | **სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები** | |
| რა როლი ენიჭება მუსიკალურ თანხლებას მუნჯ კინოში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ შევადგინოთ მუსიკალური თანხლება მუნჯი კინოს ეპიზოდისთვის? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ ჩავწეროთ მუსიკალური თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | როგორ ჩანს სპექტაკლის მუსიკაში რეჟისორის ჩანაფიქრი? მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7; | რა პრინციპით შევურჩიოთ სპექტაკლს მუსიკალური თანხლება? მუს. დაწყ.(II).1, 2; | რა სიმბოლოებით აღვნიშნოთ თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | როგორ უკავშირდება ერთმანეთს ჟესტი და მუსიკა პანტომიმაში? მუს. დაწყ.(II). 4,5,6,7; | როგორ შევურჩიოთ მიმიკურ ეტიუდს მუსიკალური თანხლება, რომელიც მაყურებელს დაეხმარება იმის დანახვაში, რაც არ ჩანს? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ შეიძლება ჩაიწეროს მიმიკური ეტიუდის მუსიკალური თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | რა ხასიათს სძენს ინსტრუმენტები ხალხურ მუსიკას? მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7; | როგორ შეიძლება გამოიყენოს კომპოზიტორმა სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ინსტრუმენტი? მუს. დაწყ.(II). 4,5,6,7; |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

| | | რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში | | | მუსიკა და ჩვენი ყოფა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზღაპრული სამყარო მუსიკაში | | | მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები | | |
| | | როგორ იქმნება ზღაპრული სახეები მუსიკაში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ იყენებენ კილოს არამყარ საფეხურებს მუსიკაში ზღაპრული სახეების გადმოსაცემად? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ ჩავწეროთ მუსიკალური მელოდია, რომელიც ქრომატულ სვლაზეა აგებული? მუს.დაწყ.(II).3. | რა მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ თანხლებას კომპიუტერულ პროგრამებში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ შევადგინოთ ტრეკერი რომელიმე კომპიუტერული თამაშისთვის? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ ჩავწეროთ და დავიმახსოვროთ ტრეკერი? მუს.დაწყ.(II).3. |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 30-31 | ტექნიკური ხმები -1 | | | | X | X | X |
| 32-33 | ტექნიკური ხმები -2 | | | | X | X | X |
| 34-35 | ლუპი და პატერნი | | | | X | X | X |
| 36-37 | ინტერვიუ დიჯეისთან | | | | X | X | X |
| 38-39 | როგორ შევადგინოთ ლუპი? | | | | X | X | X |
| 40 | ღიმილი | | | | | | |
| 41 | დიდი ქალაქის ჩირაღდნები | | | | | | |
| 42 | დახატე მუსიკალური თანხლება | | | | | | |
| 43 | ქრონომეტრაჟი | | | | | | |
| 44-45 | გაახმოვანე კადრები | | | | | | |
| 46 | ვარიაცია | | | | | | |
| 47 | თეატრი | | | | | | |
| 48-49 | პერ გიუნტი | | | | | | |
| 50-51 | ჭინჭრაქა | | | | | | |
| 52-53 | სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან | | | | | | |
| 54 | პანტომიმა | | | | | | |
| 55 | ასოციაცია თუ კონტრასტი? | | | | | | |
| 56-57 | სკეტჩი | | | | | | |
| 58 | დირიჟორი და საკრავები | | | | | | |
| 59 | ქართული ხალხური საკრავები | | | | | | |
| 60 | ქართული ხალხური საკრავები (შემაჯ.) | | | | | | |
| 61-62 | სხვადასხვა ქვეყნის საკრავები | | | | | | |
| 63 | სხვადასხვა ქვეყნის საკრავები (შემაჯ.) | | | | | | |
| 64 | ალპური საყვირი და ბანჯო | | | | | | |
| 65-66 | ინდური და ჩინური საკრავები | | | | | | |
| 67 | შემაჯამებელი გაკვეთილი | | | | | | |
| 68 | მარაკასი, გიტარა და კასტანეტები | | | | | | |

| მუსიკა და კინო | | | მუსიკა და თეატრი | | | | | | ეთნოგრაფია და მუსიკა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მუსიკის როლი მუნჯ კინოში** | | | **მუსიკა დრამატულ თეატრში** | | | **მუსიკა პანტომიმის თეატრში** | | | **სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები** | |
| რა როლი ენიჭება მუსიკალურ თანხლებას მუნჯ კინოში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7; | როგორ შევადგინოთ მუსიკალური თანხლება მუნჯი კინოს ეპიზოდისთვის? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ ჩავწეროთ მუსიკალური თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | როგორ ჩანს სპექტაკლის მუსიკაში რეჟისორის ჩანაფიქრი? მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7; | რა პრინციპით შევურჩიოთ სპექტაკლს მუსიკალური თანხლება? მუს. დაწყ.(II).1, 2; | რა სიმბოლოებით აღვნიშნოთ თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | როგორ უკავშირდება ერთმანეთს ჟესტი და მუსიკა პანტომიმაში? მუს. დაწყ.(II). 4,5,6,7; | როგორ შევურჩიოთ მიმიკურ ეტიუდს მუსიკალური თანხლება, რომელიც მაყურებელს დაეხმარება იმის დანახვაში, რაც არ ჩანს? მუს.დაწყ.(II).1, 2; | როგორ შეიძლება ჩაიწეროს მიმიკური ეტიუდის მუსიკალური თანხლება? მუს.დაწყ.(II).3. | რა ხასიათს სძენს ინსტრუმენტები ხალხურ მუსიკას? მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7; | როგორ შეიძლება გამოიყენოს კომპოზიტორმა სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ინსტრუმენტი? მუს. დაწყ.(II). 4,5,6,7; |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| X | | | | | | | | | | |
| X | | | | | | | | | | |
| X | X | X | | | | | | | | |
| | X | | | | | | | | | |
| | X | | | | | | | | | |
| X | X | | | | | | | | | |
| | | | X | X | X | | | | | |
| | | | X | X | X | | | | | |
| | | | X | X | X | | | | | |
| | | | X | X | X | | | | | |
| | | | | | | X | | | | |
| | | | | | | X | | | | |
| | | | | | | X | | | | |
| | | | | | | X | X | X | | |
| | | | | | | | | | X | |
| | | | | | | | | | X | |
| | | | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | X |
| | | | | | | | | | | X |

## ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(II).1.:**

**„მუს."** – მიუთითებს მუსიკის საგანს;
**„დაწყ."** – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
**„(II)"** – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
**„1"** – **„1" -** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| მუსიკის სტანდარტი (V-VI კლასები) | |
|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა** |
| | **სტანდარტის შედეგები**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| **მუს.დაწყ.(II).1.** | საიმიჯო მუსიკალური კომპოზიციის (რეკლამის, მუსიკალური ლოგოტიპის) შექმნა; |
| **მუს.დაწყ.(II).2.** | ბგერის, ხმის, ხმაურის, მღერისა და მარტივი მუსიკალური გამომსახველობითი ხერხების მეშვეობით რეალური და წარმოსახვითი სამყაროს ასახვა; |
| **მუს.დაწყ.(II).3.** | ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად ტრადიციული სანოტო ან არატრადიციული სიმბოლოების სისტემების გამოყენება. |
| | **2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია** |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| **მუს.დაწყ.(II).4.** | ხმოვანი გზავნილის ემოციურ-შინაარსობრივი დატვირთვის შეგრძნება და რეალურ თუ წარმოსახვით სამყაროსთან ასოციაციურ კავშირების გაბმა; |
| **მუს.დაწყ.(II).5.** | დრამისა და მუსიკის ელემენტების ურთიერთკავშირების ამოცნობა; |
| **მუს.დაწყ.(II).6.** | ტრადიციული თუ არატრადიციული სიმბოლოების სისტემებით ჩაწერილი ხმოვანი გზავნილის ამოცნობა; |
| **მუს.დაწყ.(II).7.** | საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ენის ელემენტების განსხვავება. |

## მიზანი

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებას, ასევე, მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში, ეროვნული მუსიკალური საგანძურის ადგილის გააზრებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეებს საინტერესოდ მიეწოდება მასალა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით კი ეტაპობრივად ვითარდება მათი შემოქმედებითი უნარები.

სახელმძღვანელოს მიზანია, შეაყვაროს ბავშვს მუსიკალური ხელოვნება, აღზარდოს კულტურული მსმენელი, მისცეს მიმართულება ნიჭიერ მოსწავლეებს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.

სწავლების საწყის ეტაპზე, სასურველია, მუსიკალური უნარების განვითარება სიმღერასთან მჭიდრო კავშირით წარიმართოს, რასაც წინამდებარე სახელმძღვანელო ითვალისწინებს. სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის საგანგებოდ არის შერჩეული სასიმღერო რეპერტუარის თემატიკა და დიაპაზონი. მუსიკალური ლიტერატურის მოსასმენი მასალა შეესაბამება მოსწავლის ასაკს.

V-VI კლასებში შემავალი თემები საინტერესოდ არის გაშლილი სახელმძღვანელოში. მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობას შეასრულებენ კომპიუტერული პროგრამების – LMMS-ის და Audacity-ს გამოყენებით და აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში.

სანოტო დამწერლობის ეტაპობრივად შესწავლა განაპირობებს როგორც მოსწავლის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას, ისე შემდგომში, მუსიკალური დამწერლობის, როგორც საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალების, დაუფლებას.

უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლაში მუსიკის გაკვეთილები და წინამდებარე სახელმძღვანელო ემსახურება, ყმაწვილებში მუსიკის მოსმენისა და შინაარსის წვდომის უნარის ჩვევის გამომუშავებას. ბავშვები, მუსიკალური ინტონაციების ამოცნობისა და წარმოსახვის უნარების განვითარების შედეგად, შეძლებენ ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსის გააზრებას და მსოფლიო მუსიკალური საგანძურის სწორად შეფასებასა და დაფასებას.

## სტრატეგია

დაწყებით საფეხურზე სწავლების სტრატეგია რამდენიმე მეთოდს ეყრდნობა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლების სპირალური მეთოდია: ყოველ ეტაპზე წინასწარ მზადდება საფუძველი ახალი ინფორმაციის მისაღებად, ძველ ცოდნაზე ახლის დასაშენებლად, თანდათან ხდება შესაბამისი უნარების განვითარებაც.

მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განმარტებები, მათი მნიშვნელობის დამახსოვრების გაადვილების მიზნით, მოსწავლეებს პრაქტიკული ნიმუშების მაგალითზე მიეწოდება.

გათვალისწინებულია სხვა დისციპლინებთან ინტეგრირებული გაკვეთილებიც, მაგალითად, უცხოენოვანი სიმღერების შესწავლისას – უხო ენასთან, ხოლო კომპიუტერული პროგრამების გამოყენებისას – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანთან.

შემოთავაზებული სცენარები აგებულია სწავლების ინტერაქტიურ მეთოდზე, რის შედეგადაც, გაკვეთილის მსვლელობისას, თითოეული მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სწავლის პროცესში.

სახელმძღვანელოს ერთვის ინოვაციური ელექტრონული პროგრამა, რომლის მიზანია, მოსწავლე მუდმივად იყოს ჩართული მუსიკის მოსმენის პროცესში და თავად განახორციელოს გარკვეული პრაქტიკული დავალებები, მოსმენილი მუსიკალური მასალა დაუკავშიროს ვიზუალურ გამოსახულებებს, გარკვეულ სიუჟეტს (მოთხრობა, ზღაპარი, ფილმი, ოპერა, ბალეტი, თეატრი) და ამ გზით მუსიკაში სხვადასხვა სახე-ხატის ამოცნობა შეძლოს.

სწავლების სტრატეგია ითვალისწინებს მოსწავლეში წარმოსახვის უნარის განვითარებას. ამიტომაც, სწავლების დაწყებით საფეხურზე, ინოვაციურ ელექტრონულ პროგრამასთან ერთად, უხვადაა გამოყენებული ვიდეო და აუდიო მასალა. ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების ან ფრაგმენტის გრაფიკული გამოსახულების მოსმენილთან მისადაგება, ფრაგმენტების საკუთარი ფანტაზიით, არატრადიციული სისტემით ჩაწერა მოსწავლეებს მუსიკის შინაარსზე დაფიქრებისაკენ უბიძგებს.

წიგნში გათვალისწინებულია მოსწავლეებთან ავტორების მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შეძენილი პედაგოგიური გამოცდილება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული აქტივობა სიმღერაა, ვინაიდან იგი ადამიანებს სოციალიზაციაში ეხმარება. სწორედ ამ უნარის განვითარებისათვის სახელმძღვანელოში თავმოყრილია შესაბამისი დიაპაზონისა და სირთულის სოლო თუ საგუნდო სიმღერების სანოტო ჩანაწერები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეალური და წარმოსახვითი სამყარო მუსიკაში<br>თემა: ზღაპრული სამყარო მუსიკაში | მუსიკა და ჩვენი ყოფა<br>თემა: მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები | მუსიკა და კინო<br>თემა: მუსიკის როლი მუნჯ კინოში | მუსიკა და თეატრი<br>თემა: მუსიკა დრამატულ თეატრში<br>თემა: მუსიკა პანტომიმის თეატრში | ეთნოგრაფია და მუსიკა<br>თემა: სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები |
| ზღაპრული სახეების შექმნა მუსიკაში, გამომსახველობითი ხერხების (ტემპი, რიტმი, გამის ქრომატიული სვლები) გამოყენება და ჩაწერა | თანხლების როლის გან-საზღვრა კომპიუტერულ პროგრამებში, ტრეკების შედგენა, ჩაწერა და დამახსოვრება | მუსიკალური თანხლების როლის განსაზ-ღვრა მუნჯ კინოში, მუსიკალური თანხლების შედ-გენა ფილმის ეპიზოდისათვის და ჩაწერა | მუსიკის საშუალებით რეჟისორის ჩანაფიქრის გადმოცემა, სპექტაკლისათვის თანხლების შერჩევა და ჩაწერა; მიმიკისა და ჟესტის კავშირი, მიმიკურ ეტიუდზე მუსიკალური თანხლების შერჩევა და ჩაწერა | მუსიკალური ინსტრუმენტების როლის განსაზღვრა ხალხურ მუსიკაში, სხვადასხვა ხალხის ინსტრუმენტების გამოყენება კომპოზიტორების მიერ |

სახელმძღვანელო ემყარება ინტეგრირებული სწავლების მეთოდს. ინტეგრირება ხდება მათემატი-კასთან, ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან, უცხო ენებთან, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანთან;

- წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად რჩება მუსიკალური ფრაგმენტების დაკავშირება ნახატებთან, ილუსტრაციებთან , მუსიკალურ ფრაგმენტებში ვიზუალური სახე-ხატების ამოკითხვა. ამ ტიპის აქტივობებში მთავარია მოსწავლის დამოკიდებულება მუსიკალური ფრაგმენტისადმი, მასში გადმოცემული შინაარსისა და განწყობილებისადმი., ინტერპრეტირების კარგ საშუალებას იძლევა თანამედ-როვე ტექნოლოგიების გამოყენება. მოსწავლეები კომპიუტერული პროგრამა Audacity და LMMS გამოყენებით ჩაწერენ წინადადებებს, ტექსტებს, შემდეგ ამ ტექსტებს დაადებენ ხმებს, მუსიკალურ ფრაგმენტებს, ასევე, გაახმოვანებენ კადრებს ანიმაციური ფილმებიდან, მუნჯ კინოში, მოძრავ კადრებს დაადებენ მუსიკალურ ფრაგმენტებს, ჩაწერენ გადაცემის ქუდს, მეხუთე კლასიდან აქტიურად შემოდის ფაზლის ტიპის ნახატების შესაბამისობა მუსიკალურ ფრაგმენტებთან
- საკუთარი დამოკიდებულების, ააზრის ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტირების უნარის განვითარება უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. გამოყენებულია ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, ერთერთია გონებრივი იერიში – ყველა იდეა, მოსაზრება, ინტერპრეტაცია მისაღებია, თუმცა უნდა მოხდეს იდეათა გადაფასება, რანგირება. ამ მეთოდს მოსწავლეები მიმართავენ საკლასო მსჯელობის დროს. იზრდებაკითხვების დასმის როლი, მათი დანიშნულებაა: წინარე ცოდნის გააქტიურება, ცოდნის გამოვლენა და სწორ აზრამდე მიყვანა, დისკუსიებში მნიშვნელოვანია საკუთარი აზრის გამოთქმა, დასაბუთება, ტოლერანტობის გამოხატულება.
- მუსიკის მოსმენის უნარის განვითრებისათვის, თუ საწყის ეტაპზე გამოყენებული იყო პატარა მოტივების მოსმენა, ამოცნობა, ამ მოტივებში წარმოსახვითი, ასოციაციური ტიპის აქტივობების შესრულება, ამ ეტაპზე ხდება მუსიკალური ფრაზების, მელოდიების, თემების,

ფრაგმენტების ამოცნობა და მასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება, მაგალითად, ვიზუალურის მოსმენილთან, მოსმენილის ვიზუალურთან, მუსიკალური ფრაგმენტების მოძრავ ვიზუალურ მასალასთან დაკავშირება ,თუმცა კლებულობს მოძრავი და სტატიკური მასალის გამოყენება,იზრდება წაკითხული ტექსტის, როგორც ინფორმაციის პრაქტიკაში აღქმის დანიშნულება (მოსწავლეები კითხულობენ სიტყვიერ ტექსტს, უსმენენ მუსიკას და მიუსადაგებენ მუსიკალურ ფრაგმენტებს).

- სანოტო დამწერლობის სწავლების მეთოდი რთულდება და მუსიკალური ფრაგმენტების, სახე-ხატების, პიქტოგრამებით ჩაწერასთან ერთად გამოყენებულია ტრადიციული სანოტო დამწერლობა, ხოლო, სანოტო დამწერლობის უკეთ გააზრების მიზნით – პატარა მოტივების შექმნა, მაგალითად, მოსწავლეები სანოტო ნიმუშიდან ირჩევენ მოტივს (ბგერებს) და ქმნიან ახალს. შერჩევა-ამორჩევისა და დაჯგუფება-დახარისხების მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ავითარებს დამოუკიდებელი აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარს;
- სახელმძღვანელოში მოცემული ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრება პრაქტიკული სავარჯიშოებით მიიღება.თუ საწყის ეტაპზე მოსწავლე ცნებებსა ტერმინებს ინტუიციურად აღიქვამს, ამ ეტაპზე მათი აღქმა გაცნობიერებულია. ცნებების პრაქტიკული სწავლების მეთოდი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდია, რაც გულისხმობს ,,კეთებით'', ,,აღმოჩენით'' სწავლას; ამავე მეთოდს ემყარება სახელმძღვანელოში მოცემული მრავალრიცხოვანი პრაქტიკული აქტივობა, მაგალითად, მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტისა და ნამღერის მისადაგება ვიზუალურ მასალასთან, ხმებისა და მუსიკალური ფრაზებისაგან კოლაჟის შექმნა და ა. შ. სახელმძღვანელოში მოცემული გონებრივი, ინტელექტუალური აქტივობები მუსიკის კოგნიტური ფუნქციის ხაზგასმას ემსახურება.

**■■■ საგნის სწავლების პროცესში ფასდება მოსწავლის შემდეგი ცოდნა და უნარები:**

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის (ასევე სიმბოლოების, პიქტოგრამების შემუშავება) ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- წარმოსახვითი და ასოციაციური აზროვნება;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა და მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- პრეზენტაცია;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთება;
- ტოლერანტობა.

**■■■ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი აქტივობებით ფასდება:**

- საკლასო აქტივობებში ჩართულობა;
- ინფორმაციის მიწოდება (მომდევნო კლასებში – მოძიება) გარესამყაროს შესახებ და პრეზენტაციის მომზადება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის (მომდევნო კლასებში ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის), ყოფითი შემთხვევების განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
- დისკუსია (დებატი);

**■■■ ბგერის (ხმების), მოტივის, მელოდიის დაკავშირება ვიზუალურ, რეალურ და წარმოსახვით სამყაროსთან**

| შეფასების კრიტერიუმები | | |
|---|---|---|
| ვიზუალური (სხვადასხვა შინაარსის ნახატი, საგნის კომპოზიცია), რეალური და წარმოსახვითი სამყაროს აღწერა | ხმების, მოტივებისა და მელოდიების შერჩევა (შეთხვზა) | ვიზუალური, რეალური და წარმოსახვითი სამყაროს გახმოვანება მუსიკალური ენის ელემენტებით (რიტმი, მეტრი, მელოდია (მოტივი) ტემპი და ა.შ.) და ხელოვნურად შექმნილი ხმებით |
| 2 ქ | 4 ქ | 4 ქ |

■■■ მოსმენილი კომპოზიციების (პროფესიული და ხალხური მუსიკა, გარესამყაროს ხმები და ხმაბაძვითი გზავნილები) ჩაწერა სიმბოლოებით, პიქტოგრამებით, მუსიკალური დამწერლობის გამოყენებით; შთაბეჭდილებების გადმოცემა ნახატით; მოსმენილი მუსიკალური კომპოზიციებისათვის (ფრაგმენტებისათვის) სხვადასხვა ვიზუალური რიგის (ფაზლის ტიპის ნახატები) მისადაგება

| შეფასების კრიტერიუმები | | |
|---|---|---|
| მოსმენილი კომპოზიციების დახასიათება (შინაარსისა და განწყობის აღწერა)<br>2 ქ | სიმბოლოების, პიქტოგრამების შემუშავება<br>4 ქ | მოსმენილი კომპოზიციების ჩაწერა<br>4 ქ |

## ■■■ მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების განხილვა და საკლასო მსჯელობაში-დისკუსიაში მონაწილეობა

| შეფასების კრიტერიუმები | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის აღწერა | ამბის, მოთხრობის გამოგონება (პროფესიული მუსიკის შემთხვევაში ავტორისეულ ჩანაფიქრთან დაკავშირება) | აქტიური მონაწილეობა | საკუთარი აზრის დასაბუთება | სხვისი აზრის პატივისცემა |

## ■■■ სიმღერის შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება | | ინტონირების სიზუსტე | | გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს), საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება (იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს) | |
| უჭირს სიტყვიერი ან სანოტო ტექსტის დამახსოვრება | სანოტო და სიტყვიერ ტექსტს იოლად იმახსოვრებს | ინტონირებისას უშვებს შეცდომებს | იცავს ინტონირების სიზუსტეს | მღერის ერთფეროვნად | ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით |

## ■■■ რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბგერათრიგის, ინტერვალების, მოტივების სიმღერა | | ინტონირების სიზუსტე, რიტმული ნახაზის სიზუსტე | | იმპროვიზირების უნარი | |
| უჭირს სიმღერა | სწორად მღერის (ნაწილობრივ, სრულად) | უჭირს ინტონირების, რიტმული ნახაზის სიზუსტის დაცვა | იცავს ინტონირების, რიტმული ნახაზის შესრულების სიზუსტეს (ნაწილობრივ, სრულად) | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს | ნაწილორივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს |

### რიტმული ნახაზის შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტმული ნახაზის სიზუსტე 4 ქ | სინქრონულობის დაცვა წყვილში, ჯგუფში შესრულებისას 4 ქ | | რიტმული იმპროვიზირების უნარი 2 ქ | | |
| ნაწილობრივ იცავს 1, 2, ქ | ზუსტად იცავს 3, 4 ქ | უჭირს სინქრონული შესრულება 1, 2 ქ | არ არღვევს სინქრონულობას 3, 4 ქ | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს 0 ქ | ნაწილობრივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს 1, 2 ქ |

### საპრეზენტაციო უნარები: მოხსენება – რეფერატი

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კონტაქტი აუდიტორიასთან 4 ქ | | ინფორმაციის მოძიება (ნასწავლი ცნებებისა და ტერმინების ცოდნა) 4 ქ | | თვალსაჩინოებების და ტექნიკური საშუალებების (თანამედროვე ტექნოლოგიები) გამოყენება 2 ქ | | კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა 2 ქ | |
| სათქმელი ნაკლებად გასაგებია 1, 2 ქ | სათქმელი ნათლად და გასაგებად არის გადმოცემული 3, 4 ქ | მოძიებული ინფორმაცია არასაკმარისია 1, 2 ქ | ინფორმაცია საინტერესო და ამომწურავია 3, 4 ქ | გამოყენებული რესურსი არასაკმარისია 1 ქ | გამოყენებული რესურსი საინტერესო და ამომწურავია 2 ქ | პასუხები არაადეკვატურია 0 ქ | პასუხები ამომწურავია 1, 2 ქ |

### სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაო

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზებულობა | | ტექნიკის (ხმის, სხეულის მოძრაობის, მიმიკის და ა. შ.) და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (რიტმის, მეტრის, მელოდიის, რეგისტრის და ა. შ.) ფლობა, პრაქტიკული გამოყენების უნარი 4 ქ | | შემოქმედებითობა: ტექნიკის,მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების, იმპროვიზირების ეფექტური გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად 4 ქ | |
| ნაკლებად არის ჩართული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში 1 ქ | აქტიური და ორგანიზებულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში 1 ქ | ნაწილობრივ ავლენს პრაქტიკულ უნარებს 1, 2 ქ | კარგად ავლენს პრაქტიკულ უნარებს 3, 4 ქ | ნაწილობრივ ავლენს შემოქმედებით უნარებს 1, 2 ქ | კარგად ავლენს შემოქმედებით უნარებს 3, 4 ქ |

### თვითშეფასების რუბრიკა

| რა ისწავლე | რა იცი | რა გინდა, რომ უკეთ იცოდე |
|---|---|---|
| თემების ან პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი | | |

## სარჩევი

**ზღაპრული სამყარო მუსიკაში**

1. იყო და არა იყო რა... 19
2-3. მუხა 21
4. მუჭანახევარა 22
5. გუთნისდედა და სოვდაგარი 25
6. გედების ტბა 27
7. ფასკუნჯი 29
8. მწყემსი და ჯუჯები 31
9. ზღაპარი 33
10. კუდიანი დედაბერი 35
11. სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“ 36
12-13. კიკიმორა 41
14. ზამთრის ფერია 43
15-16. ზღაპრის გმირები დღესასწაულზე 45
17. წელიწადის დრონი 47
18-19. ჰენზელი და გრეტელი 48
20. ჯადოსნური ფლეიტა 50
21. ვაშლის გულში 52
22. მძინარე მზეთუნახავი 54
23. ამოიცანი მოტივი 56
24. დედა ბატის ზღაპრები 58
25. მზეთუნახავი და ურჩხული 59
26. ზღაპრული თუ ყოფითი? 61
27. გამოიცანი ინტონაცია 63
28-29. საახალწლო ზღაპარი – შემაჯამებელი გაკვეთილი 64

**მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები**

30-31. ტექნიკური ხმები – 1 65
32-33. ტექნიკური ხმები – 2 66
34-35. ლუპი და პატერნი 67
36-37. ინტერვიუ დიჯეისთან 69
38-39. როგორ შევადგინოთ ლუპი? 70

**მუსიკის როლი მუნჯ კინოში**

40. ღიმილი 72
41. დიდი ქალაქის ჩირაღდნები 74
42. დახატე მუსიკალური თანხლება 75
43. ქრონომეტრაჟი 76
44-45. გაახმოვანე კადრები – შემაჯამებელი გაკვეთილი 77
46. ვარიაცია 78

**მუსიკა დრამატულ თეატრში**

47. თეატრი 79
48-49. პერ გიუნტი 80
50-51. ჭინჭრაქა 83
52-53. სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან 84

**მუსიკა პანტომიმის თეატრში**

54. პანტომიმა 85
55. ასოციაცია თუ კონტრასტი? 86
56-57. სკეტჩი 87
58. დირიჟორი და საკრავები 88

**ქართული ხალხური საკრავები**

59. ხალხური საკრავები 89
60. ქართული ხალხური საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი 90
61-62. სხვადასხვა ქვეყნის საკრავები 91
63. სხვადასხვა ქვეყნის საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი 93
64. ალპური საყვირი და ბანჯო 93
65-66. ინდური და ჩინური საკრავები 94
67. შემაჯამებელი გაკვეთილი 96
68. მარაკასი, გიტარა და კასტანეტები 97

## რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში
## თემა: ზღაპრული სამყარო მუსიკაში

მოცემულ თემას დაეთმობა 29 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ იქმნება ზღაპრული სახეები მუსიკაში?
- როგორ იყენებენ კილოს არამყარ საფეხურებს მუსიკაში ზღაპრული სახეების გადმოსაცემად?
- როგორ ჩავწეროთ მუსიკალური მელოდია, რომელიც ქრომატულ სვლაზეა აგებული?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3, მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;

**მიზანი:** არსებული მუსიკალური ფრაგმენტებიდან გამომდინარე ქრომატიზმის, მყარი და არამყარი საფეხურების, კონსონანსის და დისონანსის, ინტონაციის, მაჟორული და მინორული კილოს, ალტერაციის ნიშნების გაცნობა-ამოცნობა, გააზრება, შესწავლა, პრაქტიკაში გამოყენება.

## 1 იყო და არა იყო რა...

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?.. ასე იწყება ყველა ქართული ზღაპარი. გადავწყვიტეთ, ჩვენი წიგნიც ასე დაგვეწყო. ბავშვობაც ხომ ზღაპრებით იწყება?!

მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს და გამოიკითხავს მათ საზაფხულო თავგადასავლებს; ესაუბრება იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც მოსწავლეებმა საზაფხულო არდადაგების დროს წაიკითხეს. სავარაუდოდ, ბავშები ჩამოთვლიან შემდეგ ნაწარმოებებს: „ოქროს კომპასი“, „მიო, ჩემო მიო“, „ბიძია სევას ამბები“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“... გაკვეთილზევე იმსჯელებენ, რომელი ნაწარმოების გმირები არიან ზღაპრული პერსონაჟები.

მასწავლებელი დააკავშირებს წამოწყებულ სასაუბრო თემას მუსიკასთან და განუმარტავს კლასს: ლიტერატურულ ნაწარმოებში მწერლები ასოების, სიტყვებისა და წინადადებების მეშვეობით მოგვითხრობენ სხვადასხვა ამბებს, გადმოგვცემენ დადებითი და უარყოფითი გმირების სახეებს, იქნება ეს ზღაპრული თუ ისტორიული, დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟი. მუსიკაში კი კომპოზიტორები მიმართავენ სხვადასხვა მუსიკალურ ხერხებს: მხიარულ მაჟორსა ან სევდიან მინორს; სხვადასხვა ინტონაციასა და მელოდიას, რიტმსა და ტემპს. ასე ქმნიან მუსიკალურ განწყობასა და გმირთა სახეებს. მუსიკას შეუძლია ზღაპრების შესაბამისი გმირის სახე ან ეპიზოდიც ასახოს.

მოსწავლეები მოისმენენ ი. ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომიდან №1 პრელუდიას დო მაჟორი და №2 პრელუდიას დო მინორი. მასწავლებელი სთხოვს, მოსმენილის მიხედვით შეთხზან რაიმე ზღაპარი ან საყვარელი ზღაპარი მოსმენილს მიუსადაგონ.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი გაყოფს კლასს ჯგუფებად, სთხოვს, დააკვირდნენ და გამოსახონ მეტრი და რიტმი. ერთი ჯგუფი გამოსახავს რიტმს, მეორე ჯგუფი – მეტრს.

მოსწავლეები დააკვირდებიან და ამოიცნობენ სხვადასხვა გრძლიობებს.

მთელი გრძლიობა



ნახევარი გრძლიობა



მეოთხედი გრძლიობა



მერვედები



მეთექვსმეტედები



ტრიოლი



მთელი გრძლიობის ნოტი
ითვლის 4 თანაბარ თვლას



ნახევარი გრძლიობის ნოტი
ითვლის 2 თანაბარ თვლას



მეოთხედი გრძლიობის ნოტი
ითვლის ერთი თვლას



ერთ თვლაზე ორი მერვედი
ჟღერს. არსებობს ქუდიანი (1) და
კუდიანი (2) მერვედები




ერთი თვლის მანძილზე ოთხი
მეთექვსმეტედი ასწრებს
გაჟღერებას. არსებობს ქუდიანი და
კუდიანი მეთექვსმეტედები



ტრიოლი – ერთი თვლის მანძილზე
სამი თანაბარი ბგერა ჟღერს



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მღერის მოტივებს და სთხოვს კლასს:

გამოიცანით, როგორ მოძრაობენ ბგერები: ნახტომით, მეზობლად, თუ უახლოესი მანძილით? დაადგინეთ მიმართულება.



- ☑ ორ ბგერას შორის უახლოეს მანძილს **ნახევარი ტონი** ეწოდება. ორი ნახევარი ტონი გვაძლევს ერთ **მთელ ტონს**.
- ☑ მუსიკაში არსებობს ძირითადი ბგერების შესაცვლელი ალტერაციის ნიშნები. **ალტერაცია** ლათინური სიტყვაა და შეცვლას ნიშნავს.
- ☑ **დიეზი** # ბგერას ცვლის და ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.
- ☑ **ბემოლი** ♭ ბგერას ცვლის და ადაბლებს ნახევარი ტონით ქვემოთ.
- ☑ **ბეკარი** ♮ აბათილებს, შლის დიეზსაც და ბემოლსაც.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მასთან ერთად იმღერონ ბგერები **დო**-დან **დო**-მდე, ალტერაციის ნიშნებით. მოცემული სავარჯიშო გადაწერონ ნოტის რვეულში. მიაქციონ ყურადღება ალტერაციის ნიშნების მდებარეობას (ისინი ყოველთვის ნოტის წინ იწერება).



**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მუხა", მოუსმინონ მუსიკალურ ფრაგმენტებს და ხმებს: 1. „მუხა წონწილებს" (მესხური), 2. „თუშური" (ლელა თათარაიძის შესრულებით), 3. „ბულბულსტვენა" (იმერული), 4. თოფის გასროლის ხმა, 5. ლ. ვან ბეთჰოვენის სიმფონია №6 „პასტორალური" 6. „გაზაფხული" (ქალაქური); 7. მოცარტის საბუნდო ნაწარმოებს Ave verum corpus და შეარჩიონ მოთხრობის ეპიზოდებისათვის შესატყვისი მუსიკა.

**მუხა**

ეს მუხა ტყის პირას დგას – ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვევა ვინმე – ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრავი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ. ხანდახან კოდალაც მოინახულებს. სწრაფად, უგულოდ შემოუფრენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაჰკრავს ნისკარტს, – კივკივო! – ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვეს და წავიდნენ... ამ რამდენიმე წლის წინათ, მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: „არა მე გჯობივარ სროლაში, არა – მეო“. ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: „აი ბურთი და აი მოედანი!“. მუხის დიდ კოჟრზე ასანთის კოლოფი დადო: „ვესროლოთო“. ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი – წაწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით. მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო.

გამოხდა ხანი – თვეები, წლები. და, აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დადო მუხაზე, უკვე ჭარმაგი, პატარა შვილიშვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში. მუხის ნაჭრილობევში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა. მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ, აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა. მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეარჩიონ შეთავაზებული ქართული ხალხური სიმღერებიდან – „მუხა წონწილებს“, „ბულბულსტვენა“, „გაზაფხული“ – ერთ-ერთი და იმღერონ (იხ. დანართი).

## 4 მუჭანახევარა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მასწავლებელი გაყოფს კლასს 3 ჯგუფად. პირველი ჯგუფი მღერის, მეორე გამოსახავს რიტმს, ხოლო მესამე – მეტრს. შემდეგ ჯგუფები როლებს გაცვლიან.

I ჯგუფი მღერის



II ჯგუფი გამოხატავს რიტმს ტაშით



III ჯგუფი გამოხატავს მეტრს ფეხის დარტყმით









**აქტივობა 2**

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს ქართულ ხალხურ ზღაპარს „მუჭანახევარა“, სთხოვს მათ, წაიკითხონ ზღაპრის ტექსტი და მოისმინონ შემდეგი სიმღერები: „კიკოლიკო-ზალიკო“ (იმერული), „კალოსპირული“ (კახური), „გაგნისა გორსა“ (თუშური), „ქართლური მაყრული“, „შავი შაშვი“ (გურული), „ხვარამზე“ (თუშური). იმსჯელონ, ზღაპრის რომელ პერსონაჟსა და რომელ ეპიზოდს შეიძლება მოარგონ ეს სიმღერები.

**„მუჭანახევარა“**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ერთი ქოთანი ლობიოს მეტი არაფერი გააჩნდათ, მარილიც კი არ ჰქონდათ, ლობიოსთვის რომ მოეყარათ.

ცოლმა უთხრა ქმარს:

– ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილიო!

– დამავიწყდება, – უპასუხა კაცმა, – მარილს კი დავიმახსოვრებ, მაგრამ მუჭანახევრისა კი რა გითხრაო.

– წადი და გზაზე სულ იძახე: „მუჭანახევარი, მუჭანახევარი“, და აღარ დაგავიწყდებაო, – ჭკუა დაარიგა ცოლმა.

იმანაც დაუჯერა და გზას გაუდგა, თან გაიძახოდა: – მუჭანახევარი, მუჭანახევარიო.

გზაზე ერთი კაცი დაინახა,

ყანა მოეხნა, ხორბალს თესავდა და თან ამბობდა: – ერთი ათასად, ერთიათასადო!

გაიარა მარილზე წამოსულმა და მიაძახა: – მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!

მთესველი გაბრაზდა: – მე ვითხოვ, ერთი ათასად მომივიდეს მოსავალი, შენ კი მუჭანახევარს ამბობო!

დაიჭირა მუჭანახევარა და მაგრად სცემა. გული რომ იჯერა, თავი დაანება.

კაცმა ჰკითხა:

– რატომ მცემე, რა დაგიშავე, კინაღამ რომ მომკალიო?

– იმიტომ გცემე, – უპასუხა მთესველმა, – რომ მე ვამბობდი – ერთი ათასად, და შენ კი – მუჭანახევარიო!

– მაშ, როგორ უნდა მეთქვაო?

– შენც გეთქვა, ერთი ათასად, ერთი ათასად, და მადლობელიც დაგრჩებოდიო! – უპასუხა მთესველმა.

გაეცალა იმ სოფელს ნაცემი კაცი და სხვა სოფელს მიადგა. იქ ვიღაც მომკვდარიყო. ჩაუარა შეკრებილ ხალხს მუჭანახევარამ და: – ერთი ათასად, ერთი ათასადო! – მიაძახა.

ეს რომ გაიგეს, გამოუხტნენ მკვდრის პატრონები, ურტყეს და ურტყეს. გული რომ იჯერეს, თავი მიანებეს.

– რადა მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? – ჰკითხა მარილის მყიდველმა.

– როგორ და უნდა მოსულიყავი, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახში-თქო! პატივსაც გცემდით და გაგისტუმრებდითო!

წამოვიდა იქიდანაც მუჭანახევარა და გზად ქორწილის მაყრიონს გადაეყარა.

– ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო!

ახლა მექორწილეებმა სცემეს საცოდავი...

– რადა მკლავთ, ხალხო, რა დაგიშავეთ, მაშ რა უნდა მეთქვაო?

– რა უნდა გეთქვა და „მეფეს გაუმარჯოს, მეფეს გაუმარჯოსო!!!"

ამათ რომ გადაურჩა ნაცემ-ნაბეგვი მუჭანახევარა, ისევ თავის გზას გაუდგა. იმასღა ფიქრობდა: ნეტავ აღარავინ შემომხვდებოდესო.

გზად ერთი მონადირე დაინახა. მოემარჯვებინა თოფი და რაღაც ნადირს უმიზნებდა. მუჭანახევარამ მოიგლიჯა ქუდი და – მეფეს გაუმარჯოს, მეფეს გაუმარჯოსო! – ძახილით გაიქცა მონადირისაკენ.

ნადირი დაფრთხა და გაიფანტა. მონადირემ სროლაც კი ვერ მოასწრო, სამაგიეროდ, მუჭანახევარა დაიჭირა და რაც სიგრძე ჰქონდა, სიგანედ გაუხადა.

სახლამდე ძლივს მილასლასდა დაუფიქრებელი მუჭანახევარა, ლობიოც გვერდზე დარჩა და მუჭანახევარი მარილიც...

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

სავარაუდოდ, მოსწავლეები მუჭანახევარას განწყობის გადმოსაცემად შეარჩევენ ორ ნაწარმოებს: მოძრავ იმერულ სიმღერა „კიკოლიკო ზალიკოს", პერსონაჟის სევდის გადმოსაცემად კი – „ხვარამზეს". მთესველთა ეპიზოდისათვის შეირჩევა „კალოსპირული", ქორწილისათვის – „მაყრული", მონადირეთა ეპიზოდისათვის კი – „შავი შაშვი".

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს ზღაპრის გმირისა და სიუჟეტის სხვადასხვა ეპიზოდებისათვის შერჩეულ ქართულ ხალხურ სიმღერებზე. მოსწავლეები დაახასიათებენ სიმღერებს და მოარგებენ შემდეგ სიტყვებს: დინჯი, მოძრავი, მხიარული, ენერგიული, სევდიანი.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს იმღერონ იმერული სიმღერა „კიკოლიკო ზალიკო" (იხ. დანართი).

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მასწავლებელი გაყოფს კლასს 3 ჯგუფად, განუმარტავს, როგორ შესრულდეს მოცემული რიტმული სურათი, სადაც პირველი ჯგუფი მღერის გამას, მეორე ტაშით გამოსახავს რიტმს, ხოლო მესამე, ფეხის დარტყმით – მეტრს. შემდეგ ჯგუფები გაცვლიან როლებს.









### აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სიმღერებს: „ოროველა“ (კახური), „სიქოულბა-ტა“ (მეგრული), „იმერული მგზავრული“. შემდეგ მოსწავლის წიგნში წაიკითხონ ზღაპარი „გუთნის-დედა და სოვდაგარი“ და შინაარსობრივად დააკავშირონ მოცემული სიმღერების განწყობასთან. მასწავლებელი ხმამაღლა წაიკითხავს ზღაპარს, მოსწავლეები სახელმძღვანელოში თვალს ადევნე-ბენ ტექსტს და შესაბამისი ნიშნით მონიშნულ ადგილებთან კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ააჟღერებენ შერჩეულ მუსიკალურ ფრაგმენტს.

**„გუთნისდედა და სოვდაგარი“**

იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი, ერთხელ, გზაზე მიდიოდა და დაინახა, გლეხკაცი ყანას ხნავს. თავად სალამი არ მისცა, ისევ გუთნისდედა მიესალმა.

–კაცო, – უთხრა სოვდაგარმა, – შე საცოდავო, რას ებრძვი მაგ მიწას და წელს იწყვეტ. ხომ ხედავ, არც ვხნავ, არც ვთესავ, მაგრამ არც პური მაკლია და სარჩოც უთვალავი მაქვს.

გუთნისდედამ არაფერი უპასუხა. გასცდა მას სოვდაგარი და წავიდა თავის გზაზე. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, მოუსავლიანობისგან საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა, აღარსად იყო საყიდლად პური. სოვდაგარსაც გაუთავდა პური, მასაც მოშივდა და ცოლ-შვილიც დაემშა. ადგა, წაიღო ბევრი ფული და წავიდა პურის საყიდლად.

იარა სოვდაგარმა, იარა და იმ გუთნისდედას მიადგა კარზე. ეხვეწება სოვდაგარი:

– პური უნდა მომყიდო.

– რამდენიც გნებავს, მიირთვი, – პასუხობს გლეხკაცი.

– ოცი კოდი მომყიდე და რასაც მთხოვ, მოგცემ, – აძლევს ფულს, მაგრამ გლეხკაცი გაიძახის, – ფული არ მინდაო.

– მაშ, რა მოგცე, – ეკითხება სოვდაგარი.

– შენი ცოლიო მომეციო, – პასუხობს გლეხკაცი – მაშინ მოგცემ პურს, თუ არა და – არ მოგცემ.

დაფიქრდა სოვდაგარი, იფიქრა, იფიქრა და იცრუა:

– ცოლი არ მყავს, მაგრამ მამიდა კი მყავს, თუ გინდა, მოგცემ.

– კარგი, – დაეთანხმა გლეხი.

წაიღო სოვდაგარმა პური და მოუყვანა სანაცვლოდ ცოლი.

გლეხკაცი ისე ინახავს სოვდაგრის ცოლს, როგორც თავის საკუთარ შვილსა და დას; კარგს აჭმევს, კარგს ასმევს, კარგს აცმევს, ცალკე მოსვენებით ჰყავს.

გავიდა ერთი თუ ორი წელი, ზის სოვდაგარი შინ და კედლებსლა შესცქერის, გრძნობს, რომ ამ მდიდრულად მორთულ სახლში და ოქროთი სავსე სკივრებთან, ვილაც აკლია. შემოეყარა მას გულს, დაენანა თავისი ცოლი და შერცხვა: რა ოხრად მინდა ამდენი ფული, ან პური რად მინდა, ვის ვაჭამო, თუკი ჩემი ცოლი აქ არ იქნებაო.

ადგა მაშინვე, ჩაიცვა, მოირთო, წაიღო უთვალავი ოქრო და გასწია ცოლის გამოსასყიდად. მივიდა იმ გლეხთან. გამოეგებნენ, შეიპატიჟეს და მშვენივრად გაუმასპინძლდნენ, აიღო სოვდაგარმა ფაფუკი თეთრი პური და უთხრა ლექსად:

პურო, ჩემო სულო და გულო,
ცოლი მამიდად გამიხდია,
ვაჰ მე, სულო დატანჯულო!!!

უსმინა გლეხმა სოვდაგარს, შეეცოდა, მიხვდა, მოენანიებინა თავისი საქციელი და დაუბრუნა ცოლი. სოვდაგარმა გლეხს გულითადი მადლობა გადაუხადა და მას შემდეგ, ხვნა-თესვის პატივისმცემელი შეიქმნა.

მას შემდეგ, რაც კლასი გადაწყვეტს, რომელი სიმღერა მოარგონ ზღაპრის კონკრეტულ ადგილს, მასწავლებელი სთხოვს, მოსწავლეთა ნაწილმა ტექსტი გარკვეული რიგის მიხედვით წაიკითხოს, ხოლო დანარჩენებმა, პროგრამა LMMS-ის გამოყენებით, ააჟღერონ მოცემული სიმღერები, განწყობის მიხედვით.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მღერის სიმღერას „დელი-დელი“ (იხ. დანართი) და სთხოვს მათ, იმსჯელონ, ზღაპრის რომელ ეპიზოდს შეიძლება მოერგოს აღნიშნული სიმღერა.

## 6 გედების ტბა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ან მუსიკალურ ლექსიკონში მოძებნონ შემდეგი მუსიკალური ტერმინების განმარტებები: **ტონალობა**, **კილო**, **გამა**.

მასწავლებელი განმარტავს:

☑ **მაჟორი** და **მინორი** ფრანგული სიტყვებია. მაჟორი დიდს ნიშნავს, მინორი – პატარას.

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, მღერიან ბუნებრივ დო მაჟორსა და სამი სახის ლა მინორს.

დო მაჟორი




დო მაჟორი მყარი საფეხურები    დო მაჟორი მერყევი საფეხურები



დო მაჟორის მერყევი საფეხურების გადაწყვეტა მყარ საფეხურებში




ლა მინორი ბუნებრივი




ჰარმონიული




მელოდიური







მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ ჰარმონიული ლა მინორის ბგერები და შექმნან მოტივი, სახელწოდებით „აღმოსავლური ზღაპარი“.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ როგორი შეიძლება იყოს ნაწარმოები, რომელიც დაწერილია მაჟორულ ან მინორულ კილოში, მხიარული თუ სევდიანი.

მოსწავლეები უსმენენ მელოდიებს (მასწავლებელი უკრავს ან მღერის) და დაადგენენ, რომელი თემა შეიძლება იყოს ზღაპრის გამარჯვებული გმირის, რომელი – მოჯადოებულის; რომელი თემა ჟღერს მაჟორულად, რომელი მინორულად.

მაჟორში (გამარჯვებული პერსონაჟი)



მინორში (დაკნინებული პერსონაჟი)



სავარაუდოდ, მოსწავლეები აირჩევენ მაჟორულ თემას, როგორც გამარჯვებული, ხოლო მინორულს, როგორც მოჯადოებული გმირის შესატყვისს.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ოდეტას თემას, პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“, ჯერ მინორში, შემდეგ, მაჟორში. სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ და შეადარონ ეპიზოდები ერთმანეთს: რომელი ეპიზოდი შეიძლება ასახავდეს მოჯადოებული პერსონაჟის სახეს და რომელი – გამარჯვებულის?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, მასწავლებელი განმარტავს:

მოსმენილი ფრაგმენტები პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტის „გედების ტბის“ მთავარი გმირის, ოდეტას მუსიკალური დახასიათებაა. რომელ კილოში ჟღერს მოცემული ფრაგმენტი – მინორსა თუ მაჟორში? დასაწყისში, ოდეტა ბოროტი ჯადოქარი როტბარტის ტყვეობაში იმყოფება. განთიადზე ის გედად გადაიქცევა, მთვარის ამოსვლისას კი პირვანდელ სახეს იბრუნებს. მხოლოდ უფლისწული ზიგფრიდის მარადიულ სიყვარულს შეუძლია. დაიხსნას ოდეტა. ჯადოქრის ქალიშვილი ოდილია ცდილობს თავგზა აუბნიოს უფლისწულს, მაგრამ სიკეთე იმარჯვებს. ზიგფრიდი მოინანიებს წამიერ გატაცებას და ოდეტას მარადიულ სიყვარულს შეჰფიცავს. ჯადოქარი განადგურებულია. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ბალეტის დასასრულს როგორ ჟღერს ბოროტისაგან გათავისუფლებული ოდეტას თემა?

მასწავლებელი კლავ მოასმენინებს კლასს „ოდეტას“ თემის ორ ვარიანტს და სთხოვს კლასს, სხვადასხვა ნიშნით ჩაწერონ. შემდეგ, მოსწავლეები კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ააჟღერებენ თემებს.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს, ამავე ბალეტიდან მოისმინონ და უყურონ მეჯლისს, სადაც სხვადასხვა ხალხების ცეკვები: ესპანური, იტალიური (ნეაპოლური), უნგრული და პოლონური (მაზურკა) ენაცვლება ერთმანეთს.

მოსწავლეები მსჯელობენ მუსიკის ხასიათსა და საცეკვაო ჟესტების შესახებ, დაადგენენ, რომელ კილოშია დაწერილი ცეკვები, მაჟორსა თუ მინორში.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიხსენონ, რა არის **მუსიკალური თემა** და **ლაიტთემა**.

☑ **მუსიკალური თემა** – მოკლე მუსიკალური ნაგებობაა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

☑ **ლაიტთემა** – მუსიკალური თემა, დაკავშირებული ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და ყოველთვის თან ახლავს მის გამოჩენას.

## 7 ფასკუნჯი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მასწავლებელი განმარტავს: როგორც იცით, მანძილს პირველიდან მერვე ბგერამდე ჰქვია ოქტავა. კლავიატურაზე სულ რვა ოქტავაა განლაგებული: სუბკონტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, მცირე ოქტავა, პირველი ოქტავა, მეორე ოქტავა, მესამე ოქტავა, მეოთხე ოქტავა. სუბკონტროქტავა არასრულია.




მოუსმინეთ, გაიცანით და შეადარეთ ოქტავების ჟღერადობები. გამოსცადეთ თქვენი თავი, რამდენი ბგერა შეგიძლიათ იმღეროთ მეორე ოქტავიდან, რამდენი ბგერა – მცირე ოქტავაში?




მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ მელოდიას და დაადგინონ, რომელ ოქტავაში ჟღერს მოტივები, ამის მიხედვით შემოხაზონ ნახატები, სადაც მოტივი გრაფიკულად სხვადასხვაგვარი ნიშნით თუ პიქტოგრამით არის ჩაწერილი.

**მოტივები**



**ნახატები**



**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ იგორ სტრავინსკის ბალეტ „ფასკუნჯის“ მოკლე შინაარსი:

ბოროტი უკვდავი კაშჩეის ტყვეობაში იმყოფებიან მეფის ასულები და გაქვავებული უფლისწულები. კაშჩეის მოჯადოვებულ ბაღში შეაღწევს უფლისწული ივანე, რომელიც თვალისმომჭრელ ფასკუნჯს დაედევნა. ის მზადაა, შეიპყროს ჯადოსნური ფრინველი, მაგრამ დაინდობს მას. მადლობის ნიშნად, ფასკუნჯი დახმარებას ჰპირდება. ბაღში დატყვევებული მეფის ასულები გამოჩნდებიან. მათ შორის არის მზეთუნახავი, ულამაზესი ასული. ქალიშვილები თამაშში გამოიწვევენ უფლისწულს, რომელიც ციხე-სიმაგრის კარიბჭეს შეეხება და კაშჩეის სამეფოს აღვიძებს. ბოროტი კაშჩეი და მისი მსახურები თავს დაატყდებიან უფლისწულს. ფასკუნჯი ეხმარება მას და უფლისწული მეფის ასულებსა და უფლისწულებს ათავისუფლებს.კაშჩეის სამეფო იმსხვრევა. ზღაპარი უფლისწულისა და მზეთუნახავი მეფის ასულის ქორწილით მთავრდება.

შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ სამ თემას ბალეტიდან „ფასკუნჯი“: უკვდავი კაშჩეის, დატყვევებული მზეთუნახავისა და გამარჯვების თემებს.

კლასში გაიმართება მსჯელობა და მოსწავლეები დაადგენენ, მოცემული მუსიკალური თემები ზღაპრის რომელ პერსონაჟს ან ეპიზოდს შეიძლება ასახავდეს.

მოსწავლეები უსმენენ მასწავლებელს, რომელიც თემებს უკრავს და პასუხობენ შეკითხვებს:

1. თემა მაჟორში ჟღერს თუ მინორში?
2. რა განცდას იწვევს უკვდავი კაშჩეის თემა? (დაძაბულობას, საფრთხის მოლოდინს, განგაშს).
3. რა განწყობას ქმნის თემა, რომელიც ბალეტის დასასრულს ჟღერს? (გამარჯვების, ძლევამოსილების).
4. რომელ თემაში ისმის თხოვნის ინტონაციები? (დატყვევებული მზეთუნახავის)

უკვდავი კაშჩეის თემა:



მზეთუნახავის თემა:



გამარჯვების თემა (ბალეტის დასასრული)



**იგორ სტრავინსკი** (1882-1971) – რუსი კომპოზიტორი. მოღვაწეობის დასაწყისშივე, სახელი გაითქვა ბალეტებით: „ფასკუნჯი“, „პეტრუშკა“, და „კურთხეული გაზაფხული“. ამის შემდეგ, სტრავინსკი რუსეთიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა, თავდაპირველად ცხოვრობდა საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, ხოლო მოგვიანებით – აშშ-ში. სტრავინსკი მუსიკას წერდა სხვადასხვა სტილსა და ჟანრში. მან შექმნა ოპერები, ბალეტები და მრავალი ინსტრუმენტული ნაწარმოები.

☑ **სტილი** – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეების ერთობლიობა და გამომსახველობითი ხერხები.

☑ **ჟანრი** – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა, რომელსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი, თემატიკა, გამომსახველობითი საშუალებები.

## 8 მწყემსი და ჯუჯები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოუსმინონ ინტონაციურ სავარჯიშოს და დააკვირდნენ, სად წყდება ჟღერადობა.



☑ მუსიკის დროებით შეწყვეტას **პაუზა** ჰქვია. პაუზებს, ისევე როგორც ნოტებს, აქვთ გრძლიობები:

მთელი პაუზა:
ნახევარი პაუზა:
მეოთხედი პაუზა:
მერვედი პაუზა:
მეთექვსმეტედი პაუზა:



მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან მოტივი და გამოიყენონ პაუზები. შემდეგ, სთხოვს მათ, დააკვირდნენ ნახატს და სხვადასხვა მოძრაობით გამოსახონ რიტმი.




### აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოისმინონ ფრაგმენტები ედვარდ გრიგის ნაწარმოებებიდან: №1 საორკესტრო სიუიტა „პიერ გიუნტიდან“; „დილა“ და „მთის მეფის გამოქვაბულში“; საფორტეპიანო პიესა „ჯუჯების მარში“. წაიკითხონ მოცემული წინადადებები და კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ჩატვირთული მუსიკალური ფრაგმენტები მიუსადაგონ თითოეულ წინადადებას:

1. მშვენიერი დილა გათენდა.
2. ჯუჯები გამოქვაბულისაკენ გარბოდნენ.
3. მწყემსი ბიჭუნა სალამურზე უკრავდა, ცაში კი მერცხლები დაფრინავდნენ.
4. ყიჟინითა და ხმაურით მოუახლოვდნენ ჯუჯები მწყემსის ადგილსამყოფელს.
5. მწყემსმა იფიქრა, სად გაუწევიათ ჯუჯებს, იქნებ მეც ვნახო, რა ხდება მათ გამოქვაბულშიო და ფეხაკრეფით გაჰყვა ჯუჯების კვალს.
6. ბიჭუნამ გამოქვაბულში ფანტასტიკური არსებები: გნომები, ტროლები, კობოლდები იხილა, ისინი თავიანთი პრინცესის და პერის ქორწილს ზეიმობდნენ. მათთან ერთად ფერხული ჩაება ღამურებსა და აჩრდილებს.
7. შეშინებული ბიჭუნა გამოქვაბულიდან გამოიქცა, ფეხი დაუსხლტა და ბუჩქნარში ჩავარდა.
8. ბიჭუნა უვნებლად გადარჩა და სახლისაკენ გასწია. მშვენიერი ამინდი იდგა. მდელო, ჩიტები და დილის მზე ბუჭუნას სახლისაკენ მიაცილებდნენ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რატომ მოარგეს ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი მოცემულ წინადადებებს.

**ედვარდ გრიგი** (1843-1907) – ნორვეგიელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი, ნორვეგიული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი. ცნობილია მისი ორი საორკესტრო სიუიტა „პერ გიუნტი", საფორტეპიანო კონცერტი ლა მინორი, სავიოლინო სონატა №2 და საფორტეპიანო „ლირიკული პიესები". გრიგი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელიც იყო. მან დააარსა მუსიკალური საზოგადოება „ევტერპა", რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა კომპოზიტორების თხზულებათა პოპულარიზაციას. ნორვეგიელმა კომპოზიტორმა გასტროლებით მოიარა ევროპის სხვადასხვა ქვეყანა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში განმარტოებით ცხოვრება ირჩია ბერგენის მახლობლად, თავის მამულში, რომელსაც „ტროლდჰაუგენი" ანუ „ტროლების ბორცვი" უწოდა. აქ გრიგმა უფრო მეტი დრო საკომპოზიტორო მოღვაწეობას დაუთმო. ბერგენში იგი ხელმძღვანელობდა საკონცერტო საზოგადოება „ჰარმონიას" და ნორვეგიული მუსიკის ფესტივალი დააარსა.

## 9 ზღაპარი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მოსწავლეები როგორც ერთ, ისე ორ ხმაში მღერიან ინტერვალებს – სეკუნდებს, სეპტიმებს, ტერციებს, სექსტებს, პრიმებს, კვარტებს, კვინტებს, ოქტავებს:




მასწავლებელი სთხოვს, ინტერვალების თანმიმდევრობას შეურჩიონ სახელწოდებები: კეთილხმო-

ვანი ანუ კონსონანსი, არაკეთილხმოვანი ანუ დისონანსი, გამჭვირვალე ანუ წმინდა.

შემდეგ, მასწავლებელი ამღერებს კლასს კვარტების თანმიმდევრობას დო მაჟორში და სთხოვს, აღმოაჩინონ განსხვავებული ჟღერადობის კვარტა. მოსწავლეები გაეცნობიან გადიდებულ კვარტას და აღმოაჩენენ, რომ იგი მერყევი საფეხურებისაგან შედგება და დაძაბული ჟღერადობა აქვს.





მასწავლებელი შეახსენებს და კიდევ ერთხელ განუმარტავს მოსწავლეებს მთელი და ნახევარი ტონების მნიშვნელობას: ინტერვალი (ლათ. Intervallum) მანძილს, შუალედს ნიშნავს. მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი შემავალი საფეხურების რაოდენობას. ინტერვალის შესახებ ვსვამთ ორ კითხვას: მერამდენე საფეხურია ფუძიდან მწვერვალი და რამდენი ტონია მათ შორის. წონობრივი თვისების გამო, გადიდებულ კვარტას ჰქვია ტრიტონი, ვინაიდან ეს ინტერვალი სამი მთელი ტონისაგან შედგება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოარჩიონ კონსონანსი და დისონანსი, ასევე წმინდა ინტერვალები და დაასრულონ მოცემული მუსიკალური ფრაზები. განსაზღვრონ, რომელი ინტერვალებით დაახასიათებენ ზღაპრის კეთილ პერსონაჟს, რომელი ინტერვალებით – ბოროტს და შექმნან რაიმე მელოდია.

ზღაპრის კეთილი პერსონაჟი:



ზღაპრის ბოროტი პერსონაჟი:



**აქტივობა 2**
მოსწავლეები მოისმენენ ორ პიესას: პ. ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“ – „კუდიანი დედაბერი“ და მ. მუსორგსკის სიუიტიდან „სურათები გამოფენიდან“ – „ქოხი ქათმის ფეხებზე“.

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს:

1. რომელ კილოშია დაწერილი ეს პიესები? (მუსორგსკის პიესა – მაჟორი, ჩაიკოვსკის – მინორი)
2. როგორი ინტერვალები ისმის – კონსონანსი თუ დისონანსი? (დისონანსი)
3. როგორ ფიქრობთ, მოსმენილი პიესების გმირები დადებითი, კეთილი ზღაპრული პერსონაჟები არიან თუ უარყოფითი? (უარყოფითი)

მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს მოსწავლეებს ფრაგმენტებს მოდესტ მუსორგსკის პიესებიდან „ქოხი ქათმის ფეხებზე“ და „გასეირნება“ (ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“) და სთხოვს მოსწავლეებს, მოსმენილი ფრაგმენტები ააჟღერონ კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში, შეთხზან ზღაპარი და უამბონ კლასელებს.

## 10 კუდიანი დედაბერი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

### აქტივობა 1

მოსწავლეები მღერიან სამხმოვანებებს დო მაჟორსა და ლა მინორში.




მოსწავლეები დაახასიათებენ სამხმოვანებების ჟღერადობას და შეარჩევენ სიტყვებს: კეთილხმოვანი – კონსონანსი, არაკეთილხმოვანი – დისონანსი, მაჟორული, მინორული.

მასწავლებელი განმარტავს:

☑ ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა არის **აკორდი**.

☑ ტერციებად დალაგებული სამი ბგერის თანაჟღერადობას **სამხმოვანება** ჰქვია.

### აქტივობა 2

მოსწავლეები მოისმენენ ერთი და იმავე დასახელების ნაწარმოებებს: პიოტრ ჩაიკოვსკის საფორტეპიანო პიესა „კუდიან დედაბერს" („საბავშვო ალბომიდან") და ანატოლი ლიადოვის სიმფონიურ პოემა „კუდიან დედაბერს".

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. მოსმენილი ნაწარმოებები ზღაპრის გმირს აღწერს, თუ რეალურ სურათს? (ზღაპრული)
2. როგორ პერსონაჟს შეიძლება ახასიათებდეს ეს მუსიკა: დადებითს თუ უარყოფითს? (უარყოფითი)
3. ნაწარმოებები დაწერილია მაჟორულ თუ მინორულ კილოში? დისონანსები უფრო ხშირად ჟღერს თუ კონსონანსები? (მინორი, დისონანსები)

მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის შემდეგ, მასწავლებელი განმარტავს, რომ მოსმენილ ნაწარმოებებს ერთი და იგივე სახელწოდება აქვს: „კუდიანი დედაბერი". ერთი ეკუთვნის პიოტრ ჩაიკოვსკის, მეორე – ანატოლი ლიადოვს.

მოსწავლეები კიდევ ერთხელ მოისმენენ ნაწარმოებებს და თითოეულისათვის შეარჩევენ წინადადებებს:

1. „ვინ, ვინ, ვინ, ფრენს ღამის წყვდიადში?
   ვინ, ვინ, ვინ გვიხმობს თავის სახლში?"
2. „კუდიანი დედაბერი ღამის წყვდიადში დაჰქრის,
   უღრან ტყეს გადაუფრენს და ცხოველებს დააფრთხობს,
   ავი ჩანაფიქრი აქვს და ჯადოქრობაც ბოროტი".

მასწავლებელს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს ინტერვალის დაძაბულ ჟღერადობაზე; დაუკრას ფრაგმენტი ჩაიკოვსკის „კუდიანი დედაბერიდან", გამოყოს აკორდში გადიდებული კვარტა გადაწყვეტით. აუხსნას მოსწავლეებს, რომ ამ ეპიზოდში ჟღერს მერყევ საფეხურებზე აგებული ინტერვალი – გადიდებული კვარტა.







მოსწავლეები კვლავ პასუხობენ შეკითხვას:

> რა ინტონაცია, კილო და განწყობა ისმის ამ ეპიზოდში: თხოვნის, შეკითხვის, ბრძანების, სადღესასწაულო?

სავარაუდოდ, მოსწავლეები დაადგენენ, რომ მერყევი საფეხურების ჟღერადობა ნაწარმოებში თხოვნის, შეკითხვის ინტონაციას ქმნის.

## 11 სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი უკრავს გამა სოლ მაჟორს, სთხოვს მოსწავლეებს, მოისმინონ, იმღერონ, დააკვირდნენ, გაეცნონ. იგი ყურადღებას გაამახვილებს საგასაღებო ნიშან ფა დიეზზე.



მასწავლებელი განმარტავს, რომ ტონალობა სოლ მაჟორს ერთი საგასაღებო ნიშანი – ფა დიეზი აქვს და სთხოვს მოსწავლეებს, გადაწერონ სანოტო რვეულში გამა სოლ მაჟორი, შემოხაზონ გამის პირველი ოთხი ნოტი – გამის ქვედა ტეტრაქორდი, შემდეგ კი, გამის ბოლო ოთხი ნოტი – გამის ზედა ტეტრაქორდი. მასწავლებელი განმარტავს:

☑ **ტეტრაქორდი** (ბერძნ. tetra – ოთხი, chorde – სიმი) ოთხსაფეხურიანი ბგერათა რიგია.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ სოლ მაჟორი, სადაც ზედა ტეტრაქორდი ოქტავით ქვემოთ არის ჩაწერილი.




მასწავლებელი გაყოფს კლასს ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი მღერის, მეორე ჯგუფი გამოსახავს მეტრს. მოსწავლეები გაეცნობიან გრძლიობის გახანგრძლივების საშუალებას – წერტილს. წერტილი მოცემულ გრძლიობას თავისივე დროის ნახევარს უმატებს. ნახევრიანი გრძლიობა წერტილით ითვლის სამ თვლას.

𝅗𝅥. = 3 თვლას




მოსწავლეები გაეცნობიან და მღერიან სამი სახის მი მინორს, რომელიც სოლ მაჟორის პარალელურია. მასწავლებელი ეკითხება მათ, რა მსგავსებაა სოლ მაჟორსა და მი მინორს შორის.






მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაწერონ ჰარმონიული მი მინორი სანოტო რვეულში, გამოყონ ქვედა და ზედა ტეტრაქორდები.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი განმარტავს: სერგეი პროკოფიევმა, საგანგებოდ ბავშვებისთვის, დაწერა სიმფონიური ზღაპარი, სადაც გმირებს – იხვს, ჩიტს, მგელს, კატას, პეტიას და ბაბუას – სხვადასხვა ინსტრუმენტი განასახიერებს; ჩიტს – ფლეიტა; იხვს – ჰობოი; კატას – კლარნეტი; ბაბუას – ფაგოტი; მგელს – სამი ვალტორნა.

მოსწავლეები ეცნობიან მუსიკალური ზღაპრის შინაარსს:

**პეტია და მგელი**

„დილით ადრე, პეტია მდელოზე გავიდა. ნაცნობი ჩიტი ხეზე შემომჯდარიყო და მშვიდად გალობდა. ეზოდან პეტიას იხვი გამოჰყვა გოგმანით, გუბურაში ვიცურავებო. გაკვირვებულმა ჩიტმა იხვს ჰკითხა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ფრენა არ იციო?

იხვი კი აბუზღუნდა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ცურვა არ იციო?

ეს კითხვა-პასუხი კინკლაობაში გადაიზარდა ისე, რომ ვერც შეამჩნიეს, კატა იხვს როგორ მიუახლოვდა. ჩიტი ხეზე აფრინდა და იხვმა წყალში შეცურა. კატა ფიქრობდა, ღირს კი დავსველდე იხვის გამოო? მაინც გაიწია ჩიტისკენ, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენა.

ბაბუამ პეტია გააფრთხილა: გარეთ ნუ გახვალ, შეიძლება, ტყიდან მგელი გამოვიდესო. პეტიამ უთხრა, მგლის არ მეშინიაო. მიუხედავად ამისა, ბაბუამ პეტია, მგლის შიშით, ეზოში გამოკეტა. ამასობაში, მგელიც გამოჩნდა, იხვს დაედევნა და გადასანსლა. მოხერხებულმა პეტიამ თოკი ისროლა, ხეზე გადაცოცდა და ამავე თოკით მსუნაგი მგელი ხაფანგში გააბა. მგელს კვალდაკვალ მისდევდნენ მონადირეები, პეტიამ სთხოვა მათ, მგელი ზოოპარკში წამაყვანინეთო. გაიმართა საზეიმო მსვლელობა – მარში. მიდის პეტია, მიჰყვებიან მონადირეები, მიათრევენ მგელს, მიფრინავს ჩიტი, მათ ბუზღუნით მისდევენ ბაბუა და კატა; მგლის მუცელში კი კრიახი გაუდის ცოცხლად გადაყლაპულ იხვს.“

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს პეტიასა და მგლის ლაიტმოტივებს პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რომელი პერსონაჟია დახასიათებული მინორული კილოთი და რომელი – მაჟორულით. ტონალობის მყარი საფეხურებით აგებული თემა დადებითი პერსონაჟის დახასიათებაა, ხოლო მერყევი საფეხურებით აგებული კი – უარყოფითი გმირის სახეს გვიხატავს.




**პეტიას ლაიტმოტივი**







**ჩიტის ლაიტმოტივი**




---




**იხვის ლაიტმოტივი**






**კატის ლაიტმოტივი**






**ბაბუას ლაიტმოტივი**






**მგლის ლაიტმოტივი**






**მონადირეების ლაიტმოტივი**



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მასწავლებელი კლასს მიმართავს და დავალების შესრულებაში ეხმარება, მოსწავლეებთან ერთად უკრავს და მღერის. სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ და მოუსმინონ ფა მაჟორს. ეკითხება მათ, რა ნიშანია დასმული ვიოლინოს გასაღებთან? განმარტავს, რომ ტონალობა ფა მაჟორს აქვს ერთი საგასაღებო ნიშანი – სი ბემოლი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაწერონ გამა ფა მაჟორი სანოტო რვეულში; შემოხაზონ პირველი ოთხი ნოტი – ქვედა ტეტრაქორდი, შემდეგ მომდევნო ოთხი ნოტი – ზედა ტეტრაქორდი.




იმღერონ ფა მაჟორი, გააჟღერონ ზედა ტეტრაქორდი ოქტავით ქვემოთ.




მასწავლებელი გაყოფს კლასს ორ ჯგუფად და სთხოვს, იმღერონ და გამოსახონ რიტმი.




მასწავლებელი სთხოვს, გაეცნონ და იმღერონ ფა მაჟორის პარალელური გამა რე მინორი და უპასუხონ კითხვას: რა აქვთ საერთო რე მინორსა და ფა მაჟორს.



I ჯგუფი

II ჯგუფი




მასწავლებელი მიმართავს კლასს: გადაწერეთ ჰარმონიული რე მინორი სანოტო რვეულში. გამოყავით ქვედა და ზედა ტეტრაქორდები; ნოტების დასახელებით იმღერეთ ფა მაჟორში შექმნილი მელოდია. დაადგინეთ, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს (კეთილსა თუ ბოროტს) შეეფერება ასეთი მოტივი?

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს გარე ტაქტზე სანოტო ჩანაწერში და უხსნის: მელოდია იწყება ტაქტიდან, სადაც ერთი მეოთხედია. მასწავლებელი მიმართავს კლასს, როგორ ფიქრობთ, თუ ტაქტში თვლა ორზეა, ტაქტი სრულია თუ არასრული?

მასწავლებელი განაგრძობს: ასეთ ტაქტს მუსიკოსები გარე ტაქტს უწოდებენ. თვლის რაოდენობა, რომელიც გარე ტაქტს აკლია, ბოლო ტაქტში შეივსება. იგი მიუთითებს ბოლო ტაქტზე, სადაც პირველი ტაქტის თვლა შეივსო.



**აქტივობა 2**

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ფრაგმენტებს ანატოლი ლიადოვის სომფონიური პოემიდან „კიკიმორა“.

მასწავლებელი სთხოვს, დააკავშირონ მოსმენილი ფრაგმენტები შემდეგ წინადადებებთან:

1) დილიდან საღამომდე არწევენ კიკიმორას ბროლის აკვანში (მეორე ფრაგმენტი);
2) აკვანთან ზის კატა ბაიუნი, რომელიც საოცარ ზღაპრებს უყვება და ამშვიდებს კიკიმორას. (პირველი ფრაგმენტი);
3) შვიდ წელიწადში იზრდება ჭაობების ბინადარი კიკიმორა; მძვინვარებს, უსტვენს და აკაკუნებს. ბოროტი აქვს ზრახვები (მესამე ფრაგმენტი).

შემდეგ, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:

1. როგორ კილოში ჟღერს ფრაგმენტები?
2. კიკიმორას დახასიათებისათვის შერჩეულია კეთილხმოვანი ჟღერადობა – კონსონანსი თუ არაკეთილხმოვანი – დისონანსი?
3. მოსმენილიდან რომელი ფრაგმენტი ასახავს კიკიმორას მოძრაობას?

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში მის მიერ ჩატვირთულ ფრაგმენტებს, შექმნან მუსიკალური კომპოზიცია, ქვემოთ მოცემული წინადადებების თანმიმდევრობის მიხედვით.

1) კიკიმორა შორეულ მთებში ჯადოქართან იზრდება.
2) მას დილიდან საღამომდე კატა ბაიუნი ართობს და უცნაურ ზღაპრებს უყვება.
3) შფოთავს და წრიალებს კიკიმორა თავის აკვანში.
4) კატა ბაიუნი კი ამშვიდებს და ყურში შელოცვებს ჩასჩურჩულებს.
5) კატა ბაიუნი კიკიმორას ბროლის აკვანს არწევს. შორეული მთების გამოქვაბულში საშინელი სიჩუმე ჩამოწვება.

მასწავლებელი განმარტავს: დღეს თქვენ მოისმინეთ ფრაგმენტები ანატოლი ლიადოვის მუსიკალური ნაწარმოებიდან. **ანატოლი ლიადოვი** (1855-1914) – რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. იგი წერდა სიმფონიურ, საფორტეპიანო და ვოკალურ ნაწარმოებებს. მისი ქმნილებებიდან პოპულარობით სარგებლობს სიმფონიური პოემები: „კუდიანი დედაბერი“, „ჯადოსნური ტბა“ და „კიკიმორა“; სამივე ნაწარმოებს საფუძვლად უდევს სიუჟეტები რუსული ხალხური თქმულებებიდან და ზღაპრებიდან. კომპოზიტორს დიდი წვლილი მიუძღვის რუსული ფოლკლორის პოპულარიზაციაში. ლიადოვს ეკუთვნის სიმღერების კრებულები, როგორც ბავშვების, ისე უფროსებისათვის, აგრეთვე, საგუნდო სიმღერების კრებული აკაპელა შესრულებისათვის.

## 14 ზამთრის ფერია

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რას ნიშნავს **ნახევარი ტონი** და რას ნიშნავს **მთელი ტონი**.

მასწავლებელი განმარტავს ქრომატიული და დიატონური ტონებისა და ნახევარტონების მნიშვნელობას:

☑ ერთი და იმავე სახელწოდების ბგერებს შორის წარმოქმნილ (მაგ., **დო** და **დო დიეზი**) ნახევარ ტონს **ქრომატიული ნახევარი ტონი** ეწოდება.




☑ ორი სხვადასხვა დასახელების ბგერებს შორის წარმოქმნილ ნახევარ ტონს **დიატონური ნახევარი ტონი** ეწოდება.




მოსწავლეები გაეცნობიან და მასწავლებლის დახმარებით მღერიან ქრომატიულ გამას.

☑ ქრომატიული და დიატონური ნახევარი ტონებისაგან აგებულ ბგერათა რიგს **ქრომატიული გამა** ეწოდება.

ქრომატიული გამა დო მაჟორი



☑ **აღმავალ მაჟორულ ქრომატიულ გამაში** ყველა საფეხური მაღლდება გარდა მესამე და მეექვსე საფეხურებისა; დაღმავალი სვლის დროს, ყველა საფეხური დაბლდება, გარდა მეხუთე საფეხურისა.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს: სერგეი პროკოფიევის ბალეტიდან „კონკია“ („ზამთრის ფერიის ცეკვა“) და ჯორჯ გერშვინის სიმფონიური პიესიდან „ამერიკელი პარიზში“.

მასწავლებელი განმარტავს: დღეს თქვენ მოისმინეთ ფრაგმენტები ს. პროკოფიევის და ჯ. გერშვინის ნაწარმოებებიდან.

**სერგეი პროკოფიევი** (1891-1953) – რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი. პროკოფიევმა შექმნა ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, კონცერტები სხვადასხვა სოლო ინსტრუმენტისა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო სონატები და მცირე ფორმის საფორტეპიანო თხზულებები, ასევე ორატორიები და კანტატები, კამერული ვოკალური და ინსტრუმენტული თხზულებები, მუსიკა კინოსა და თეატრისათვის. აღსანიშნავია ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, ოპერა „სამი ფორთოხლის სიყვარული“, სიმფონიები №1 („კლასიკური“), №5, 7; საფორტეპიანო კონცერტები №1, 2, 3; საფორტეპიანო სონატები №7, 8; საფორტეპიანო კრებული „წამიერებანი“; სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“.

**ჯორჯ გერშვინი** (1898-1937) – ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი. მან სახელი გაითქვა ჯაზური სტილის სიმღერებითა და მიუზიკლებით. ცნობილია მისი „რაფსოდია ბლუზის ტონებში“ („ცისფერი რაფსოდია“) ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მის შემოქმედებაში პირველად მოხდა ევროპული სიმფონიზმისა და ჯაზური მუსიკის გაერთიანება. სამხრეთის შტატების ზანგებისა და აფრო-ამერიკული ფოლკლორის შესწავლის შედეგად, კომპოზიტორმა შექმნა პირველი ამერიკული ეროვნული ოპერა „პორგი და ბესი“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ და დაადგინონ, რომელი მუსიკალური ეპიზოდი გამოსახავს ზღაპრულ პერსონაჟს და რომელი შეიძლება ასახავდეს რეალურ ან გამოგონილ, მაგრამ არა ზღაპრულ გმირს. რასაკვირველია, მოსწავლეები ზღაპრული პერსონაჟის დამახასიათებელ მუსიკად მიიჩნევენ პირველ ეპიზოდს. მასწავლებელი ეკითხება კლასს, მოსმენილ ეპიზოდებს შორის, რომელში ისმის ქრომატიული სვლები? მოსწავლეები, ამ შემთხვევაშიც, პირველ ეპიზოდს დაასახელებენ. მასწავლებელი განმარტავს: ხშირად კომპოზიტორები, ზღაპრული სახეების გადმოსაცემად, ქრომატიულ ბგერათა რიგს იყენებენ. შემდეგ, განმარტავს: მოსმენილ ფრაგმენტებს შორის პირველი ფრაგმენტი არის ს. პროკოფიევის ბალეტიდან „კონკია“ („ზამთრის ფერიის ცეკვა“), ხოლო მეორე – ჯ. გერშვინის ნაწარმოებიდან „ამერიკელი პარიზში“.

## 15-16 ზღაპრის გმირები დღესასწაულზე

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, პოლიეთილენის ჭიქა

### აქტივობა 1

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, შეასრულონ რიტმული სავარჯიშო.




### აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იდირიჟორონ:




### აქტივობა 3

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქრომატიული გამა სოლ მაჟორი და გაიხსენონ, როგორ იცვლება საფეხურები მაჟორული ქრომატიული გამის აგების დროს.



**აქტივობა 4**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს გერმანული სიმღერის Fastnacht სანოტო ჩანაწერის გარე ტაქტზე და უხსნის: მელოდია იწყება მეოთხე თვლიდან. როგორ ფიქრობთ, თუ ტაქტში თვლა ოთხზეა, ტაქტი სრულია თუ არასრული?

მასწავლებელი შეახსენებს: ასეთ ტაქტს მუსიკოსები **გარე ტაქტს** უწოდებენ. თვლის რაოდენობა, რომელიც გარე ტაქტს აკლია, ბოლო ტაქტში შეივსება. იგი მიუთითებს ბოლო ტაქტზე, სადაც პირველი, მეორე და მესამე თვლაა წარმოდგენილი. მასწავლებელი მიუთითებს სანოტო ჩანაწერზე და სთხოვს, დააკვირდნენ რკალს – **ლიგას** („⁀“), განმარტავს: თუ მოცემულია ლიგით გადაბმული ერთი და იგივე სიმაღლის ორი ნოტი, გაჟღერდება მხოლოდ პირველი, ხოლო მეორე ნოტის ხანგრძლივობა ემატება პირველს.

მოსწავლეები დირიჟორობენ გარე ტაქტიდან, მღერიან მელოდიას ნოტების დასახელებით, გაიაზრებენ, რომ სიმღერა დაწერილია სოლ მაჟორში. ისინი აღმოაჩენენ ალტერირებულ, შეცვლილ ბგერას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, როგორი შინაარსი შეიძლება ჰქონდეს ასეთ სიმღერას? მხოლოდ ამის შემდეგ, იგი გააცნობს მათ სიმღერის ტექსტს და უხსნის: ეს სიმღერა ევროპის ქვეყნებში – გერმანიასა და შვეიცარიაში, დიდი მარხვის წინ, კარნავალებზე იმღერება. მონაწილეები, სხვადასხვა ზღაპრის გმირების ფორმებში გამოწყობილნი, ვიწრო თუ ფართე ქუჩებში ჩაივლიან, ზარებს რეკავენ, მღერიან, ცეკვავენ და სხვადასხვა სანახაობით ერთობიან.

Fastnacht

??




2. Jede chunnt grad, wie-n-er wött,
spielt mol öppert anderscht.
Und mer seit: «Gell kennsch mi nöd!»
i de Fasnachtsziit.

Refrain
3. Indianer oder Glön,
wildi Tier, Prinzessin.
Sich verchleide isch doch schön
i de Fasnachtsziit.

Refrain
4. Lueg döt hine *d'Susi* a,
mit em Stock und Schnurrbart.
Chunnt dehär als alte Maa
i de Fasnachtsziit.



**აქტივობა 5.**

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ზღაპარი საფუძვლად დაედო ს. პროკოფიევის ბალეტს „კონკია“ და ასმენინებს ფრაგმენტებს ბალეტიდან.

განსაზღვრეთ:

1. რომელი ფრაგმენტი შეიძლება იყოს ზღაპრის შესავალი, ამ შემთხვევაში, ბალეტის უვერტიურა?
2. რომელი ფრაგმენტი შეიძლება ასახავდეს დედინაცვლისა და მისი ქალიშვილების სახეებს?
3. რომელი ფრაგმენტი ასახავს უფლისწულისა და კონკიას ცეკვას, ზღაპრის კეთილ დასასრულს?
4. როგორ დაადგინეთ ამა თუ იმ ფრაგმენტის შინაარსი?

მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ ან მოიძიონ ლექსიკონში, რა არის უვერტიურა.

## 17 წელიწადის დრონი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნახატს, ხელით გამოსახონ რიტმი, ფეხით – მეტრი.



მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ნასწავლი ტონალობებიდან – დო მაჟორი, ლა მინორი, სოლ მაჟორი, მი მინორი – ამოარჩიონ ერთ-ერთი და შექმნან ოთხტაქტიანი მელოდია, რომელიც მათი საყვარელი ზღაპრის გმირის დახასიათება იქნება.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები ეკრანზე უყურებენ სერგეი პროკოფიევის ბალეტ „კონკიას“ ეპიზოდებს: „ფერია-წელიწა-

დი“ და „ფერიები“ – „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“.

მასწავლებელი სთხოვს, ამოიცნონ, წელიწადის რომელ დროს შეიძლება განასახიერებდეს მუსიკა; როგორი ჟღერადობა აქვს „შემოდგომის ფერიის“ მუსიკალურ თანხლებას: მეტწილად კონსონანსები ჟღერს თუ დისონანსები?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში დაალაგონ მოცემული ფრაგმენტები: ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის ფერიების ცეკვები.

რომელ კილოში – მაჟორულსა თუ მინორულში – ჟღერს ეს ცეკვები?

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფრაგმენტს სერგეი პროკოფიევის ბალეტიდან „კონკია“ – „კონკიას მეჯლისზე გაცილების სცენას“ და უხსნის, რომ „ვალსის“ ეპიზოდი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპიზოდია „კონკიადან“.

მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ ან მოიძიონ ლექსიკონში, რა არის ვალსი?

## 18-19 ჰენზელი და გრეტელი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიუთითებს გერმანული სიმღერის სანოტო ჩანაწერზე.




იგი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საგასაღებო ნიშანს და დაადგინონ, სიმღერის მელოდია ჩაწერილია ფა მაჟორში, სოლ მაჟორსა თუ დო მაჟორში. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები განსაზღვრავენ ტონალობას, ისინი დირიჟორობენ და მღერიან მელოდიას ნოტების დასახელებით. მასწავლებელი, სიმღერის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიმე მოსწავლესთან ერთად, მოძრაობებით დადგამს სიმღერას. მასწავლებელი უჩვენებს ვიდეოჩანაწერს საოპერო დადგმიდან „ჰენზელი და გრეტელი“.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს: სიმღერა, რომელიც დადგეს, არის ფრაგმენტი ე. ჰუმპერდინკის საბავშვო ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“. ოპერას საფუძვლად უდევს გერმანელი მეზღაპრე ძმები გრიმების იმავე სახელწოდების ზღაპარი „ჰენზელი და გრეტელი“. ოპერის შინაარსი, ანუ ლიბრეტო კი შემდეგია: „და-ძმას, ჰენზელსა და გრეტელს, დედა ტყეში აგზავნის ფიჩხის მოსატანად. ბავშვებს შემოაღამდებათ, უღრან ტყეში გზა აებნევათ და შეშინებულებს, სხვადასხვა არსებები ელანდებათ. დაღლილებს, ჰენზელსა და გრეტელს ჩაეძინებათ. გამთენიისას კი ულამაზესსა და უცნაურ, ნამცხვრისგან აშენებულ სახლს დაინახავენ. აღმოჩნდება, რომ სახლი ბოროტ კუდიან დედაბერს ეკუთვნის. იგი ბავშვებს მოჯადოებულ სახლში შეიტყუებს და ჰენზელის შეჭმას განიზრახავს, მაგრამ და-ძმის სიყვარული და ერთგულება ჯადოქრობაზე ძლიერია, ისინი გავარვარებულ ღუმელში შეაგდებენ დედაბერს და სხვა ბავშვებსაც გაათავისუფლებენ ჯადოქრობისაგან. გამარჯვებული ჰენზელი და გრეტელი სიხარულით ეგებებიან მშობლებს, რომლებიც ბავშვების საძებრად ტყეში წამოსულან“.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ფრაგმენტებს ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“. მოსწავლეებმა, ყურადღობის მიხედვით, უნდა დაადგინონ, რომელ ეპიზოდს ასახავს მუსიკა და მიუსადაგონ ქვემოთ მოყვანილ წინადადებებს. სასურველია, მასწავლებელმა მოსასმენი ფრაგმენტების რიგი შეცვალოს, რომ არ მოხდეს ზუსტი დამთხვევა ჩამოთვლილ წინადადებებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს შორის.

**წინადადებები:**

1) ზღაპრის დასაწყისი „იყო და არა იყო რა“;
2) გრეტელი ტყის კეთილ არსებაზე მღერის;
3) ბავშვებს ტყეში დაუღამდებათ, გუგულის ხმა ჩაესმით, თვითონაც პასუხობენ და ექო უბრუნდებათ. მათ კუდიანი დედაბერიც კი მოელანდებათ.
4) დედაბერი თავის სახლში ჰენზელსა და გრეტელს შეიტყუებს.
5) ჰენზელი დედაბრის მახეში გაებმება. დედაბერი საზარლად იცინის.
6) ბავშვები კუდიან დედაბერს გავარვარებულ ღუმელში შეაგდებენ და ბოროტების დამარცხებას ზეიმობენ.
7) ჰენზელისა და გრეტელის გამარჯვებას სხვა მოჯადოვებული ბავშვების გათავისუფლება მოაქვს. დედაბრის ჯადოქრობისაგან დახსნილი ბავშვები ილვიძებენ და მღერიან.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს იმღერონ გერმანული ხალხური სიმღერები (იხ. დანართი), რომლებიც შინაარსით თუ მუსიკალური თემებით დაკავშირებულია ოპერასთან „ჰენზელი და გრეტელი“. სიმღერაში „ჰენზელი და გრეტელი“ აღწერილია და-ძმის გამარჯვება კუდიან დედაბერზე. მეორე სიმღერა „კაცუნა დგას ტყეში“ (იხ. დანართი) გამოცანაა ტყის ზღაპრულ არსებაზე, რომელიც სინამდვილეში ასკილის ბუჩქია. იგივე სიმღერა გამოყენებულია ოპერაში „ჰენზელი და გრეტელი“

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქრომატიული გამა ფა მაჟორი:



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ტონალობა რე მაჟორს, სთხოვს, უპასუხონ შეკითხვას – რამდენი საგასაღებო ნიშანი აქვს ამ ტონალობას და იმღერონ:

გამა რე მაჟორი



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



ქრომატიული გამა რე მაჟორი



მასწავლებელი გაყოფს კლასს ორ ნაწილად, ერთი ნაწილი მღერის გამას ნოტების დასახელებით, მეორე ნაწილი კი გამოსახავს ტაშით მოცემულ რიტმულ სურათს. შემდეგ, მოსწავლეები გაცვლიან დავალებებს.




მასწავლებელი განმარტავს, რომ ასეთ რიტმულ დაჯგუფებას ♩.♪ – **პუნქტირული რიტმი**. პუნქტირი წერტილს ნიშნავს და გრძლიობას თავისივე დროის ნახევარს უმატებს.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მოკლედ მოუთხრობს მოსწავლეებს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტოს:

ოპერაში კეთილი და ბოროტი ძალების დაპირისპირებაა გადმოცემული და როგორც ყველა ზღაპარში, აქაც სიკეთე იმარჯვებს. სიბრძნისა და სიკეთის სამეფოს ზარასტრო განაგებს. მის განადგურებას ღამის დედოფალი განიზრახავს. მისი ქალიშვილია კეთილშობილი პამინა. უფლისწული ტამინო ერთხელ დახედავს პამინას სურათს, შეიყვარებს და მასზე დაქორწინებას გადაწყვეტს. მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, სიკეთე გაიმარჯვებს და პამინა და ტამინო შეუღლდებიან.

მოსწავლეები უყურებენ და უსმენენ ოპერებიდან შემდეგ ეპიზოდებს: უვერტიურას; ტამინოს არიას, პაპაგენოს არიას „ეს ჟღერს ნათლად“; ღამის დედოფლის არიას; პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტს.

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებზე:

1. რომელი გმირი შეიძლება დაახასიათოს კომპოზიტორმა ასეთი მუსიკით: დადებითი თუ უარყოფითი? (ტამინოს და პაპაგენოს არიების მოსმენისას, სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ კომპოზიტორი ახასიათებს დადებით გმირებს, ხოლო ღამის დედოფლის არიის მოსმენისას მოსწავლეები დაადგენენ, რომ კომპოზიტორი ახასიათებს უარყოფით გმირს)
2. მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი შეიძლება იყოს ზღაპრის დასაწყისი? (სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ უვერტიურას)
3. სად ჟღერს მუსიკა, როგორც ჯადოსნური? რა მუსიკალური ხერხით იქმნება ზღაპრული, იდუმალი ჟღერადობა: მუსიკალური ინსტრუმენტის ან ხმის რეგისტრი, ტემბრი თუ ბგერათა ქრომატიული წყობა. (მუსიკა ჯადოსნურად ჟღერს პაპაგენოს არიაში, ზღაპრულ ჟღერადობას ამ შემთხვევაში განაპირობებს მუსიკალური საკრავების რეგისტრი და ტემბრი)
4. როგორ კილოში ჟღერს პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი* – მაჟორულსა თუ მინორულში? (მაჟორულში)
5. ისინი მოჯადოებული გმირები არიან თუ გამარჯვებული? (გამარჯვებული)

მასწავლებელი სთხოვს გაიხსენონ, ან მოიძიონ ლექსიკონში, რა არის დუეტი და შეახსენებს: თქვენ დღეს მოისმინეთ ფრაგმენტები მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“.

**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** (1756-1791) – ავსტრიელი კომპოზიტორი, ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი. მოცარტმა შექმნა შედევრები იმ დროს არსებულ ყველა მუსიკალურ ჟანრში. იგი ადრეული ასაკიდან თხზავდა მუსიკას და ბრწყინვალედ უკრავდა კლავესინსა და ვიოლინოზე. ევროპის ყველა სამეფო კარი და წარჩინებულ არისტოკრატთა სალონები ღია იყო ავსტრიელი ვუნდერკინდისთვის. მოწიფული ასაკიდან, მოცარტი მშობლიურ ზალცბურგში მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით, დასახლდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები. მოცარტის ბოლო ოპერებია „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჟოვანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“; ინსტრუმენტული ნაწარმოებებიდან ცნობილია სიმფონიები №40, 41, საკლავესინო და სავიოლინო კონცერტები, სონატები, ვარიაციები; ავსტრიელი კომპოზიტორის ბოლო ნაწარმოებია გენიალური რეკვიემი.

## 21 ვაშლის გულში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იდირიჟორონ და ნოტების დასახელებით იმღერონ ფრაგმენტი მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“. დაადგინონ, საგასალებო ნიშნის მიხედვით, რომელ ტონალობაშია ჩაწერილი მოცემული ფრაგმენტი: დო მაჟორში, ფა მაჟორში, სოლ მაჟორში, ლა მინორში, მი მინორში, რე მინორში თუ რე მაჟორში. ფრაგმენტი იწყება გარე ტაქტით – სუსტი დროით თუ სრული ტაქტით – ძლიერი დროით?




შემდეგ მოსწავლეები მღერიან სიმღერას ტექსტით, ხოლო მასწავლებელი უკრავს და ეხმარება მოსწავლეებს – მღერის მეორე ხმას.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტს „ჯადოსნური ფლეიტიდან“ – პაპაგენოს არიას „ეს ჟღერს ნათლად“, გერმანულ საბავშვო სიმღერას „პატარა ვაშლის გულში“, რომელიც ამავე მელოდიაზეა აგებული და გერმანულ ხალხურ სიმღერას „მძინარე მზეთუნახავი“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ:

1. მოცემული სიმღერებიდან, რომელ სიმღერაშია გადმოცემული გმირის თავგადასავალი რეგისტრული ცვლილებით?
2. რომელ სიმღერებს ანიჭებს ზღაპრულობას ინსტრუმენტის ტემბრი?

**აქტივობა 3**

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, მღერიან საბავშვო სიმღერას „პატარა ვაშლის გულში“.

## In meinem kleinen Apfel (Das klinget so herrlich)

Melodie aus «Die Zauberflöte».
Hier als Kinderlied.

M: W. A. Mozart
T: Else Fromm




2. In jedem Stübchen wohnen
zwei Kerne schwarz und fein,
die liegen drin und träumen
vom warmen Sonnenschein.

3. Sie träumen auch noch weiter
einen gar schönen Traum,
wie sie einst werden leuchten
am grünen Weihnachtsbaum.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმარტონ, რა აქვს საერთო ამ სიმღერას „ჯადოსნური ფლეიტის“ ფრაგმენტთან.

## 22 მძინარე მზეთუნახავი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მოსწავლეები დადგამენ და გაითამაშებენ სიმღერას „მძინარე მზეთუნახავზე“.

სიმღერის მღერიან სტროფებს და ასრულებენ შემდეგ მოქმედებებს:

1) ბავშვები მძინარე მზეთუნახავის ირგვლივ წრეში ხელჩაკიდებულნი დგანან.
2) საჩვენებელ თითს ზემოთ ასწევენ და მიუთითებენ „მზეთუნახავო, ფრთხილად იყავი, თითში ნემსი არ შეირჭო“.
3) შემოდის ბოროტი ფერია.
4) წრეში მდგომი ხელჩაკიდებული ბავშვები ხელებს გაიშვერენ ბოროტი ფერიისკენ.
5) წრეში მდგომი ხელჩაკიდებული ბავშვები ხელებს გაიშვერენ მზეთუნახავისკენ.
6) უფლისწული ძალით გაარღვევს წრეს, ბავშვები უკან დაიხევენ.
7) უფლისწული ჯადოსნურ სიტყვებს ამბობს: „გაიღვიძე, მზეთუნახავო“ და ახსნის ბოროტი დედაბრის ჯადოს.
8) უფლისწული ხელს ჩაჰკიდებს მზეთუნახავს და ერთად ცეკვავენ.
9) წრეში მდგომი ბავშვები ტაშს უკრავენ.

### Dornröschen

1

Altes Kindergartenspiel — Hessische Volksweise




2



3




4




5 Da wuchs die Hecke riesengroß . . . (I)

6 Da kam der junge Königssohn . . . (II)

7 »Dornröschen, wache wieder auf.« . . . (IV)

8 Da feierten sie das Hochzeitsfest . . . (II)

9 Da jubelte das ganze Volk . . .

# 23 ამოიცანი მოტივი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მოსწავლეები მღერიან და გაეცნობიან რე მაჟორის პარალელურ ტონალობა სი მინორს. პასუხობენ შეკითხვას: რა საერთო აქვთ რე მაჟორსა და სი მინორს?

ბუნებრივი

ჰარმონიული



მელოდიური



მერყევის გადაწყვეტა მყარში



შემდეგ მასწავლებელი გაყოფს კლასს ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი გამოსახავს რიტმს, ხოლო მეორე – მღერის გამა სი მინორს. შემდეგ, ჯგუფები ერთმანეთში გაცვლიან დავალებას.

I ჯგუფი

II ჯგუფი



I ჯგუფი

II ჯგუფი



**აქტივობა 2**

მასწავლებელი უკრავს ქრომატიულ მინორულ და მაჟორულ გამებს. მოსწავლეები მიუსადაგებენ ჟღერადობას ნახატებს, ჩაწერენ გამებს საკუთარი ფანტაზიით და სხვადასხვა პიქტოგრამის გამოყენებით. მაგ.,



მოსწავლეები დააკვირდებიან ნახატებს და დაალაგებენ აჟღერებული გამების თანმიმდევრობას. მასწავლებელი უკრავს მოტივებს:

მოსწავლეები ამოიცნობენ, რომელ კილოსა და წყობაშია დაწერილი ესა თუ ის მოტივი. მღერიან მასწავლებელთან ერთად.



## 24 დედა ბატის ზღაპრები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნახატს, ხელით გამოსახონ რიტმი, ფეხით – მეტრი.





### აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქრომატიული გამა დო მაჟორი:



ქრომატიული გამა ლა მინორი:



### აქტივობა 3

მასწავლებელი მოასმენინებს კლასს ფრაგმენტებს მორის რაველის საორკესტრო სიუიტიდან „დედა ბატი“ და მოუთხრობს: ფრანგმა კომპოზიტორმა მორის რაველმა შექმნა საორკესტრო პროგრამული* ნაწარმოები, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი სხვადასხვა ზღაპრის გმირის შესახებ მოგვითხრობს.

პირველი ნაწილის – „მძინარე მზეთუნახავის პავანა“ – სევდიანი მუსიკა მძინარე მზეთუნახავის მოჯადოებულ მდგომარეობას გადმოსცემს. მოსწავლეები მოისმენენ და პასუხობენ შეკითხვას:

რა სძენს ამ ნაწილს ჯადოსნურ ჟღერადობას – ბგერათა ქრომატიული წყობა, მინორული კილო თუ ორივე ერთად?

მოსწავლეები მოისმენენ სიუიტის შემდეგ ნაწილებს: „ცეროდენა“ და „მწვანე გველი“. მოსმენილი ორი ნაწილიდან, თითოეულს მოარგებენ შემდეგ წინადადებებს:

1) დაღონდა სახლისაკენ მიმავალი ცეროდენა – ჩიტებს საკენკი შეეჭამათ და ბიჭუნა გზას ვეღარ იკვლევდა.
2) საოცარი მუსიკალური საკრავებისა და სათამაშოების ჯადოსნურ სამყაროში ჩინელი პრინცესა ლამაზ მელოდიებს უკრავდა.

მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:

1. რომელ ნაწილშია გადმოცემული ჯადოსნური ზღაპრული სამყარო ბგერათა ქრომატიული წყობით, რომელში – ხუთბგერიანი ჩინური კილო-პენტატონიკით?
2. რომელი ნაწილია დაწერილი მინორულ კილოში?
3. რა როლი აქვს მუსიკალური ინსტრუმენტების ტემბრსა და რეგისტრს სიუიტის ნაწილში „მწვანე გველი“?

მასწავლებელი განმარტავს:

☑ **პროგრამულია** მუსიკა, სადაც კომპოზიტორი ინსტრუმენტული ნაწარმოების შინაარსს წინაწარ განსაზღვრავს, ზოგჯერ სათაურით, ზოგჯერ კი ლიტერატურული წინასიტყვაობით.

ზღაპრის გასაფორმებლად გამოყენებულია მუსიკა რაველის პროგრამული ნაწარმოებებიდან – „უნდინა“, „სკარბო“ და „ზღაპრული ბაღი“.

**მორის რაველი** (1875-1937) – ფრანგი კომპოზიტორი. ბევრი სიახლე შეიტანა კლასიკურ მუსიკაში. მრავალფეროვანია მისი მუსიკალური ინტერესები: ძველი და ახალი ფრანგული მუსიკა, ჯაზის რიტმები და ესპანური ფოლკლორი ენაცვლება ერთმანეთს. მის შემოქმედებაში თანამედროვე პარიზის ცხოვრებაც აისახა. საყოველთაოდ არის ცნობილი რაველის საორკესტრო პიესა „ბოლერო“, აგებული ერთი თემის საფუძველზე, მრავალფეროვანი ტემბრული ვარიაციებით; ნოვატორულია ბალეტი „დაფნისი და ქლოე“; გამოჩენილი პიანისტების რეპერტუარშია საფორტეპიანო კონცერტები სოლ მაჟორი, რე მაჟორი (მარცხენა ხელსათვის); სოლო საფორტეპიანო ნაწარმოებები: „ღამის გასპარი“, „წყლის თამაში“. აღსანიშნავია ასევე ოპერა-ბალეტი „ბავშვი და ჯადოსნობა“ და ინსტრუმენტული სიუიტა „დედა ბატი“.

## 25 მზეთუნახავი და ურჩხული

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქრომატიული გამა სოლ მაჟორი:



ქრომატიული გამა მი მინორი:

**აქტივობა 2**

მოსწავლეები გაიმეორებენ რიტმულ სავარჯიშოს:



**აქტივობა 3**

მოსწავლეები მოისმენენ მორის რაველის საორკესტრო პიესა „მზეთუნახავისა და ურჩხულის დიალოგს“ სიუიტიდან „დედა ბატი“. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს მზეთუნახავის ლაიტმოტივზე. მოსწავლეები მსჯელობენ, როგორ ჟღერს მუსიკა – სევდიანად, მხიარულად, მაჟორში, თუ მინორში. შემდეგ, ისინი მოისმენენ ურჩხულის ლაიტმოტივს – მოჯადოებულის და ბოროტებისაგან დახსნილის. პასუხობენ შეკითხვას – რომელ შემთხვევაში არის ნაჩვენები მოჯადოებული, ურჩხულად ქცეული უფლისწულის სახე და რომელ ეპიზოდში – განჯადოებული, ბოროტებისაგან დახსნილის?

მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ მოჯადოებული ურჩხულის თემა ჟღერს დაბალ რეგისტრში, ხოლო გათავისუფლებულისა – მაღალ რეგისტრში.

მოსმენის დროს მოსწავლეები გამოარჩევენ ეპიზოდს, სადაც ურჩხულისა და მზეთუნახავის ორი განსხვავებული მელოდია ისმის, მათი „საუბარია“ გადმოცემული. ამ ეპიზოდშივე შემოდის თხოვნის ინტონაციაც.

მოსწავლეები გაიხსენებენ, რას ნიშნავს კონტრაპუნქტი* და დაადგენენ, ნაწარმოების რომელ ეპიზოდში ჟღერს ამ ხერხით შექმნილი მრავალხმიანობა.

სიუიტის ბოლო ნაწილის, „ზღაპრული ბაღის“ მოსმენისას, უპასუხებენ შეკითხვას, როგორ მთავრდება ამბავი, რომელიც „ზღაპრულ ბაღში“ ვითარდება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა სიმბოლოთი ჩახატონ ან ჩაწერონ მოსმენილისაგან მიღებული შთაბეჭდილება.

☑ **კონტრაპუნქტი** – სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს ნოტი – ნოტის წინ, წერტილი – წერტილის წინ. კონტრაპუნქტი რამდენიმე დამოუკიდებელი მუსიკალური აზრის შერწყმაა. ის პოლიფონიური მუსიკის შექმნის ერთ-ერთი ხერხია.

## 26 ზღაპრული თუ ყოფითი?

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ტაშით გამოსახავს სხვადასხვა რიტმულ დაჯგუფებას. სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სანოტო ჩანაწერს და ამოიცნონ, რომელი რიტმული სურათის შესაბამისი დაჯგუფება ჟღერს.





მასწავლებელი ეკითხება კლასს, რომელი დაჯგუფებაა მათთვის უცნობი. მას შემდეგ, რაც მოიმენს მოსწავლეების აზრს, განმარტავს:

☑ **სინკოპა** არის რიტმული დაჯგუფება, რომელშიც აქცენტი ძლიერი დროიდან სუსტ დროზეა გადატანილი.

მოსწავლეები მღერიან სინკოპებით ჩაწერილ გამა დო მაჟორს.



**აქტივობა 2**

მასწავლებელი მოასმენინებს კლასს ფრაგმენტს კლოდ დებიუსის საორკესტრო პრელუდიდან „ფავნის ნაშუადღევი დასვენებისათვის“, ასევე მის ორ საფორტეპიანო პიესას: „გოლივოგის ქეიქუოქი“ (ციკლიდან „საბავშვო კუთხე“) და „პატარა ზანგი“.

მოსმენის შედეგად მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ:

1. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ქმნის ზღაპრულ-მითიურ სახეს;
2. რა მუსიკალური ხერხებით (დისონანსი, კონსონანსი, მაჟორული თუ მინორული კილო, ქრომატიული ბგერათა წყობა, მკვეთრი თუ თავისუფალი რიტმი) არის შექმნილი ზღაპრული სახე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, მასწავლებელი განმარტავს:

მოსმენილი ნაწარმოებები ეკუთვნის ფრანგ კომპოზიტორ კლოდ დებიუსის. ზღაპრული, ფანტასტიკური მუსიკით კომპოზიტორმა დახატა მითიური გმირის, ტყის კეთილი სულის, ფავნის სახე. ფავნი, რომაული მითოლოგიის თანახმად, კეთილი სულია, რომელიც მთებში, ტყეებში, მდელოებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობს. იგი უკრავს ფლეიტაზე, შეჰხარის და ტკბება ბუნებით. ფავნი, ბერძნულ მითოლოგიაში, პანის სახელით არის ცნობილი.

მასწავლებელი კვლავ მოასმენინებს ფრაგმენტებს დებიუსის საფორტეპიანო პიესებიდან და ეკითხება მოსწავლეებს:

1. როგორი ჟანრის მუსიკაა: სასიმღერო თუ საცეკვაო?
2. როგორი რიტმული სურათი აქვს ნაწარმოებს, პუნქტირული თუ სინკოპირებული.

კლასში გამართული დისკუსიის შემდეგ, მასწავლებელი მოუთხრობს:

გოლივოგი ნაჭრისგან გაკეთებული სასაცილო თოჯინაა; ქეიქუოქი ზანგების ცეკვაა, სიტყვასიტყვით, „ღვეზელით გასეირნებას“ ნიშნავს. ეს ცეკვა რეგთაიმის წინამორბედია. სიტყვა „რეგთაიმი“ „გაწყვეტილ, გახლეჩილ დროს“ ნიშნავს, რაც ცეკვაში გამოხატულია მელოდიის სინკოპირებული რიტმით. ორივე ცეკვამ ჯაზურ მუსიკაში ჰპოვა ასახვა. პიესა „პატარა ზანგი“ აგებულია რეგთაიმის რიტმზე. კლოდ დებიუსი იყო პირველი კომპოზიტორი, რომელმაც ევროპულ მუსიკაში ამ ცეკვების რიტმები შეიტანა.

მასწავლებელი განმარტავს: დღეს ჩვენ მოვისმინეთ კლოდ დებიუსის ნაწარმოებები – „პრელუდია ფავნის ნაშუადღევი დასვენებისათვის“, „გოლივოგის ქეიქუოქი“ და „ზანგი ბიჭუნა“.

**კლოდ დებიუსი** (1862-1918) – ფრანგი კომპოზიტორი. რამოდენიმე წელი ცხოვრობდა რუსეთსა და იტალიაში. დებიუსიმ საფუძველი ჩაუყარა ახალ მუსიკალურ სტილს, შემოიტანა ორიგინალური მუსიკალური ფორმები, დიდი ადგილი დაუთმო ტემბრულ გამომსახველობას. მან შექმნა ერთი ოპერა „პელეასი და მელიზანდა“; მისი საორკესტრო ნაწარმოებებიდან ცნობილია „ნოქტიურნები“, „ზღვა“, პრელუდია „ფავნის ნაშუადღევი დასვენებისათვის“; საფორტეპიანო ჟანრებიდან: 24 პრელუდია, სიუიტები „სახეები“ და „საბავშვო კუთხე“. იგი წერდა საინტერესო სტატიებს ზოგადად მუსიკისა და თავისი თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი გაყოფს კლასს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მღერის სინკოპებით ჩაწერილ გამას. მეორე ჯგუფი გამოსახავს მეტრს.

I ჯგუფი

II ჯგუფი



**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ ალექსანდრე სკრიაბინის სამ პრელუდს და ეკითხება:

1. რომელი პრელუდი მოგაგონებთ სიტყვებს, რომლებითაც იწყება ყველა ზღაპარი – „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...“
2. მოცემული სიტყვებიდან – იდუმალი, დაძაბული, სევდიანი – რომელი შეესაბამება მოსმენილ პრელუდებს?

შემდეგ მასწავლებელი მოასმენინებს სამ მუსიკალურ ფრაგმენტს:

1) ეპიზოდს იგორ სტრავინსკის ბალეტიდან „ფასკუნჯი“;

2) „მზეთუნახავისა და ურჩხულის“ დიალოგს“ მორის რაველის სიუიტიდან „დედა ბატი“;

3) „ვალსს“ – გმირების ცეკვის ეპიზოდს სერგეი პროკოფიევის ბალეტიდან „კონკია“.

სთხოვს, დაადგინონ, რომელ ეპიზოდშია ასახული გმირების დიალოგი, რომელში – უკვდავი კაშჩეის როკვა, რომელში – ზღაპრული გმირების ცეკვა?

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქრომატიული გამა ფა მაჟორი:



ქრომატიული გამა რე მინორი:



# 28-29 საახალწლო ზღაპარი – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ ფრაგმენტებს შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებებიდან: რაველის „უნდინა“, ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ (ფერია დრაჟეს ცეკვა), რესპიგის „რომის ფიჭვები“, რაველის „სკარბო“, დებიუსის „ფოერვერკი“, რაველის „ზღაპრული ბაღი“; ასევე არფის ჟღერადობას და წყლის ხმებს. წაიკითხონ ზღაპარი და გააფორმონ მოსმენილი ფრაგმენტებით. შეასრულონ დავალება პროგრამა LMMS-ის გამოყენებით.

კლასი გაიყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი წაიკითხავს ტექსტს, მეორე ჯგუფი კი კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ააჟღერებს ტექსტის შესაბამის მუსიკალურ ფრაგმენტს.

**„საახალწლო ზღაპარი“**

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ზღვის ფსკერზე მშვენიერი სამეფო გაშლილიყო. ხელმწიფის ულამაზეს ასულ ნამს თავს ევლებოდნენ ზღვის არსებები. ერთად მღეროდნენ, ცეკვავდნენ, კითხულობდნენ ზღაპრებს ზღვის, მიწისა და ცის სამეფოებზე. ნამს განსაკუთრებით მოსწონდა საახალწლო ამბების მოსმენა; ოცნებობდა, ენახა თოვლიანი ახალი წელი. ერთხელაც, საუკეთესო მეგობარ ნიჟარა მარგალიტთან ერთად ნაპირისაკენ გაცურა.

ამასობაში შებინდდა. ციდან თოვლის ფიფქები ცვიოდა. განცვიფრებული ნამი აღტაცებით შეჰყურებდა მათ. შორიდან ისმოდა საახალწლო დღესასწაულის ხმები, ბავშვების ჟრიამული, მუსიკა და ფოერვერკის ქუხილი. ცაში უამრავი ლამაზი ფერი ირეოდა.

ნამის მზერა ეულმა, მოწყენილმა ჭაბუკმა მიიპყრო. ნამს მიწის მცხოვრების გაცნობა მოუნდა და მიუახლოვდა მას, მაგრამ, ყმაწვილის მკაცრი მზერისაგან დამფრთხალი, ადგილს გაშორდა. დაღონდა ნამი, აღარც თოვლი ახარებდა, აღარც ახალი წელი. ზღვაში შეცურდა. გაკვირვებული შეჰყურებდა მარგალიტი მეგობრის ასეთ გარდაქმნას. მოესმა ნამის ხმა – „სახლში ვბრუნდებითო“.

შეწუხდა ხელმწიფე, მოიხმო მრჩეველი და ჰკითხა:

– როგორ დავუბრუნოთ ხალისი და მხიარულება ჩემს ასულსო?

– ზღვისპირა სამეფოში მოჯადოვებული უფლისწული ალი ცხოვრობს. ყველას, ვისაც შეხედავს, დარდით ავსებს. სწორედ მან წაართვა ნამს ხალისი. – თქვა მრჩეველმა. – მხოლოდ ჩვენი სამეფოს ჯადოსნურ წყაროს შეუძლია დაიხსნას უფლისწული და გაათავისუფლოს მისი მზერით მოჯადოვებული ნამი.

– ვინ წაუღებს წყაროს წყალს უფლისწულს? – იკითხა ხელმწიფემ.

– მე გავცურავ ნაპირისკენ, ვიპოვი ალს, ვაპკურებ წყაროს წყალს და გადავარჩენ მეგობარს, – გაისმა მარგალიტის ხმა.

მიქრის და მიაპობს ტალღებს მარგალიტი. სამეფო სევდამ მოიცვა, აღარც სიცილი ისმის და არც მხიარული თამაშის ხმები – ბუტბუტებენ ტალღები და ნაპირისკენ მიაცილებენ მარგალიტს.

თოვლის ფიფქები ეგებებიან, გზას უჩვენებენ და თან მღერიან:

„აქეთ წამოდი, უფლისწულს ძინავს,
აპკურე წყალი, სანამ დრო არის,
წვეთი მოხვდება ალის სახეზე
და გაცოცხლდება მასში სიკეთე.
ხალისი შეცვლის სევდას ნამისას,
კვლავ სიხარულის დადგება ჟამი.
და დამარცხდება ბოროტი წამი“.

მარგალიტმა ჯადოსნური წყაროს წყალი აპკურა მძინარე ალს და გამოაღვიძა. სიკეთით და სიყვარულით აივსო უფლისწულის მზერა. ხელმწიფე, ზღვის არსებები და ხალისიანი ნამი მხიარულად ხვდებოდნენ ახალ წელს. ცის, მიწისა და ზღვის სამეფოები საახალწლო ზეიმმა მოიცვა.

## მუსიკა და ჩვენი ყოფა
## თემა: მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები

მოცემულ თემას დაეთმობა 10 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- რა მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ თანხლებას კომპიუტერულ პროგრამებში? მუს.
- რა მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ თანხლებას კომპიუტერულ პროგრამებში? მუს.
- როგორ შევადგინოთ ტრეკერი რომელიმე კომპიუტერული თამაშისთვის?
- როგორ ჩავწეროთ და დავიმახსოვროთ ტრეკერი?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს. დაწყ.(II).3. დაწყ.(II).4,5,6,7;

**მიზანი:** ახალი ტექნოლოგიების: ტრეკერი, ლუპი, ეფექტი, პატერნი და შესრულების ხერხების: გლისანდო, პორტამენტო, სტაკატო, ვიბრატო გაცნობა და შეძლებისდაგვარად პრაქტიკაში გამოყენება.

## 30-31 ტექნიკური ხმები – 1

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი მუსიკალურ-ინტონაციური სივრცე შექმნეს. მათთან ერთად წარმოიშვა ახალი ხმოვანება, ახალი ხმა-ბგერები, რომლებსაც ისინი გამოსცემენ. ეს ხმა-ბგერები ჟღერს სხვადასხვა ოპერაციების შესრულებისას: კომპიუტერის გახსნა, გათიშვა, მესიჯის გაგზავნა, მიღება, კომენტარისა და სატატუსის დადება, პოსტის გაზიარება. ყველა ეს ოპერაცია გამოსცემს განსხვავებულ და ორიგინალურ ხმა-ბგერებს. და თუ მათ მოვუსმენთ, შევკრებთ, დავაჯგუფებთ, გადავაქცევთ სემპლებად და შევიტანთ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში, შესაძლებელია, შევქმნათ ახალი კომპოზიციები. ისე, როგორც ვქმნიდით სამყაროში არსებულ სხვადასხვა ბგერებისა და ინტონაციებისაგან. ამ ინტონაციებში ჩანს განწყობა; სამყაროს ხმა-ბგერებში სხვა, ხოლო ტექნიკურ ხმებში სრულიად განსხვავებული. ბავშვმა უნდა მოუსმინოს ამ განსხვავებულ ხმა-ბგერებს, გაავლოს პარალელი მათ შორის. მიუდგეს შემოქმედებითად და შექმნას ახალი. ამ ყველაფერს სამყაროდან ვსწავლობთ. ვუსმენთ მას გულისყურით, თუ როგორ უნდა დავწეროთ მუსიკა.





**აქტივობა 1**
**Windows-ისა და მობილურის ხმები**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს აუდიოჩანაწერს – კომპოზიციას, რომელიც ვინდოუსისა და მობილურის ტექნიკური ხმებისგანაა შედგენილი. სთხოვს ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ ამ კომპოზიციას, ამოიცნონ ხმები. ბავშვები ასახელებენ, რომელი ხმა-ბგერები იყო გამოყენებული ამ კომპოზიციაში და რომელი – არა. შემდგომ მასწავლებელი ერთხელ კიდევ მოასმენინებს ბავშვებს

კომპოზიციას და სთხოვს მათ ვიზუალურად გამოსახონ მოსმენილი.



Windows-ისა და მობილურის ტექნიკური ხმე-ბისაგან შედგენილი მუსიკალური კოლაჟის გრაფიკული გამოსახულება განლაგებული ტრეკებზე.

## 32-33 ტექნიკური ხმები – 2

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

### აქტივობა 1

McBook, iPhone – მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს აუდიოჩანაწერს – კომპოზიციას, რომელ-იც McBook-ისა და iPhone-ს ხმებისგან არის შედგენილი. სთხოვს ბავშვებს, მოუსმინონ ამ კომ-პოზიციას და ამოიცნონ ხმები. შემდგომ ცალკე ასმენინებს იგივე ხმებს და ბავშვები ასხვავებენ ხმა-ბგერებს და ამოიცნობენ iPhone-ის ზარებს. შემდგომ ხმებს გამოსახავენ გრაფიკულად ან პიქ-ტოგრამებით. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს **ვიდეოს**, სადაც სიმფონიური ორკესტრი ასრულებს კომპოზიციას, რომელიც ასეთი ტექნიკური ხმებისგანაა შექმნილი. ბავშვები მსჯელობენ და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.



McBook-ისა და iPhone-ს ტექნიკური ხმებისაგან შედგენილი მუსიკალური კოლაჟის გრაფიკული გამოსახულება განლაგებული ტრეკებზე.

### აქტივობა 2

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ მუსიკალურ კოლაჟებს და გამოხატონ გრაფი-კული ხაზით ან პიქტოგრამით.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, აარჩიონ ტექნიკური ხმები, გადააქციონ სემპლებად, შეი-ყვანონ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში და შექმნენ სხვადასხვა მუსიკალური კოლაჟი.

მასწავლეებლი განმარტავს:

**კოლაჟი** – ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს. ხელოვნებაში იგი განსხვავებული

ფორმების ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას ჰქვია, **მუსიკალური კოლაჟი** – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური ნაწარმოებია.

**ტრეკი** – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას, ნიშნავს; მუსიკაში – მუსიკალურ გზას; კომპიუტერულ პროგრამაში – ტრეკებზე განლაგებულ ადამიანის ან საკრავის ხმას. **ტრეკერი** კი ტრეკების ერთობლიობაა.

## 34-35 ლუპი და პატერნი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,



**„ლუპი“** ინგლისური სიტყვაა და კვანძს, წრიულ ფორმას ნიშნავს. ის ელექტონული მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველი ხერხია. ელექტრონულ მუსიკაში ასეთი ფორმა წარმოიქმნება „ლუპების“ გამეორებით. ბავშვებისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს, „ლუპი“ შეიძლება შევადაროთ ერთ ან რამოდენიმე განმეორებად ტაქტს, სადაც ერთი და იგივე მოტივია ჩაწერილი. ის ოსტინატოს პრინციპით არის აგებული. ვიზუალურად შეიძლება გლობუსს შევადაროთ, სადაც დასაწყისი და დასასრული ერთმანეთში იდეალურად გადადის – შეერწყმის. როგორც აღვნიშნეთ, „ლუპი“ რამდენჯერმე გადაბმული ერთი და იგივე მონაკვეთია. მათი გადაბმის ადგილი მსმენელისთვის შეუმჩნეველი რჩება. „პატერნი“ – ინგლისური სიტყვაა და უმცირეს ნაწილაკს ნიშნავს. იგი შეგვიძლია, შევადაროთ ინტონაციას მუსიკაში. ელექტომუსიკაში კი, ესაა პატარა ინტონაცია, „ფაზლის“ ნაწილი, რისგანაც ეწყობა „ლუპი“. მაგ., მობილურის ცალკეული ხმები, ზარები – იგივე „პატერნებია“. „ლუპის“ ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარია და ეს განაპირობებს მის მრავალფეროვნებას.

**„ლუპი“** იქმნება რამოდენიმე პატერნისაგან , რომელიც უსასრულოდ მეორდება და ასე ქმნის კომპოზიციას. ის მუსიკის შექმნის გარკვეული ხერხია. მეორდება და მეორდება, თითქოს წრეზე დადის და ასრულებს ერთი და იგივე მოძრაობას. ამ ხერხით იქმნება როგორც ელექტრონული მუსიკა, ასევე თანამედროვე მუსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. ლუპის ასეთი მოძრაობა შეგვიძლია შევადაროთ ფერხულებსაც, სადაც სიმღერის ერთი და იგივე მონაკვეთი წრეზე უსასრულოდ შეიძლება შესრულდეს. ელექტრონული მუსიკის კომპოზიციებში მოტივი ტალღისებურად, წყვეტილად, მოქნილად გადადის, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია ისეთი გამომსახველობითი ხერხები, როგორიც არის სტაკატო, ლეგატო, გლისანდო, პორტამენტო.



პატერნების გრაფიკული სურათი


ჯ. პლატო – ფენაკისტისკოპი


ლუპის გრაფიკული სურათი

ბავშვები უსმენენ ლუპის ხმოვან ნიმუშებს. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ ვიდეოს ჯ. პლატო – ფენაკისტისკოპი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ გრაფიკულ ჩანაწერებს, იპოვონ მსგავსება და განსხვავება.












მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს გვიდო დ'არეცოს სანოტო დამწერლობის ისტორიას.

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, მოიძიონ ლექსიკონში სიტყვები: ფენაკისტისკოპი, ოსტინატო, ელექტრონული მუსიკა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ბავშვებს გააცნობს ქართველ დიჯეებს. დიჯეი ინგლისური სიტყვაა disc-jokey და ნიშნავს ადამიანს, რომელიც ქმნის ელექტრონულ მუსიკას. დიჯეი – შემოკლებით **DJ**.

## დიჯეი ზურკინი DJ Zurkin

Zurkin ქართველი დიჯეი და ლეიბლ Vodkast Records – ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. მუსიკით იგი ადრეულ ასაკში დაინტერესდა, როდესაც ღამის კლუბებში სიარულის პირველი გამოცდილება მიიღო. ეს ინტერესი მალე პროფესიულ საქმიანობაში გადაიზარდა და ზუკამ რამდენიმე წელიწადში დიჯეინგიც დაიწყო. მისი მუსიკალური ინსპირაციები ბევრად მრავალფეროვანია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მიმართულება. 2014 წელს, ელექტრონული მუსიკის და ინოვაციური პოპ კულტურის დაჯილდოვების ცერემონიალზე Electronauts Zurkin წლის საუკეთესო დიჯეიდ დასახელდა. ამის პარალელურად, მეგობრებთან ერთად, მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლეიბლს და ვინილების მაღაზია Vodkast Records-ს – „ერთი წელი არც არის, რაც ფირფიტების მაღაზია გავხსენით თბილისში და გვინდა, ეს პატარა სივრცე ყველა მუსიკის მოყვარული ადამიანისთვის საყვარელ თავშეყრის ადგილად ვაქციოთ" – ამბობს Zurkin „ვიტამინთან "ინტერვიუში. დღესდღეობით Zurkin ქართველი კლუბების და ფესტივალების ერთ-ერთი ფავორიტი დიჯეია.

თბილისში ელექტრონული მუსიკის მოყვარულების (მსმენელების) რიცხვი დღითიდღე იზრდება. მისი პოპულარიზაცია პირდაპირ კავშირშია მოქმედ კლუბებთან, ასევე ელექტრონული მუსიკის პიონერებთან და ახალი თაობის დიჯეებთან.

ბოლო ათწლეულია ქართველი დიჯეები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ საერთაშორისო რუკაზე და შეიძლება თამამად ითქვას, რომ თბილისი უცხოელი მუსიკოსების საყვარელი ადგილია.





მასწავლებელი ასმენინებს კომპოზიციებს IC122 (სანდრო თავართქილაძე) – Early Morning, I'm Alright, Toke (თორნიკე ნიკოლაიშვილი) – Lost Mood, Micro Bax (ბაქი ღორთქიფანიძე) – Walter.

მოსწავლეები ლექსიკონში მოიძიებენ სიტყვებს: ლეიბლი, პოპ-კულტურა, ბრენდი.

## დიჯეი რატი DJ Rati

**რატი ერაძე** დამწყები პროდიუსერი და დიჯეია. ელექტრონული მუსიკის პროდიუსინგით 2013 წელს დაინტერესდა. ამ ინტერესის მთავარი მიზეზი იყო არა მუსიკალური, არამედ ტექნიკური მხარე – ხმასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ იგი თვითონვე ჰქმნიდეს მუსიკალურ ჟღერადობას. პროდიუსინგი და მუსიკოსობა სრულიად განსხვავებული ცნებებია – იყო მუსიკოსი, არ ნიშნავს იყო პროდიუსერი და პირიქით.

– „დიჯეისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, ამიტომაც მათ უმეტესობას დაკვრის სწავლა სწორედ პროცესის დროს უწევს ღამის კლუბში. შესაბამისად, ძირითად შემთხვევაში შეუძლებელია სახლში გახდე პროფესიონალი დიჯეი და შემდეგ გახვიდე ასპარეზზე. ბევრი შეცდომის დაშვებით, ხალხის თანადგომითა და ისევ გაგრძელებით“ – ამბობს რატი.




ბავშვები ისმენენ რატის კომპოზიციას – Have A Nice Flight

**გლისანდო** – იტალიური სიტყვაა (glissando) და სრიალს ნიშნავს. ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან ტალღისებურ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე.

**პორტამენტო** – იტალიური სიტყვაა (portamento) და გადატანას ნიშნავს. ეს არის შესრულების ხერხი, რომლის დროსაც ნოტი მაშინვე ზუსტად კი არ აიღება, არამედ თანდათანობით, მოქნილად, გადადის შემდეგი ნოტის სიმაღლეზე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ რიტმული პატერნები, შეადგინონ ლუპი, გადააქციონ სემპლებად და ააჟღერონ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში.

## 38-39 როგორ შევადგინოთ ლუპი?

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი,

### აქტივობა 1


ლუპის გრაფიკული გამოსახულება

მასწავლებელი შეახსენებს და განმარტავს, **ლუპი** ინგლისური სიტყვაა და კვანძს, წრიულ ფორმას ნიშნავს. ის ვიზუალურად მარტივად ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ (იხ. ფოტო ლუპის გრაფიკული გამოსახულება). სთხოვს გაიხსენონ, ქართული ხალხური სიმღერები: „მამლი მუხასა“, „შინა ვორგილ“, „ჩიტის ნალი მიპოვნია“, რომლებსაც ისინი წინა კლასებში ხელჩაკიდებულნი ფერხულში ასრულებდნენ, დადიოდნენ წრეზე და მღეროდნენ ერთსა და იმავე მელოდიას. შესთავაზებს ამოიღონ რომელიმე სიმღერიდან პატარა მოტივი. მაგალითად: სიმღერის „მამლი მუხასა“ დასაწყისი

ფრაზა სიტყვებით: „მუხა წონწილებს, წონწილებს, მამლი მუხასაო“. ეს მოტივი რა ნოტითაც იწყება, იმავეზე მთავრდება, ასევეა ლუპში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, „მამლი მუხასას“ ეს პატარა ინტონაცია გადააქციონ სემპლად, შეიყვანონ კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამაში, ააჟღერონ, გაიმეორეონ რამდენჯერმე და „წრეზე დაატრიალონ“. ეს არის „ლუპი“, რომელიც ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველი ხერხია. თუ ამ ინტონაციას კიდევ უფრო დავანაწილებთ, დავყოფთ პატარ-პატარა სემპლებად-ხმებად, მივიღებთ პატერნს. პატერნების ერთობლიობა ქმნის ლუპს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ საყვარელი სიმღერებიდან ლუპის შესაბამისი მოტივები და კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამა LMMS-ში შექმნან ლუპის მაგალითები.

„მამლი მუხასა“ – ლუპის ნიმუში




მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როგორი რიტმული დაჯგუფებით არის ჩაწერილი სიმღერის მელოდია?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ პატარა პატერნები, შეადგინონ ლუპი, გადააქციონ სემპლებად და ააჟღერონ მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში.

## ტექნიკური ხმები – 3

**ამოიცანი ხმები:** მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ორ ვიდეოს – Windows-ის ხმოვანი სქემა. ეს არის ერთგვარი კომპოზიცია, რომელიც Windows-ის სხვადასხვა ხმებისგან არის შედგენილი. ბავშვები უყურებენ, უსმენენ და ამოიცნობენ ამ ხმა-ბგერებს. შემდგომ მასწავლებელი ცალ-ცალკე ასმენინებს ამ ხმებს და სთხოვს ბავშვებს, დაასახელონ ის ხმები, რომლებიც ამ კომპოზიციაში იყო გამოყენებული, გამოიცნონ, რომელი ხმა ისმოდა და რომელი არა.

შეარჩიე პატარა მოტივები – პატერნები, შეადგინე ლუპი გადააქციე სემპლებად და ააჟღერე მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში.

## მუსიკა და კინო
## თემა: მუსიკის როლი მუნჯ კინოში

მოცემულ თემას დაეთმობა 7 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- რა როლი ენიჭება მუსიკალურ თანხლებას მუნჯ კინოში?
- როგორ შევადგინოთ მუსიკალური თანხლება მუნჯი კინოს ეპიზოდისთვის? როგორ ჩავწეროთ მუსიკალური თანხლება?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3. მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;

**მიზანი:** მთავარი თემის, პერსონაჟის თემის, კულმინაციური თემის, ქრონომეტრაჟის, მუსიკალური ფონის, მუსიკალური კულმინაციის, ვარიაციის გააზრება-გაცნობა.

## 40 ღიმილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

კინოხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებაა მუნჯი კინო, სადაც ძირითადი აქცენტი გადადის მსახიობის მიმიკასა და ჟესტიკულაციაზე. ასეთ ფილმებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას, რადგან იგი ღრმა ემოციურ კავშირს ქმნის მაყურებელსა და მოქმედებას შორის. მას შეუძლია მაყურებელი დაამშვიდოს, გაახალისოს, გაუღვიძოს სიმპათია ან პირიქით, უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატოს რომელიმე პერსონაჟის ან მოვლენის მიმართ. მუსიკა ამძაფრებს კადრში გადმოცემულ განწყობას, ან პირიქით, უპირისპირდება ასახულ გრძნობებს. ზოგჯერ წინასწარ ამზადებს მოსალოდნელ სიტუაციას.

კინოხელოვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე, კინოთეატრში, მუნჯი კინოს მსვლელობის დროს,მუსიკალური გამფორმებელი, ტაპერი, ფორტეპიანოზე პოპულარული მელოდიების ფრაგმენტებსა და იმპროვიზაციებს ასრულებდა. ზოგჯერ ტაპერები მომავალში სახელგანთქმული კომპოზიტორები გახდნენ. რუსი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი ამბობდა, რომ ტაპერად მუშაობა მას მომავალში კინომუსიკის შექმნაში გამოადგა.

კინოხელოვნების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა კინომუსიკის როლიც. ტაპერი შეცვალა ფილმისათვის სპეციალურად შექმნილმა მუსიკამ, რომელსაც ხმისჩამწერ სტუდიაში წერდნენ და ფილმთან ერთად ამონტაჟებდნენ.

მუნჯი კინოს გენიალური მსახიობი და რეჟისორი ჩარლი ჩაპლინი თავისი ფილმებისათვის თავად წერდა მუსიკას.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფინალურ ფრაგმენტს ფილმიდან „ახალი დროება“ მუსიკის გარეშე და სთავაზობს, იმსჯელონ ეპიზოდის შინაარსზე. შემდეგ ასმენინებს სამ ფრაგმენტს ამავე ფილმის მუსიკალური თანხლებიდან და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რომელი ფრაგმენტი შეესატყვისება კადრებს. ახსნან, რის მიხედვით გააკეთეს არჩევანი.

მოსწავლეები აკვირდებიან ფილმის ეპიზოდს, პასუხობენ შეკითხვებს:

1. რომელი გამომსახველი ხერხით არის გადმოცემული ფილმის ბედნიერი დასასრული, ნათელი მომავლის იმედი?

ა) მსახიობთა მიმიკითა და ჟესტიკულაციით;

ბ) კადრში ასახული გარემოთი;

გ) მუსიკალური თანხლებით.

მასწავლებელი განმარტავს:

ჩარლი ჩაპლინის მელოდიაზე ფილმიდან „ახალი დროება" პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა მაიკლ ჯექსონმა შექმნა სიმღერა Smile („ღიმილი"). მოსწავლეები ისმენენ სიმღერას, შეადარებენ ორიგინალს, პასუხობენ შეკითხვას, რამდენად სახეშეცვლილია ჩაპლინის მელოდია ჯექსონის სიმღერაში.

კლასი, მასწავლებელთან ერთად, მღერის სიმღერას (იხ. დანართი)

## Smile




**მიმიკა** – ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს; ეს სახის ნაკვთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვხატოთ სხვადასხვა განცდა – სიხარული, სევდა და ა.შ.

**ჟესტიკულაცია** – არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმაა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობებისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს კლასს, მოუსმინონ რამდენიმე მუსიკალურ თემას ჩარლი ჩაპლინის ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და დააკვირდნენ კადრებს; მასწავლებელი ეკითხება:

როგორ ფიქრობთ, რომელ პერსონაჟებს ახასიათებს ეს მუსიკალური თემები?






მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ორ ეპიზოდს ფილმიდან და სთხოვს, ამოიცნონ მოსმენილი თემები, შეამოწმონ, რამდენად სწორი იყო მათი ვარაუდი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნახონ ფრაგმენტები ფილმიდან. უპასუხონ კითხვებს და დაასაბუთონ პასუხები:

1. რომელ ეპიზოდშია ორივე პერსონაჟის მუსიკალური დახასიათება?
2. რომელ ეპიზოდში ახასიათებს მუსიკა მხოლოდ ერთ პერსონაჟს, მიუხედავად იმისა, რომ კადრში ორი პერსონაჟია? როგორ ფიქრობთ, რატომ?
3. ვინ გაახსენა მთავარ გმირს ასფალტზე დაგდებულმა ყვავილმა? რა მიგვანიშნებს ამაზე?
4. თქვენი აზრით, როგორ განწყობას გვიქმნის მუსიკალური თანხლება ფილმის ფინალში?

ა) ისინი დაქორწინდებიან და ბედნიერად იცხოვრებენ;

ბ) ისინი სამუდამოდ დაშორდებიან ერთმანეთს;

გ) ქალიშვილის მეხსიერებაში მაწანწალა ერთ-ერთ უძვირფასეს ადამიანად დარჩება.

## 42 დახატე მუსიკალური თანხლება

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ რიტმულ სავარჯიშოს:



**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ნახონ რამდენიმე ფრაგმენტი ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" და დაადგინონ, რომელი ფრაგმენტი გვიქმნის წარმოდგენას, რომ მთავარი გმირები ერთად იქნებიან?

 

ა) კრივის ეპიზოდი;
ბ) ფინალური ეპიზოდი;
გ) გმირების პირველი შეხვედრა;
დ) ვალსი.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ეპიზოდს ფილმიდან. სთხოვს დააკვირდნენ, მუსიკა ფრაგმენტის საერთო განწყობას გადმოსცემს თუ რომელიმე გმირის?

**აქტივობა 4**

მასწავლებელი კიდევ ერთხელ უჩვენებს კადრებს ფილმიდან. მოსწავლეები ჩაწერენ პიქტოგრამებით ან ჩახატავენ ფილმის მუსიკალურ თანხლებას.

## 43 ქრონომეტრაჟი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ და იმღერონ გამა სი ბემოლ მაჟორი და მერყევი საფეხურები მყარში გადაწყვიტონ.



**აქტივობა 2**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფრაგმენტს ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და სვამს შეკითხვას: რომელი პერსონაჟის სახეს გვიხატავს ფილმის მუსიკალური თანხლება?

მასწავლებელი უჩვენებს კადრებს ამავე ფილმიდან მუსიკალური თანხლების გარეშე და მოსწავლეებს სთხოვს, მუსიკალურად გააფორმონ შემდეგი ნაწარმოებებით: რევაზ ლაღიძის პიესა „საჭიდაო“, რევაზ ლაღიძის მუსიკა კინოფილმისათვის „ყვავილი თოვლზე“.

დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს დასჭირდებათ სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. ისინი შეარჩევენ ნაწარმოებს, შეადარებენ გასახმოვანებელი კადრების და მუსიკალური ნაწარმოების ქრონომეტრაჟს; კომპიუტერული პროგრამა Audacity's მეშვეობით გამოყოფენ შერჩეულ ფრაგმენტს, გახსნიან კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში და ააჟღერებენ კადრების შესატყვისად.

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფილმს პირვანდელი გახმოვანებით, შემდეგ – ახალი მუსიკალური თანხლებით. მოსწავლეები იმსჯელებენ და შეადარებენ ნანახს საკუთარ ნამუშევარს.

**ქრონომეტრაჟი** – რაიმე პროცესების, მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

## 44-45 გაახმოვანე კადრები – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**თავისუფალი აქტივობა 1. რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ და იმღერონ გამა სოლ მინორის სამი სახე და მერყევი საფეხურები მყარში გადაწყვიტონ.



**აქტივობა 2**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს კადრებს ფილმიდან „ოქროს ციებ-ცხელება“ და სთხოვს მათ, იმსჯელონ, რას გამოსახავს ფილმის მუსიკალური თანხლება?

ორი მუსიკალური ფრაგმენტიდან მოსწავლეები შეარჩევენ ფილმის ეპიზოდის შესატყვისს; პროგრამა Audacity-ის მეშვეობით გააკეთებენ მუსიკალური ფრაგმენტის ქრონომეტრაჟს და შეუსაბამებენ მოცემულ კადრებს.

მასწავლებელი განმარტავს: გასახმოვანებლად შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებიდან ერთ-ერთია იოჰან შტრაუსის „რადეცკის მარში“, ხოლო მეორე ნაწარმოები „სერენადა“ ეკუთვნის ფრანც შუბერტს.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი უჩვენებს კადრებს ფილმიდან „ოქროს ციებ-ცხელება“ და სთავაზობს ფრაგმენტებს მუსიკალური ნაწარმოებებიდან: ფერენც ლისტის „უნგრულ რაფსოდია“ №6 და რიჰარდ ვაგნერის „საქორწილო მარში“ (ოპერიდან „ლოენგრინი“); სთხოვს მოსწავლეებს, დაკვირვებით მოუსმინონ ნაწარმოებებს, პროგრამა Audacity-ის მეშვეობით, გამოყონ შერჩეული ფრაგმენტები, გახსნან LMMS-ში და ააჟღერონ კადრების შესატყვისად.

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეები ნახულობენ ფილმს პირვანდელი მუსიკალური გაფორმებით და მსჯელობენ, რამდენად სწორი იყო მათი ვარაუდი.

**აქტივობა 4**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ რომელიმე მუნჯი კინოფილმი და გააფორმონ სასურველი კადრები მუსიკალური ფრაგმენტებით, რომელსაც თავადვე მოიძიებენ.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა არის მუსიკალური თემა. შემდეგ განმარტავს: პროფესიულ მუსიკაში ჩამოყალიბდა მუსიკალური ფორმა „თემა ვარიაციებით“. ესაა მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება თემისა და მისი სახეშეცვლილი გამეორებებისაგან.

☑ **ვარიაცია** ლათინური სიტყვაა და სახეცვლას ნიშნავს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ თემა მოცარტის დო მაჟორული ვარიაცებიდან.



შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ მოცარტის „ვარიაციებს დო მაჟორი“, რომლის თემაში გამოყენებულია ფრანგული ხალხური სიმღერის მელოდია; სთხოვს იმსჯელონ, როგორ იცვლება, ვარირებს თემა.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფრაგმენტს მიხეილ კობახიძის კინოფილმიდან „ქოლგა“. განმარტავს, რომ მუსიკალური თანხლებით დახასიათებულია ფილმის სიმბოლური პერსონაჟი „ქოლგა“. ეს თანხლება ყოველთვის თან სდევს ქოლგის გამოჩენას, ანუ მისი მუსიკალური თემაა. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფილმს 5:28-16:31 და სთხოვს, აღმოაჩინონ:

ა) სად, რომელ ეპიზოდებში ჟღერს ქოლგის თემა; ყოველთვის ერთნაირია იგი, თუ ზოგჯერ სახეშეცვლილი?

ბ) თემის სახეცვლის შემთხვევაში, მუსიკის რომელი გამომსახველობითი ხერხით არის გადმოცემული ცვლილება? (იცვლება რიტმული სურათი, ტემპი, კილო).

## მუსიკა და თეატრი
## თემა: მუსიკა დრამატულ თეატრში

მოცემულ თემას დაეთმობა 7 გაკვეთილი.
**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ ჩანს სპექტაკლის მუსიკაში რეჟისორის ჩანაფიქრი?
- რა პრინციპით შევურჩიოთ სპექტაკლს მუსიკალური თანხლება?
- რა სიმბოლოებით აღვნიშნოთ თანხლება?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3; მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7.
**მიზანი:** სიუჟეტური და პირობითი მუსიკის, კონტრასტული, ილუსტრაციული და ასოციაციური მუსიკალური ფონის, რიტმის, ტემპის გააზრება-გაცნობა.

## 47 თეატრი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს თეატრის შესახებ: თეატრის წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთ-ერთი თეორიით, თეატრი წეს-ჩვეულებებისა და მაგიური რიტუალებისაგან წარმოიშვა. ძველ რიტუალებში ყოველთვის იყო თამაში, მონაწილეები ხშირად იყენებდნენ ნიღბებსა და სპეციალურ კოსტიუმებს. ადამიანი „თამაშობდა" (მაგ., განასახიერებდა ღვთაებას) და ამით ზეგავლენას ახდენდა სხვა ადამიანებსა და ბუნებაზე. დროთა განმავლობაში ზოგიერთი რიტუალი საერო თამაშად იქცა და ართობდა მაყურებელს. ასეთ თამაშებში მაყურებლებიც მონაწილეობდნენ. სხვა თეორიის თანახმად, რაც უფრო ვითარდებოდა ადამიანი, მით უფრო ძლიერდებოდა სურვილი, გამოეხატა საკუთარი თავი რაიმე სანახაობაში და ემოციური ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე.

ხელოვნების განვითარების მანძილზე, სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში თეატრის მრავალფეროვანი ჟანრები შეიქმნა. უმდიდრესი ტრადიციები აქვს ქართულ თეატრსაც.

თეატრმა გააერთიანა ხელოვნების სხვადასხვა დარგი. სპექტაკლი მწერლის, რეჟისორის, მსახიობთა დასის, მხატვრისა და მუსიკოსის ერთობლივი ნამუშევარია. დრამის, მუსიკისა და მხატვრობის გამომსახველი ხერხები პერიოდულად სხვადასხვა სიძლიერით მჟღავნდებოდა და თეატრის ახალ ჟანრებს ბადებდა. ასე შეიქმნა მუსიკალური სპექტაკლები: ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, მიუზიკლი. მუსიკას ძლიერი ემოციური ზემოქმედება აქვს დრამატულ სპექტაკლშიც. იგი ყოველთვის ამჟღავნებს იმ ფარულს, რისი გამოთქმა არც სიტყვას და არც მიმიკა-ჟესტიკულაციას არ ძალუძს.

მუსიკალური გაფორმება თეატრალურ სპექტაკლს მუდმივად თან სდევს. ხშირად, ცეკვა და სიმღერა, სოლო თუ საანსამბლო ნომრები, სპექტაკლის სიუჟეტის განვითარების განუყოფელი ნაწილია.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოისმინონ გერმანელი კომპოზიტორის, ბერნარდ ფილსის სიმღერა Sclafe, mein Prinzchen, შექმნილი გერმანელი დრამატურგის, ფრიდრიხ ვილჰელმ გოთერის სპექტაკლისათვის „ესთერი". სიმღერის ავტორად ადრე ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს მიიჩნევდნენ, შესაძლოა, განსაკუთრებული მელოდიურობისა და სხვა მუსიკალური ღირსებების გამო.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, განსაზღვრონ, როგორი შინაარსის შეიძლება იყოს თეატრალური პიესის ის ეპიზოდი, სადაც ეს სიმღერა ჟღერს.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები იმღერებენ სიმღერას Sclafe, mein Prinzchen (იხ. დანართი 9, გვ. 115).

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთავაზობს კლასს, მოისმინონ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმღერა „ზაზუნა“, რომელიც ასევე სპექტაკლისათვის შეიქმნა, კერძოდ, დიდი გერმანელი პოეტის, ვოლფგანგ გოეთეს დრამისათვის „ბაზრობა ფლუნდერსვაილერში“. სთხოვს, იმსჯელონ სიმღერით გადმოცემულ განწყობაზე.

## 48-49 პერ გიუნტი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მასწავლებელი განმარტავს მუსიკის მნიშვნელობას დრამატულ თეატრში: მუსიკას სხვადასხვა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს.ზოგჯერ იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს სპექტაკლის მოქმედების განვითარებაში, ზოგჯერ მოქმედების ილუსტრაციაა, ხან გადმოგვცემს გმირთა ხასიათს ან ემოციურ განწყობას, ხან კი პირიქით, მუსიკა სპექტაკლის სიუჟეტის კონტრასტულ ფონს ქმნის.

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს ნორვეგიელი კომპოზიტორის, ედვარდ გრიგის საორკესტრო სიუიტა „პერ გიუნტს“. ასმენინებს მის პირველ პიესას – „დილა“. შემდეგ განმარტავს, რომ სიუიტას საფუძვლად დაედო სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა. სუიტის ნაწილების მუსიკა, სხვა მუსიკალურ ფრაგმენტებთან ერთად, გრიგმა, თავდაპირველად, ნორვეგიელი დრამატურგის ჰ. იბსენის დრამისთვის შექმნა.

მასწავლებელი ყვება ჰ. იბსენის  დრამის შინაარსს.

დრამაში მოთხრობილია ნორვეგიელი გლეხის, პერ გიუნტის ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ. იგი ბუნებამ გოლიათური სიმაღლით, ძალითა და სიკეთით დააჯილდოვა, თუმცა ყველგან ფათერაკი დაჰყვება, რადგან ტრაბახა და ცოტა არ იყოს, მატყუარაცაა. მხიარულ, თავქარიან, მეოცნებე და ფანტაზიორ პერს სერიოზულად არავინ უყურებს. მხოლოდ დედას, ოზეს და კეთილშობილ სოლვეიგს, პერის საცოლეს უყვართ ის ისეთი, როგორიც არის. უკეთესი ცხოვრების იმედით აღვსილი პერი, ტოვებს მშობლიურ მხარეს და სამოგზაუროდ მიდის. გამომშვიდობებისას, უეცრად, გარდაიცვლება მისი დედა. სოფელში რჩება სოლვეიგი, რომელსაც უყვარს პერი და მზადაა მთელი ცხოვრება ელოდოს მას. 40 წელი სხვადასხვა ქვეყანაში: ამერიკაში, აფრიკასა თუ ჩინეთში პერს არაერთი თავგადასავალი გადახდება; ხვდება მთის მეფის ჯადოსნურ გამოქვაბულშიც, რომლის ბინადარნი ტროლები (დემონური არსებები – გოლიათები, ძლიერი, მაგრამ უტვინო და მავნე არსებები), ჯუჯები, ალქაჯები, გობლინები ბინადრობენ. გამოქვაბულის მეფე პერს თავის ქალიშვილზე დაქორწინებას შესთავაზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოკლავენ. თუმცა ბოროტი სამეფო ჩამოიშლება და პერიც ასე გადაირჩენს თავს. ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, პერი აფრიკის უდაბნოშიც მოხვდება, სადაც არაბი ბედუინების ბელადს გადაეყრება. მისი შვილი ანიტრა პერს წინასწარმეტყველად მიიჩნევს და თავისი ცეკვითა და სიმღერით ცდილობს, მოხიბლოს.

წლების მანძილზე პერმა დიდი სიმდიდრეც დააგროვა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გაფლანგა. მშობლიურ სოფელში გაჭაღარავებული, მოხუცი და ღარიბი ბრუნდება, სადაც ტყის პირას, განმარტოებულ ქოხში სოლვეიგი ხვდება, იგი ყველაფერს პატიობს პერს. სოლვეიგს ვერც დრომ და ვერც მარტოობამ დაუკარგა პერთან შეხვედრის იმედი და რწმენა.

გრიგმა იბსენის ამ პიესის თეატრალური სპექტაკლისათვის მრავალფეროვანი და კონტრასტული ხასიათის მუსიკა დაწერა. მის საფუძველზე შეიქმნა ორი საორკესტრო სოუიტა, რომლებიც სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე სრულდება.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს რამდენიმე ილუსტრაციას და მუსიკალურ ფრაგმენტს ე. გრიგის საორკესტრო სიუიტიდან „პერ გიუნტი“.



**ანიტრას ცეკვა**



**დილა**



**ოზეს სიკვდილი**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სამ პიესას: „დილა“, „ოზეს სიკვდილი“, „ანიტრას ცეკვა“ და უპასუხონ კითხვებს:

1. რომელი ფოტო რომელ მუსიკალურ ნომერს მიესადაგება?
2. რას ასახავს და რა მიზნით არის ჩართული სპექტაკლში ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი?
   ა) ახასიათებს პერსონაჟს; (ანიტრას ცეკვა)
   ბ) გამოხატავს გმირის გრძნობებს ან ხასიათს; (ოზეს სიკვდილი, ანიტრას ცეკვა)
   გ) დაკავშირებული ბუნების სურათთან; (დილა)
   დ) ასახავს დრამის ერთ-ერთი მონაკვეთის სიუჟეტს. (ოზეს სიკვდილი)

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სხვა ფრაგმენტებსაც: „მთის მეფის გამოქვაბულში“, „სოლვეიგის სიმღერა“ და დაადგინონ, რომელი ფოტო რომელ მუსიკალურ ნომერს მიესადაგება.





**სოლვეიგის სიმღერა**



**მთის მეფის გამოქვაბულში**

მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

1. რა ფუნქცია ენიჭება წარმოდგენილ ნომრებს?
   ა) პიესა სიუჟეტური მუსიკის ნიმუშია, ანუ შინაარსთან არის დაკავშირებული. („მთის მეფის გამოქვაბულში“)
   ბ) პირობითი მუსიკის ნიმუშია, დაკავშირებულია ემოციებთან და გრძნობებთან. („სოლვეიგის სიმღერა“)
2. პირობითი მუსიკის რომელი ნაირსახეობა შეგვხვდა?
   ა) ილუსტრაციული; („სოლვეიგის სიმღერა“)
   ბ) კონტრასტული;
3. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გადმოგვცემს სცენის შესაბამის განწყობას? („მთის მეფის გამოქვაბულში“)
4. რის შესახებ მოგვითხრობს პიესა „მთის მეფის გამოქვაბულში“? როგორ ვითარდება მუსიკა? ანუ როგორ იცვლება დინამიკა და ტემპი?
5. როგორ არის დახასიათებული მუსიკის საშუალებით სოლვეიგი?

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ აქტივობებს:

1. ამოირჩიონ რომელიმე მუსიკალური ფრაგმენტი და მის ფონზე წაიკითხონ პერ გიუნტის ისტორია.
2. მოიფიქრონ რაიმე საინტერესო ამბავი, გაინაწილონ როლები და გაითამაშონ მცირე სპექტაკლი. გააფორმონ მუსიკალურად, გამოიყენონ მუსიკალური გაფორმების სხვადასხვა სახეები: ილუსტრაციული და კონტრასტული.

მასწავლებელი განმარტავს:

1. **სიუჟეტური მუსიკა** – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე შეესაბამება პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტეპიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით, ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა. შ.
2. **პირობითი მუსიკა** – მუსიკა, რომელიც სპექტაკლის სიუჟეტთან არ არის დაკავშირებული და ძირითადად, ამა თუ იმ კონკრეტული რეჟისორის ჩანაფიქრს ეხმიანება. ასეთი მუსიკა შეიძლება გადმოსცემდეს გმირების შინაგან სამყაროს, მათ ემოციურ განწყობას, მთელი სპექტაკლის ან ცალკეული სცენის მთავარ იდეას.

   პირობითი მუსიკის ორ ნაირსახეობას ვარჩევთ: 1. ილუსტრაციული 2. კონტრასტული, როცა მუსიკა სცენაზე განვითარებული მოქმედების საპირისპირო, განსხვავებულ განწყობას ქმნის. ასე მაგ.; სცენაზე თამაშდება ტრაგედია, მუსიკალური გაფორმება კი, სრულიად საპირისპიროა – მხიარული.
3. **სიუიტა** – ფრანგული სიტყვაა და რიგს, თანმიმდევრობას ნიშნავს. მუსიკაში კი, ეს არის ციკლური ფორმა რომელიც რამდენიმე ნაწილს ან პიესას აერთიანებს. ე. გრიგმა სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკიდან შეადგინა ორი საორკესტრო სიუიტა.

**აქტივობა 4**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ ფრაგმენტებს სიუიტა „პერ გიუნტიდან“ – „დილა“, „მთის მეფის გამოქვაბულში“ და თვალი მიადევნონ სანოტო ჩანაწერს:









**აქტივობა 5.**

მასწავლებელი გააცნობს კლასს ხუთსაფეხურიან ჩინურ კილოს – პენტატონიკას და სთხოვს დაადგინონ, მოსმენილ ნაწარმოებებში სად ისმის მსგავსი ბგერათა წყობა.



## 50-51 ჭინჭრაქა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ინსტრუმენტი, აუდიო-ვიდეო მასალა



მიხეილ თუმანიშვილი

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს ქართული თეატრის ტრადიციების შესახებ: ძალზე მრავალფეროვანია ქართული თეატრი და მუსიკა, რომელიც ქართული სპექტაკლებისათვის შეიქმნა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს რეჟისორ მ. თუმანიშვილის სპექტაკლიდან „ჭინჭრაქა“, რომელიც ქართული ზღაპრის მიხედვით დაიდგა დაახლოებით 50 წლის წინ, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის დრამატულ თეატრში.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს სამ ვიდეო ფრაგმენტს სპექტაკლიდან **„ჭინჭრაქა“** და სთხოვს, აღწერონ მათი მუსიკალური გაფორმება. სვამს შეკითხვებს:



ჭინჭრაქა და მეფის ასული



ბაყ-ბაყ დევი და კოტიკო



ტყის კვარტეტი

რა მიზნით არის ჩართული ესა თუ ის მუსიკალური ნომერი ამა თუ იმ სცენურ ფრაგმენტში?

1. რომელი მუსიკალური ნომერი გამოხატავს პერსონაჟთა გრძნობებს?
2. რომელი მუსიკალური ნომერი გვიხატავს კონკრეტულ პერსონაჟს?

ამის შემდეგ დაადგენენ, რომელ სცენაშია გამოყენებული:

1. სიუჟეტური მუსიკალური გაფორმება;
2. პირობითი მუსიკალური გაფორმება.

## 52-53 სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რას ნიშნავს დრამატულ თეატრალურ სპექტაკლში სიუჟეტური და პირობითი მუსიკა; ასევე პირობითი მუსიკის ორ ნაირსახეობას: ილუსტრაციულსა და კონკრეტულს.


აზდაკის მონოლოგი


ბაკულას ღორები


დარაბებს მიღმა გაზაფხულია

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ოთხ განსხვავებულ ვიდეოფრაგმენტს და ფოტოს ოთხი სხვადასხვა სპექტაკლიდან: „კავკასიური ცარცის წრე", „ჯინსების თაობა", „ბაკულას ღორები", „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (შეიძლება, სხვა სპექტაკლებიც შესთავაზოს, მაგ., „მარიამ სტიუარტი" – კონტრასტული გაფორმების ნიმუშად). იგი სთხოვს მოსწავლეებს ნახონ ეს სცენები, დააკვირდნენ, გაიაზრონ და ამოიცნონ, მუსიკალური გაფორმების რომელი ხერხია გამოყენებული ამა თუ იმ სცენაში:

**სიუჟეტური მუსიკა**

1. პირობითი მუსიკა: ა) ილუსტრაციული, ბ) კონტრასტული

დააჯგუფონ ფრაგმენტები ამ განსაზღვრებების მიხედვით.

აღნიშნონ, რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის გაფორმება:

2. მუსიკა გადმოსცემს სპექტაკლის მთავარ იდეას;
3. მუსიკა გადმოსცემს სცენის სათანადო განწყობას.

სპექტაკლებისათვის მუსიკა დაწერეს: „ჭინჭრაქა" – ბიძინა კვერნაძემ, „კავკასიური ცარცის წრე" – გია ყანჩელმა, „ჯინსების თაობა" – ნიკოლოზ რაჭველმა, „ბაკულას ღორები" – გიული დარახველიძემ, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" – დავით ტურიაშვილმა.

## მუსიკა და თეატრი
## თემა: მუსიკა პანტომიმის თეატრში

მოცემულ თემას დაეთმობა 5 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ უკავშირდება ერთმანეთს ჟესტი და მუსიკა პანტომიმაში? როგორ შევურჩიოთ მიმიკურ ეტიუდს მუსიკალური თანხლება, რომელიც მაყურებელს დაეხმარება იმის დანახვაში, რაც არ ჩანს?
- როგორ შეიძლება ჩაიწეროს მიმიკური ეტიუდის მუსიკალური თანხლება?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3. მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7;

**მიზანი:** მეტყველი ჟესტისა და მუსიკალური ინტონაციის, კონტრასტული, ილუსტრაციული და ასოციაციური მუსიკალური ფონის, რიტმის, ტემპის გააზრება-გაცნობა.

## 54 პანტომიმა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი განმარტავს:

**პანტომიმა** ბერძნულად ნიშნავს „ყველაფრის წარმოსამსახველს მიბაძვით“. ესაა უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ. პანტომიმას საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთსა და რომში. იგი გავრცელებული იყო ინდოეთში, ინდონეზიასა და აზიის სხვა ქვეყნებში. შუა საუკუნეებში მას მიმართავდნენ ჰისტრიონები*, ჟონგლიორები* და სხვ. პანტომიმა თანდათანობით გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში.

**ჰისტრიონი** ლათინური სიტყვაა. ჰისტრიონს უწოდებდნენ მსახიობს ძველ რომში, აგრეთვე, შუა საუკუნეებში მოხეტიალე მსახიობებსაც. ჰისტრიონები იყვნენ ერთდროულად მთხრობელები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, მომღერლები, ცხოველთა მომთვინიერებლები და სხვა. ზოგჯერ ქმნიდნენ მოყვარულ მსახიობთა წრეებს. ჰისტრიონებს საფრანგეთში ერქვათ ჟონგლიორები, გერმანიაში – შპილმანები, პოლონეთში – ფრანტები.

თანამედროვე პანტომიმა ორი სახისაა: მიმის (ერთი მსახიობის) ხელოვნება და პანტომიმის წარმოდგენა – თეატრალური სპექტაკლი უსიტყვოდ.

**აქტივობა 2**

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მღერიან მოცემულ მოტივებს და ჟესტიკულაციით განასახიერებენ ბგერათა სიმაღლის ცვლილებას.







**აქტივობა 3**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ჯერი ლუისის პანტომიმას, შექმნილს ლეროი ანდერსონის მუსიკალური ნაწარმოების, „საბეჭდი მანქანის“ მიხედვით.

სთხოვს, დაადგინონ, რა ფუნქცია ენიჭება მუსიკალურ თანხლებას: კონტრასტული, ილუსტრაციული თუ ასოციაციური. პასუხები შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგრამ მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი ვერსიები. მასწავლებელმა კლასი მსჯელობით უნდა მიიყვანოს იმ აზრამდე, რომ ამ შემთხვევაში მუსიკა არის ილუსტრაციული.

მასწავლებელი განმეორებით უჩვენებს პანტომიმას და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ, როგორი ჟესტებით არის გადმოცემული მანქანაზე ბეჭდვა: ახალი აბზაცის დაწყება ბეჭდვის დროს, საბეჭდი მანქანის ზარის ხმა და ა.შ.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩაწერონ მუსიკა სხვადასხვა ნიშნებით – პიქტოგრამებით.

## 55 ასოციაცია თუ კონტრასტი?

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი უჩვენებს კლასს ფრანგი მსახიობის მარსელ მარსოს პანტომიმას „პეპლებზე ნადირობის ხმა“.

სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ, რომელ პერსონაჟს განასახიერებს მუსიკა; ჩანს თუ არა ეს პერსონაჟი კადრში. ასეთ მუსიკალურ თანხლებას შეიძლება ვუწოდოთ ილუსტრაციული, კონტრასტული, თუ ასოციაციური?

მოსწავლეები კვლავ აკვირდებიან ეკრანს და პასუხობენ შეკითხვას: რა მომენტში უერთდება მიმის ჟესტიკულაცია მუსიკას?

**აქტივობა 2**

მასწავლებელი უჩვენებს კლასს მარსელ მარსოს პანტომიმას დებიუსის „მთვარის შუქის“ მუსიკალური თანხლებით.

სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, ამ შემთხვევაში მუსიკას აქვს ილუსტრაციული, ასოციაციური თუ კონტრასტული დატვირთვა. (ამ შემთხვევაში მუსიკალური თანხლება კონტრასტულია)

**აქტივობა 3**

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მღერიან გ. გორდეზიანის სიმღერას „რა დილა თენდება“ (იხ. დანართი) და დადგამენ ორ სკეტჩს*, სადაც მუსიკა შეასრულებს ჯერ ასოციაციური, შემდეგ კონტრასტული ფონის როლს.

☑ **სკეტჩი** – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმაა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტს:

კ. დებიუსის „მთვარის შუქი“;

ფ. შუბერტის „სერენადა“;

ჯ. ვერდის ტრიუმფალური მარში ოპერიდან „აიდა“;

მ. რაველის „მზის ამოსვლის სცენა“ ბალეტიდან „დაფნისი და ქლოა“.

მოსწავლეები მსჯელობენ, რა მხატვრული შინაარსი შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ნაწარმოებს. მასწავლებელს მიჰყავს კლასი შემდეგ დასკვნამდე:

დებიუსის „მთვარის შუქი“ – მშვიდი განწყობის, ლამაზი მთვარიანი ღამის ამსახველია;

შუბერტის „სერენადა“ – ლირიკული, სასიყვარული შინაარსის ნაწარმოებია.

**სერენადა** – სატრფოსადმი მიძღვნილი სიმღერაა, რომელსაც გამთენიისას მოტრფიალე მამაკაცი მღერის თავის რჩეულის ფანჯარასთან. ტრადიციულად, სერენადებს, ესპანეთსა და იტალიაში, გიტარის თანხლებით ასრულებდნენ.

ვერდის ტრიუმფალური მარში ოპერიდან „აიდა“ – ბრძოლიდან გამარჯვებული მეომრების მსვლელობას ასახავს.

რაველის „მზის ამოსვლის სცენა“ – შთამბეჭდავად ასახავს მზის ამოსვლას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დადგან სკეტჩი მოცემული მუსიკალური ნაწარმოებების თანხლებით. თავდაპირველად, პანტომიმით გადმოსცენ განწყობა; შემდეგ კი მიმიკითა და ჟესტიკულაციით განასახიერონ მოცემული მუსიკალური ნაწარმოების ხასიათის საპირისპირო დადგმა.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს ს. პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“, ამოიცნობენ პერსონაჟებს და გაითამაშებენ სკეტჩს: განასახიერებენ თითოეულ პერსონაჟს.

**აქტივობა 3**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს კ. სენ-სანსის ინსტრუმენტული ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“. მიმიკითა და ჟესტიკულაციით განასახიერებენ მუსიკით გადმოცემულ სახეებს შემდეგი პიესებიდან: „ლომის სამეფო მარში“, „კენგურუები“, „გრძელყურა ვირები“, „ჩიტები“, „სპილო“, „დედლები და მამლები“, „გუგული უღრან ტყეში“.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მაწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს როუენ ატკინსონის პანტომიმას „უჩინარი დოლი“ (*Invisble-drum*).

სთხოვს მოსწავლეებს დაადგინონ, რა როლს თამაშობს ხმა ამ სკეტჩში, მხოლოდ თანმხლებია თუ თანამთხრობელიც. ამ აქტივობით უნდა გამოჩნდეს, როგორ ეხმარება ხმა მაყურებელს იმის დანახვაში, რაც არ ჩანს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ანალოგიური სკეტჩი, სადაც რაიმე სხვა უჩინარი საგანი ან არსება მხოლოდ ხმებითა და ხმაურით იქნება წარმოდგენილი, მაგალითად, გაიხსენონ საკრავები, ამოიცნონ და შექმნან სკეტჩი.

მოსწავლეები, წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე, აკვირდებიან სხვადასხვა საკრავის ფოტოს, მოისმენენ მუსიკალურ ფრაგმენტებს ამ საკრავთა შესრულებით; განასახიერებენ თითოეულს მიმიკითა და ჟესტიკულაციით. დანარჩენები ამოიცნობენ, რომელ საკრავზე „უკრავს“ მათი თანაკლასელი.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ჯერი ლუისის პანტომიმას ფილმიდან „პორტიე“ „დირიჟორი“ (Bellboy _ Conducting).

დაურიგებს მოსწავლეებს ამ პანტომიმის მუსიკალური თანხლების გრაფიკულ გამოსახულებას, ჩაწერილს სხვადასხვა ნიშნით. სთხოვს, მოუსმინონ და დაალაგონ მოცემული ნახატები ჟღერადობის მიხედვით. შემდეგ მოსწავლეები საკუთარი ფანტაზიით, გრაფიკული ნიშნებით ჩაწერენ მუსიკალურ თანხლებას.



მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვას: როგორია ამ პანტომიმაში მუსიკის როლი – ილუსტრაციული, კონტრასტული თუ ასოციაციური.

## ეთნოგრაფია და მუსიკა
## თემა: სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები

მოცემულ თემას დაეთმობა 11 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- რა ხასიათს სძენს ინსტრუმენტები ხალხურ მუსიკას?
- როგორ შეიძლება გამოიყენოს კომპოზიტორმა სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ინსტრუმენტი?

**შედეგი: მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7.**

**მიზანი:** ჩონგური, ფანდური, ჭუნირი,ბანჯო, ესპანური გიტარა,მარაკასი.გააზრება-გაცნობა.

## 59 ხალხური საკრავები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, სხვადასხვა თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიმართავს კლასს, მოუსმინონ და გაიხსენონ ხალხური საკრავების ჟღერადობა: სალამურის, დოლის, გუდასტვირის, ჭიანურის, ჩონგურის, ფანდურის, ჩანგის. დაადგინონ, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თითოეული ინსტრუმენტი – სიმებიანს, ჩასაბერსა თუ დასარტყამს და ჩაწერონ წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე საკრავთა შესატყვისი ჯგუფი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს კლასს, კვლავ მოუსმინონ შემდეგ საკრავებს: სალამური, დოლი, გუდასტვირი, ჭუნირი, ჩონგური, ფანდური, ჩანგი, ქართული გარმონი; დააკვირდნენ ნახატებს, წაიკითხონ ტექსტი; დაადგინონ, რომელი საკრავის ჟღერადობა ესმით.


სალამური


დოლი


გუდასტვირი


ჭუნირი


ჩონგური


ფანდური


ჩანგი


ქართული გარმონი

1) მწყემსი ლაღად უკრავს სალამურზე საცეკვაოს;
2) დოლის ხმები ისმის;
3) რაჭაში, საახალწლო დალოცვას, გუდასტვირის თანხლებით მღერიან. ლეგენდის თანახმად, გუდასტვირის ჟღერადობას შეუძლია ბოროტი სულები განდევნოს.
4) დახშული, სევდიანი ხმით ისმის ჭუნირზე შესრულებული სიმღერის მელოდია.
5) მეჩონგურემ ხელი ჩამოკრა სიმებს და ააჟღერა. თვალწინ ჩემი სამეგრელო წარმომიდგა.
6) თუში ბავშვები, ახალი წლის მოლოდინში, ფანდურზე დაკვრით ირთობდნენ თავს.
7) სვანური ლეგენდის თანახმად, ნადირობის ქალღმერთმა დალიმ ურჩი მონადირე დასაჯა, რადგან მან დალის საყვარელი თეთრი ირმის მოკვლა დააპირა. დალიმ მონადირის ხელი, რომლითაც იგი ირმის მოკვლას აპირებდა, მუსიკალურ საკრავ ჩანგად გადაუქცია. ამის შემდეგ მონადირე სოფელ-სოფელ დადიოდა, ჩანგზე უკრავდა და სევდიან სიმღერას მღეროდა.
8) ქართული გარმონი კლავიშიან-პნევმატური საკრავია, შედგება კორპუსის საბერველისა და კლავიშიანი მექანიზმისაგან. მას წელვადი ბგერა და მჟღერი ხმოვანება აქვს. გარმონზე საოცრად მეტყველი ინტონაციების გამოსახვაა შესაძლებელი, ვინაიდან საკრავი იძლევა მრავალფეროვანი ნიუანსების გაკეთების საშუალებას. როდესაც გარმონს ვუსმენთ, თვალწინ ხან მოხუცი თუშის საუბარი წარმოგვიდგება, ხან კი – ახალგაზრდების ცეცხლოვანი ცეკვა. ყველაზე მეტად საკრავი თუშეთშია პოპულარული.

## 60 ქართული ხალხური საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მოასმენინებს კლასს ქართული ხალხური საკრავების: 1. სალამურის, 2. გუდასტვირის, 3. ჩონგურის, 4. ქართული გარმონის ჟღერადობას.

სთხოვს, წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დააკვირდნენ საკრავთა ჯგუფების სახელწოდებებს, მოუსმინონ მათ ჟღერადობას და შემოხაზონ რიგის მიხედვით:

1. ა) სიმებიანი ბ) ჩასაბერი გ) დასარტყამი დ) კლავიშიანი
2. ა) სიმებიანი ბ) ჩასაბერი გ) დასარტყამი დ) კლავიშიანი
3. ა) სიმებიანი ბ) ჩასაბერი გ) დასარტყამი დ) კლავიშიანი
4. ა) სიმებიანი ბ) ჩასაბერი გ) დასარტყამი დ) კლავიშიანი

**აქტივობა 2**

მასწავლებელი წინასწარ დაურიგებს მოსწავლეებს თვალსაჩინოებას, რომელზეც საკრავების (სალამური, გუდასტვირი, ჩონგური, ქართული გარმონი) ფოტოებია გამოსახული და მიმართავს კლასს, დააკვირდნენ ფოტოებს, მოუსმინონ ინსტრუმენტების ჟღერადობას და იგივე თანმიმდევრობით დანომრონ მოცემული სურათები.


სალამური


გუდასტვირი


ჩონგური


ქართული გარმონი

**აქტივობა 3**

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს გურულ სიმღერას „დილა“ და სთხოვს ამოიცნონ, რომელი საკრავი ასრულებს სიმღერის თანხლებას.

**აქტივობა 4**

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით მღერიან გურულ სიმღერას „დილა“ (იხ. დანართი).

## 61-62 სხვადასხვა ქვეყნის საკრავები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიმართავს კლასს: მოუსმინეთ საკრავების ჟღერადობას, დააკვირდით ნახატებს, წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და დაადგინეთ, რომელი საკრავის ხმა გესმით.

1. **რანადი** „დღესაც მახსენდება ტაილანდი, საოცრად ლამაზი ბუნებით, ხასხასა ფერებით, ქუჩაში გამართული დღესასწაულებით, სადაც უძველესი ლეგენდების გმირები ცოცხლდებიან. ყველა სახლის წინ პატარა ნაგებობა დგას. ადგილობრივებს სწამთ, რომ ამ მორთულ შენობაში კეთილი სულები ოჯახის დასაცავად დაისადგურებენ. ტაილანდში არავინ დაადგამს ფეხს სახლის ზღურბლს, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ამ ადგილას გარდაცვლილ წინაპართა სულები ცხოვრობენ. აბრეშუმის ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი ულამაზესი მოცეკვავეები, ნავის ფორმის ქსილოფონები, რომელთა ხმა ქუჩებში იფრქვევა და კიდევ უფრო მეტ ზღაპრულობას სძენს იქაურობას“.
2. როდესაც **გუდასტვირის** ხმა გესმის, თვალწინ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი შოტლანდიელი წარმოგიდგება.
3. ლეგენდა მოგვითხრობს: „იმ დღეს, როდესაც სამყარო შეიქმნა, ღმერთებმა, სანამ დედამიწას დატოვებდნენ, ადამიანს **დიჯერიდუ** გადასცეს. გადმოცემის თანახმად, ეს ინსტრუმენტი ჟღერადობით ორ სამყაროს – სულიერსა და მიწიერს ერთმანეთთან აკავშირებს. როდესაც დიჯერიდუს ჟღერადობას უსმენ, ისეთ დიად მოვლენაზეა ფიქრობ, როგორიცაა სამყაროს შექმნა. ზოგჯერ, თვალწინ წარმოგიდგება ავსტრალიის ბუნება, ცხოველთა გადაძახილი და თვალუწვდენელი სივრცე.

   მიუხედავად იმისა, რომ დიჯერიდუს მცირე დიაპაზონი აქვს (ძირითადად ერთ ბგერას აჟღერებს), ძლიერი და მდიდარი ტემბრის გამო, მსოფლიოში ყველაზე დიდ ინსტრუმენტს – ორგანსაც კი ადარებენ.

4. **ბანსური** – ბანსურის თბილი, დახვეწილი, ღრმა ჟღერადობა არავის ტოვებს გულგრილს.

ითვლება, რომ იგი ფრთებისა და ყვავილების, ოცნებებისა და ზმანებების, ჰაერისა და ცეკვისგანაა შექმნილი. ტაძრების მოხატულობებში მასზე ღვთაებრივი ქმნილებები უკრავენ. მას ინდური ღმერთის – კრიშნას სიმბოლოდ მიიჩნევენ.

5. **სიტარი –** ხალხურ ინსტრუმენტთა შორის სიტარი მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ეს ინსტრუმენტი ბევრმა როკჯგუფმა გამოიყენა თავის კომპოზიციებში. გაბმული, უწყვეტი ბგერები მას მაგიურ ჟღერადობას სძენს. გადმოცემის თანახმად, სიტარაზე შესრულებულ რაგას შეუძლია ადამიანები დაავადებებისაგან განკურნოს ან გააღვიძოს მათში სხვადასხვა ნიჭი და შესაძლებლობა. ბევრ რელიგიურ რიტუალში ამ საკრავს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სიტარის უბადლო შემსრულებელი რავი შანკარი მეგობრობდა ლეგენდარული ანსამბლის „ბითლების" წევრებთან. დღეს კი, მის შვილს, ანოუშკა შანკარს, სიტარაზე დაკვრით განცვიფრებაში მოჰყავს მსმენელი.

მასწავლებელი ასმენინებს ინდურ კლასიკურ მუსიკას, კერძოდ, რაგას რავი შანკარისა და ანოუშკა შანკარის შესრულებით.

6. **დულციმერი –** დულციმერს წვრილი, ჟღრიალა, ოდნავ მჭახე, მეტალისებური ჟღერადობა აქვს. როდესაც დულციმერს უსმენ, თვალწინ გახუნებული ბალახით დაფარული, უკიდეგანო ველები, მარტოხელა ქოხი და ქოხის წინ ჩამომჯდარი გაცრეცილ ჯინსებიანი მოხუცი კოვბოი გვიდგას.

7. **გონგი –** გონგის ჟღერადობა, ბგერის გამოცემის შემდეგ, დიდხანს გრძელდება. ხმის ტალღები ხან მატულობს, ხან კლებულობს; თავიდან, თითქოს ოკეანის ხმაური ისმის, შემდეგ ტალღების ხმას დოლების ქუხილი ემატება. თანდათან, ყველაფერი წყნარდება, ხმა ნიჟარის გუგუნის მსგავს ხმოვანებაში გადაიზრდება, გონგის ხმა ნელ-ნელა ფუტკრის ბზუილს ემსგავსება და სივრცეში ქრება.


რანადი


შოტლანდიური გუდასტვირი


დიჯერიდუ


ბანსური


გონგი


სიტარი


დულციმერი

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სხვადასხვა საკრავის ჟღერადობას და დაადგინონ საკრავთა ჯგუფები: ჩასაბერი, დასარტყამი, სიმებიანი.

## 63 სხვადასხვა ქვეყნის საკრავები – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, სხვადასხვა თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მოსწავლეები მოისმენენ სხვადასხვა ქვეყნების ხალხურ საკრავებს. ესენია: რანადი, შოტლანდიური გუდასტვირი, ბანსური, სიტარა, დულციმერი, გონგი, დიჯერიდუ. წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დაწერენ შესაბამის ჯგუფებს – სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი წინასწარ დაურიგებს მოსწავლეებს თვალსაჩონოებას, რომელზეც საკრავების ფოტოებია გამოსახული და მიმართავს კლასს, დააკვირდნენ ფოტოებს (რანადი, შოტლანდიური გუდასტვირი, ბანსური, სიტარი, დულციმერი, გონგი, დიჯერიდუ), მოუსმინონ ინსტრუმენტების ჟღერადობას და შესაბამისი თანმიმდევრობით დანომრონ მოცემული სურათები.









**აქტივობა 3**

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს დულციმერზე შესრულებულ სიმღერას Somewhere Over The Rainbow. შემდეგ, მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, მღერიან ამ სიმღერას (იხ. დანართი).

## 64 ალპური საყვირი და ბანჯო

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სხვადასხვა საკრავის ჟღერადობას: ალპურ საყვირის, ბანჯოს, ინდურ საკრავებს და დაადგინონ საკრავთა ჯგუფები: ჩასაბერი, დასარტყამი, სიმებიანი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მიმართავს კლასს: კვლავ მოისმინეთ საკრავების ჟღერადობა, წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი, დააკვირდით ნახატებს და დაადგინეთ, რა საკრავია.

**ალპური საყვირი –** ამ ინსტრუმენტის ხმის გაგონებისას, თვალწინ წარმოგიდგება ავსტრიის ულამაზესი მთები, ყვავილებით მორთული მდელოები. ავსტრიელი მწყემსები ამ საყვირით ერთმანეთს აცნობებდნენ კეთილ თუ ავისმომასწავებელ ამბებს. ზოგჯერ, საყვირის უმშვენიერესი გუგუნით ატკბობდნენ გარემოს. ამ საყვირის დიადი და კეთილშობილი ხმოვანება, რბილი ხავერდოვანი ტემბრი, ხან სასულე ორკესტრის, ხან კი ორგანის ჟღერადობას მოგვაგონებს.

**ბანჯო –** ბანჯო აფრო-ამერიკული ინსტრუმენტია. როდესაც უსმენ ბანჯოს, გახსენდება ამერიკული სათავგადასავლო ფილმები შერიფების, კოვბოების, ინდიელების, ფერმერებისა და ლამაზმანების შესახებ. ბანჯო სიმებიანი საკრავია, სიმებზე თითების გამოკვრით უკრავენ. მისი ჟღარუნა ჟღერადობა მხიარულ და ოპტიმისტურ განწყობას ქმნის. ბანჯოს, ვიოლინოსა და გიტარის ტრიოთი შესრულებული ნაწარმოებები ამერიკულ ხალხურ მუსიკას მოგვაგონებს.



ალპური საყვირი



ბანჯო

**აქტივობა 3**

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას ბანჯოს თანხლებით.

## 65-66 ინდური და ჩინური საკრავები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**
**ინდური საკრავები**

მასწავლებელი უჩვენებს კლასს მოკლემეტრაჟიან ფილმს და უყვება ინდური საკრავების შესახებ:

**ფუნგი** – ამ ინსტრუმენტის ჟღერადობით ზემოქმედებენ ქვეწარმავალზე, მასჰიპნოზს უკეთებენ.

**ჩენდა** – ცილინდრული ხის დოლებია, რომლელთა ერთობლივი ჟღერადობა საბრძოლო განწყობას ქმნის.

**ექტარა** – სიმებიანი საკრავია.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიხსენონ უფრო დიდი ზომის, მსგავსი ტიპის ქართული ხალხური საკრავი (ჭუნირი-ჭიანური).

**დანგჩენი** – გრძელი საყვირი ან ბუკი, გამოიყენება ბუდისტური* ცერემონიალების დროს. მისი ჟღერადობა სპილოს სიმღერას გავს. უკრავენ წყვილ ან მეტ დანგჩენზე ერთდროულად.

**აქტივობა 2**
**ჩინური საკრავები**

მასწავლებელი ასმენინებს ჩინურ ინსტრუმენტს **გუჟენგს** და პარალელურად უჩვენებს სამ სხვადასხვა ხედს: ჩინურ პაგოდებს, ლურჯ მეჩეთს ისპაჰანში და წმ. სტეფანეს ტაძარს ვენაში; ეკითხება, რომელ სურათთან ასოცირდება მუსიკა.


ჩინურ პაგოდა ლურჯი


მეჩეთი ისპაჰანში


წმ. სტეფანეს ტაძარს ვენაში

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, მასწავლებელი უჩვენებს ჩანაწერს და განმარტავს:

> **გუჟენგი** – ჩინური სიმებიანი გამოსაკრავი ინსტრუმენტია; მოუთხრობს ასევე სხვა ჩინურ ინსტრუმენტებზეც.

მოსწავლეები უსმენენ **იაპონურ საკრავებს**: ტაიკოს, რუტეკს, ჰიტირიკს-ფლეიტას, ტუჩის გარმონ სიოს (შენს)

მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ ნახატებს, მოუსმინონ ჟღერადობას, წაიკითხონ ტექსტი და ამის მიხედვით ამოიცნონ, რომელი საკრავი ჟღერს.

1) ტაიკოს ჟღერადობა იაპონელი სამურაების გმირულ სულისკვეთებას, სიმტკიცეს და ერთობას მოგაგონებს.
2) ტუჩის გარმონ სიოს ტემბრს ღრმა ფიქრებში მიჰყავს მსმენელი; ხანდახან კათოლიკურ ტაძარში აჟღერებული ორგანის მაღალი რეგისტრის ბგერებს წააგავს.


ტაიკო


სიო. ამ საკრავს ჩინეთში უწოდებენ შენს

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ ჩასაბერ საკრავებს ჰიტირიკს და რუტეკს, იმსჯელონ, რომელი საკრავი უფრო მჟღერია; რომელი საკრავის ტემბრი არის გამჭირვალე, რომლის – მკრთალი. ამ ორი საკრავიდან ერთ-ერთი შეარჩიონ „ბუნების პეიზაჟის“ კომპოზიციის შესაქმნელად.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

ბავშვები ისმენენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ საკრავებს: ალპური საყვირი, ბანჯო, ექტარა, გუჯენგი, ტაიკო, რუტეკი და წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე შემოხაზავენ შესაბამის ჯგუფებს – სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი წინასწარ დაურიგებს მოსწავლეებს თვალსაჩინოებას, რომელზეც ამ საკრავების ფოტოებია გამოსახული. მიმართავს კლასს, დააკვირდნენ ფოტოებს, მოუსმინონ ინსტრუმენტების ჟღერადობას და იმავე თანმიმდევრობით დანომრონ მოცემული სურათები.



ალპური საყვირი



ბანჯო



ექტარა



გუჯენი



ტაიკო



რუტეკი

# 68 მარაკასი, გიტარა და კასტანეტები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, სხვადასხვა თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მოასმენინებს და გააცნობს შემდეგ საკრავებს, სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რა ჟანრის მუსიკას შექმნიდნენ ამ საკრავებით.

**მარაკასი** – უძველესი დასარტყამი საჩხარუნო საკრავია, წარმოიშვა ინდიელთა ტომებში. ამჟამად, მარაკასი ლათინო-ამერიკული მუსიკის სიმბოლოა. ჩვეულებრივ, უკრავენ წყვილ მარაკასზე.

**ოკარინა** – უძველესი საკრავია, რომელსაც დღეს ფაიფურისაგან ამზადებენ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ ოკარინას და იმსჯელონ ამ საკრავის ტემბრზე.

**კასტანეტები** – დასარტყამი მუსიკალური საკრავია, განსაკუთრებით გავრცელებულია ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში. მისი მსგავსი ინსტრუმენტები, სიმღერისა და ცეკვის თანხლებისათვის, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდა.

**ოკულელე** – მცირე ზომის გიტარაა. მისი სამშობლოა კუნძული მადეირა (პორტუგალია). აქედან იგი გავრცელდა წყნარი ოკეანის კუნძულებზე, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჰავაიზე.

**გიტარა** – სიმებიანი გამოსაკრავი ინსტრუმენტია. გიტარის წინამორბედი ძველ საბერძნეთსა და რომში იყო **კითარა**. შემდეგ ეს საკრავი გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ესპანეთში, სადაც შეიქმნა ე.წ. **ესპანური გიტარა**.

გიტარას იყენებენ სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და მიმართულების მუსიკაში. მათ შორისაა სიმღერა, რომანსი, ფლამენკო, ბლუზი, ჯაზი, ქანთრი, მეტალი.

XIX საუკუნეში, საქართველოში გავრცელდა ქალაქური ტიპის სიმღერები, რომლებიც გიტარის თანხლებით სრულდებოდა.


მარაკასი


ოკარინა


კასტანეტები


გიტარა

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმღერონ ქალაქური სიმღერები „სულიკო“ (იხ. დანართი) და „ციცინათელა“ (იხ. დანართი).

## გაკვეთილი 28-29 - საახალწლო ზღაპარი

**განმსაზღვრელი შეფასება:**

| მოსმენილი ზღაპრის მუსიკალური გაფორმება | | |
|---|---|---|
| კითხულობენ ტექსტს და საუბრობენ შინაარსზე, განწყობაზე | უსმენენ მუსიკალურ ფრაგმენტებს და საუბრობენ შინაარსზე, განწყობაზე | შეარჩევენ მუსიკალურ ფრაგმენტს, მიუსადაგებენ ზღაპარს |
| 3 ქ | 3 ქ | 4 ქ |

## გაკვეთილი 38-39 – როგორ შევადგინოთ ლუპი

**შეფასების კრიტერიუმები** (ყოველი კრიტერიუმი შეიძლება შეფასდეს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით):

| სიმღერა „მამლი მუხაზე“ ლუპის შედგენა | | |
|---|---|---|
| ამოჭრიან სიმღერის საწყის ფრაზას (გადააქცევენ სემპლად) | მუსიკალური პროგრამის საშუალებით ამ ფრაზას მრავალჯერ ააჟღერებენ | სიმღერაზე შექმნიან ლუპის მოტივებს |

## გაკვეთილი 44-45 – გაახმოვანე კადრები

**შეფასების კრიტერიუმები** (ყოველი კრიტერიუმი შეიძლება შეფასდეს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით):

| ფილმ „ოქროს ციებ-ცხელების“ კადრების გახმოვანება | | | |
|---|---|---|---|
| მოსწავლეები მსჯელობენ ამ ფილმის მუსიკალურ თანხლებაზე | შეარჩევენ მუსიკალურ ფრაგმენტებს ორი ნაწარმოებიდან | ქმნიან მუსიკალური ფრაგმენტის ქრონომეტრაჟს | მუსიკალურ ფრაგმენტებს შეუსაბამებენ მოცემულ კადრებს |

## გაკვეთილი 52-53 – სცენები სხვადასხვა სპექტაკლიდან

**თვითშეფასება:**

მოსწავლეები ნახულობენ სცენებს სპექტაკლებიდან. მათ ევალებათ დააკვირდენ და გაიაზრონ მუსიკალური გაფორმების რომელი ხერხია გამოყენებული (სიუჟეტური, პირობითი, ილუსტრაციული, კონტრასტული) და რა მიზანს ემსახურება მუსიკალური გაფორმება (გადმოსცემს მთავარ იდეას თუ სცენის სათანადო განწყობილებას). მოსწავლეები ინდივიდუალურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს.

| მსჯელობს სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე | |
|---|---|
| ამოიცნობს მუსიკალური გაფორმების ხერხს | მსჯელობს გამოყენებული ხერხის მიზანზე |

## გაკვეთილი 58 – დირიჟორი და საკრავები

**განმსაზღვრელი შეფასება:**

| | | |
|---|---|---|
| საკრავებზე შესრულების განსახიერება (მიმიკით, ჟესტიკულაციით), საკრავის ამოცნობა | პანტომიმის მუსიკალური თანხლების მოსმენა, თანხლების გრაფიკული გამოსახულების საშუალებით მოცემული ნახატების ჟღერადობის მიხედვით დალაგება | საკუთარი ფანტაზიით და გრაფიკული ნიშნების გამოყენებით თანხლების ჩაწერა |
| 4 ქ | 4 ქ | 4 ქ |

## გაკვეთილი 60 – ქართული ხალხური საკრავები

**განმსაზღვრელი შეფასება:**

| | | |
|---|---|---|
| ხალხური საკრავების ჟღერადობის მოსმენა და ჩამოთვლილი მუსიკალური ფრაგმენტებიდან საკრავების ჟღერადობის თანმიმდევრობის ამოცნობა | მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენ-ტებში ფოტოების საშუალებით საკრავების ჟღერადობის თანმიმდევრობის დადგენა | მოსმენილ სიმღერაში საკრავის ამოცნობა |
| 4 ქ | 4 ქ | 2 ქ |

## გაკვეთილი 63 – სხვადასხვა ქვეყნის საკრავები

**ურთიერთშეფასება:**

მოსწავლეთა წყვილები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს, მიმართავს წერილობით ან სიტყვიერ კომენტარს

| | |
|---|---|
| სხვადასხვა ქვეყნის საკრავის მოსმენა და ჯგუფების ამოცნობა (სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი) | ფოტოების საშუალებით მოსმენილი საკრავების ჟღერადობის ამოცნობა და თანმიმდევრობის დადგენა |

## გაკვეთილი 67 – შემაჯამებელი

**თვითშეფასება:**

მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებით აფასებს საკუთარ ცოდნას, მიმართავს წერილობით ან სიტყვიერ კომენტარს

| | |
|---|---|
| სხვადასხვა ქვეყნის საკრავის მოსმენა და ჯგუფების ამოცნობა (სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი) | ფოტოების საშუალებით მოსმენილი საკრავების ჟღერადობის ამოცნობა და თანმიმდევრობის დადგენა |

# მამლი მუხასა
# (მუხა წონწილებს)

მესხური






2. მუხის ნადგომსა, შენ, ბიჭო, მამლი მუხასაო,
წყალი დგებოდა, შენ,ბიჭო, მამლი მუხასაო.
მისამღერი: ალალმე და მამლი მუხასაო,
ალალმე და მამლი მუხასაო.

3. შიგ რომ თევზი მოდიოდა, მამლი მუხასაო,
იმასაც დაჭერა უნდა, მამლი მუხასაო.
მისამღერი: ალალმე და მამლი მუხასაო,
ალალმე და მამლი მუხასაო.

4. რითა და რითა, შენ ბიჭო, მამლი მუხასაო,
მოსეს ბადითა, შენ, ბიჭო, მამლი მუხასაო!
მისამღერი: ალალმე და მამლი მუხასაო,
ალალმე და მამლი მუხასაო.

სანოტო ტექსტი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წელი
ავტორები ნ. ქუმსიშვილი რ. ჯულახიძე ა. უშვერიძე

# ბულბულს სტვენა

იმერული




რა-ნი-ნე-ვო და ჰე,
რომ მით-ხა - რი მიყ-ვარ-ხა - რო
არ გცოდ-ნი-ა სიყ-ვა-რუ-ლი
რა - ნი - ნა ჰე-ა ვა-დი-ლა,
დე - ლი-ვო - დე-ლი - ვო - დი - ლა
რა-ნი-ნე-ვო და ჰე,
სოლისტი
Solo
ჰოი და ვა - დი-ლა-უ და
რა - ნი - ნა ჰე,
გუნდი
Chorus
შე-ნი გუ-ლი, ჩე-მი გუ-ლი,
რა-ნი-ნე-ვო და ჰე,
შე-ნი გუ-ლი, ჩე-მი გუ-ლი,
რა - ნი - ნა ჰე-ა ვა-დი-ლა,
ჯაჭ-ვით ა - რის გა-დაბ-მუ-ლი
დე - ლი-ვო-დე-ლი-ვო-დე - ლა
რა-ნი-ნე-ვო და ჰე,
რა - ნი - ნა ჰე,




სანოტო ტექსტი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წელი
ავტორები ნ. ქუმსიშვილი რ. ჯულახიძე ა. უშვერიძე

# გაზაფხული

I კუპლეტი და III კუპლეტი

ქალაქური

ჩაწერილია ნ. ქუმსიშვილის მიერ









III კუპლეტი

ბუნება რომ აყვავდება,
გულიც გადახალისდება
ვენაცვლები გაზაფხულსა
ანეტარებს იგი გულსა
რა კარგია გაზაფხული

# კიკოლიკო ზალიკო

იმერული

ჩაწერილია რ. ჯულაყიძის






3. ორიწავედით სამირად ქალამნებ გამოცვეთილი
4. მტერი მიწას განვაშორეთ დავბრუნდით გამარჯვებული

# დელი დელი

იმერული









2. აქედანიი და შენამდის
ვარდი მასწია ყელამდის

3. რომ ვინმე გამომიშვებდეს
ფრენით ამოვალ შენამდე

# Hänsel und Gretel




2. Hu, Hu da schaut' eine alte Hexe raus!
Lockte die Kinder ins Pfefferkuchenhaus.
Sie stellte sich gar freundlich, o Hänsel, welche Not!
Ihn wollt' sie braten im Ofen braun wie Brot!

3. Doch als die Hexe zum Ofen schaut' hinein,
ward sie gestoßen von Hans und Gretelein
Die Hexe mußte braten, die Kinder gehn nach Haus.
Nun ist das Märchen von Hans und Gretel aus.

## Ein Männlein steht im Walde

გერმანული ხალხური სიმღერა




2. Das Männlein steht im Walde auf *einem* Bein,
und hat auf seinem Haupte schwarz Käpplein klein.
Sagt, wer mag das Männlein sein,
das da steht im Wald allein
mit dem kleinen schwarzen Käppelein?



# SMILE

## from MODERN TIMES

Music by
CHARLIE CHAPLIN




F
Light up your face with glad-ness, Hide ev-'ry trace of sad ness.
Abdim Gm Adim Gm D7-9 Gm D7
Al - tho' a tear may be ev - er so near, That's the
Gm Bbm Eb9
time you must keep on try-ing, SMILE, what's the use of cry-ing,
F Gm C7
You'll find that life is still worth while, If you'll just
1. 2.
F Gm7 C9 C7-9 F Fmaj.9 F6
SMILE. SMILE.
rall.

# Schlafe, Mein Prinzchen

T.F.W. Gotter (1746- 1797)
M. Bernard Fliss (1796)




12
rein, Schlaf - e, mein Prinz - chen, Schlaf ein,
Ach! Was für ein Ach mag das sein?
schreit Was wird da künf - tig erst sein?
Pno.
15
Schla - fe mein Prinz - chen Schlaf ein! Schlaf ein schlaf
Schla - fe, mein Prinz - chen, Schlaf ein. Schlaf ein schlaf
Schla - fe mein Prinz - chen, Schlaf ein! Schlaf ein Schlaf
Pno.
18
Nachspiel und Vorspiel auch
ein.
ein
ein.
Pno.

Score

# რა დილა თენდება

გიორგი გორდეზიანი




©




სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა ნ. ქუმსიშვილმა

# დილა

გურული


ჩონგური
p
1.დი-ლა ა-რის, ცა ლაჟ - ვა-რ-დი, და, მზი-სა სხი-ვით ი - ფე - რე - ბა, და,
და ქურ - დუ-ლად მი - მა - ლუ-ლა თვით მთვა - რე და ვარ-სკვლავთ კრე - ბა, და.
და ქურ - დუ-ლად მი - მა - ლუ-ლა თვით მთვა - რე და ვარ-სკვლავთ კრე - ბა, და.

# დილა

გურული




2. მობიბინე ვარდ-ყვავილი
გულ-მკერდს იშლის, იფურჩქნება,
გამოიღვიძა ბუნებამ,
სამეჯლისოდ ემზადება.

3. იადონი ველს გაჰკივის,
ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,
ვარდს ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქერი,
მოცელქობს და მონავარდობს.

5. დღით მზე ნათობს, ღამით - მთვარე,
დღე ღამეს ცვლის, ღამე - დღესო!
თუ სიბნელე არ გინახავს,
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.

6. აწ, მშვიდობით მთვარე ვარსკვლავთ,
ქებათ-ქება მნათობ მზესო,
ვაშა, ვაშა ბუნების წესს,
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო.

სანოტო ტექსტი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წელი
ავტორები ნ. ქუმსიშვილი რ. ჯულახიძე ა. უშვერიძე

Score

# OVER THE RAINBOW

HARNOLD ARIEN

**Moderately, with expression**










13
some - where o - ver the rain - bow skies are blue,
13
mf
17
and the dreams that you dare to dream real-ly do come true. Some
17
21
day I'll wish up-on a star and wake up where the clouds are far be-hind me, where
21
mp


25
trou-bles melt like lem-on drops, a - way a-bove the chim-ney tops that's where you'll find me.
25
mf
29
Some - where o - ver the rain - bow blue - birds fly,
29
33
1.
birds fly o - ver the rain - bow, why then, oh why can't
33
mf


37
2.
I?
If
p
42
hap-py lit-tle blue-birds fly be-yond the rain-bow, why oh why can't I?
mp
pp

# სულიკო

მუსიკა ვ. წერეთლის
ლექსი ა წერეთლის




2. ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

3. სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

4. შეიფრთხიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

5. ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

სანოტო ტექსტი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წელი
ავტორები ნ. ქუმსიშვილი რ. ჯულახიძე ა. უშვერიძე

## საუკუნის სიმღერა



ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა

დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის ლექსებზე არაერთი შესანიშნავი სიმღერა შექმნილა. დღე,ს ერთი სიმღერის უჩვეულო თავგადასავალს გიამბობთ: ერთხელ, აკაკი წერეთელი ძლიერ ავად გახდა. არავის ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი. მთელი საქართველო წუხდა ამ ამბავს. მაგრამ მოხდა სასწაული: აკაკის მეგობარმა ქალმა, ვარინკა წერეთელმა, რომელსაც ძალიან უყვარდა სიმღერა, თვითონაც თხზავდა სიმღერებს და შესანიშნავად უკრავდა შვიდსიმიან გიტარაზე, გადაწყვიტა მოენახულებინა პოეტი. აკაკის ერთ-ერთ ლექსზე სიმღერა დაწერა და გიტარით ეწვია პოეტს, საწოლთან ჩამოუჯდა და ამღერდა.

ვარინკას გულშიჩამწვდომი სიმღერა წამლად მოეფინა აკაკის სულს და თვალი აუხილა პოეტს. აკაკი გამოჯანმრთელდა. მეორე დღეს მთელი საქართველო ზეიმობდა ამ ამბავს.

„სულიკოს“ ქართველი ხალხი უკვე საუკუნეზე მეტია, მღერის. „სულიკოს“ მღერიან მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ენაზე. ვარინკა წერეთელმა ეს სიმღერა 1895 წელს დაწერა. დღეს მას საუკუნის სიმღერას უწოდებენ.

## „ციცინათელას“ ავტორი



დავით ფაღავა

ინფორმაციას სიმღერა „ციცინათელას“ ავტორის, დავით ფაღავას შესახებ მისი ქალიშვილი, პედიატრი ბარბარე ფაღავა გვაწვდის. ცნობილი ექიმი დავით ფაღავა დიდად მუსიკალური პიროვნება ყოფილა. სწორედ მისი შეთხზულია გახალხურებული სიმღერა „ციცინათელა“. XX საუკუნის დასაწყისში ფირფიტაც კი გამოსულა დავით ფაღავას საავტორო სიმღერებით. მან ოთხწლედი ქუთაისში დაამთავრა და სწავლა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში განაგრძო. ცხოვრობდა ცნობილი ბუკინისტის — სოსიკო მერკვილაძის ოჯახში. იმ დროისთვის სოსიკოს სახლში ბევრ გამოჩენილ ადამიანს უცხოვრია, მათ შორის, აკაკი წერეთელსაც. ისინი მალე დამეგობრებულან. გიმნაზისტი ფაღავა ყველგან თან ახლდა მგოსანს: დუქანში, მწერლებთან შეკრებაზე. აკაკის ხშირად სტუმრობდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. სწორედ აქ მოისმინა დავითმა აკაკის ლექსები პირველად და გადაგდებული ან დაწუნებული ფურცლებისგან „წიგნიც“ კი შეკრა. ფაღავების ოჯახში დღესაც ინახება ეს წიგნი, რომელზედაც იოსებ გრიშაშვილს წაუწერია: „დათიკო ფაღავას საკუთრებაა“.

დავითი საუცხოოდ მღეროდა და თან მშვენიერ მელოდიებსაც თხზავდა: ერთხელ დავითს აკაკისთვის „ციცინათელა“ უმღერია. აკაკი სიმღერითაც და დავითის ნამღერითაც აღფრთოვანებულა. „ციცინათელა“ ყველას ხალხური ჰგონია, თუმცა, ეს ყველასათვის საყვარელი და პოპულარული სიმღერა დავით ფაღავას შეთხზულია..

# ჩემო ციცინათელა

მუსიკა დ. ფალავასი

ლექსი ა. წერეთლის




2. ანათებ და კარგი ხარ, მე თუმც არას მარგიხარ!...
ჩემი იყო, ის მინდა, შენ კი სხვისკენ გარბიხარ!...

3. ჩემო ციცინათელა, საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული, სხვა მოგატყუებს ყველა.

4. ჩემო ციცინათელა, სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ უდროოდ დამანელა!

სანოტო ტექსტი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წელი
ავტორები ნ. ქუმსიშვილი რ. ჯულახიძე ა. უშვერიძე

# Sing of Song of Sixpence

ინგლისური ხალხური სიმღერა

სანოტო ტექსტი ჩაწერა რ. ჯულაყიძემ




birds be-gan to sing. Oh,was not that a dain-ry dish to set be-fore the king.
The king was in his coun-thing hous coun-ting out his
mo-ney, The Queen was in the par-lour, eat-ing bread and ho-ney. The







სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა რ. ჯულაყიძემ

# KOMMET, IHR HIRTEN

T: Carl Riedel
M: Böhmen S: Hilger Schallehn









სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა ნ. ქუმსიშვილმა

Score

# ALL YOU NEED IS LOVE

John Lennon and Paul McCartney









10
All you need is love
13
all you need is love
16
all you need is love love love is all you need


love is all
19
love is all you need
19
you need love is all
20
love is all you need
20
you need love is all
21
21
Love is all you need




სანოტო ტექსტი ჩაწერა რ. ჯულაყიძემ

# გაზაფხული ლამაზო

ტექსტი: **ნუნუ კერესელიძის**
მუსიკა: **თამაზ გაბუნიასი**




გუ - შინ თი - თქოს ar - ცა ჩან - დი,
მო - სულ - ხარ და ა - ღარ ხუმ - რობ.
მისამღერი
რა ლა - მა - ზად ე - - შვე - ბი,
მო - ფრი - ნა - ვენ პე - პლე - ბი,
ი - ებს აბ - ნევ პე - შვე - ბით,
ყვა - ვი - ლე - ბის ეტ - ლე - ბით,


მლე - რი - ან ჩი - - - ტუ - - ნე - ბი,
გა - ზაფ - ხუ - ლო - - - ლა - - მა - ზო,
გი - ყუ - რებ ვი - - - ტრუ - - - - - ნე - - - -
არ გა - გი - შვებ ა - - - - - რას
8va
1.
ბი.
2.
დროს.
rit.

# გაზაფხულდა

1. კეთილ იყოს,კეთილ იყოს
შენი მოსვლა გაზაფხულო!
გუშინ თითქოს არცა ჩანდი,
მოსულხარ და აღარ ხუმრობ.

მისამღერი: რა ლამაზად ეშვები,
იებს ფანტავ პეშვებით,
მღერიან ჩიტუნები,
გიყურებ ვიტრუნები.

2. კეთილ იყოს,კეთილ იყოს
შენი მოსვლა გაზაფხულო!
გუშინ თითქოს არცა ჩანდი,
მოსულხარ და აღარ ხუმრობ.

მისამღერი: მოფრინავენ პეპლები,
ყვავილების ეტლებით.
გაზაფხულო ლამაზო,
არ გაგიშვებ არასდროს.

# ჭონა


I სოლისტი (მეჭონე)
ჭო - ნას ვი - ყავ
ჭო - ნა ვნა - ხე
სა-რგე - ბე-ლი
ვე - რა ვნა - ხე
(მეჭონეები)
ჭო - ნას ვი - ყავ
ჭო - ნა ვნა - ხე
სა-რგე - ბე-ლი
ვე - რა ვნა - ხე
(მეჭონე)
ა - ლა-თა-სა
ბა - ლა-თა-სა
ხე - ლი ჩა-ჰყავ
კა-ლა - თა-სა
(მეჭონეები)
ა-მო - ი-ღე
ო - რი კვე-რცხი
ღმე - რთი მოგ-ცემს
ბა-რა - ქა-სა

II სოლისტი (მასპინძელი)




(მეჭონეები)




სანოტო ტექსტი ჩაწერა ნ. ვალიშვილმა

# პროგრამა LMMS-ის გამოყენების ინსტრუქცია

LMMS პროგრამის გახსნის შემდგომ, პირველი, რასაც ვხედავთ, არის:




1 - მენიუს პანელი

2 - ხელსაწყოების პანელი (მარცხენა)

3 - ხელსაწყოების პანელი (მარჯვენა)

4 - გვერდითი პანელი

5 - ინტერფეისი

ინტერფეისში კი მოთავსებულია შემდეგი სამუშაო ფანჯრები:




1 - სიმღერის მარედაქტირებელი (Song Editor) - ფანჯარა, სადაც კომპოზიციის ყველა შემადგენელი ინსტრუმენტი თავსდება

2 - ბითის/ბასის მარედაქტირებელი (Beat + Bassline editor) - ფანჯარა, სადაც ხდება დასარტყამი ინსტრუმენტებისა და ბასის აწყობა

3 - ეფექტები და მიქსერი (FX Mixer) - ფანჯარა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვაკონტროლოთ თითოეული ტრეკის ხმის სიძლიერე და დავამატოთ ეფექტები (რევერბეცარია, დილეი და ა.შ.)

4 - მაკონტროლებელი ფანჯარა, რომელიც ინახავს იმ მაკონტროლირებლების სიებს, რის მიხედვითაც თავად პროგრამა მუშაობს. ეს ფანჯარა შესაძლებელია გამორთოთ პროგრამის ჩართვისთანავე.

## ინსტრუმენტის სემპლის ჩატვირთვა

პროგრამის გახსნის შემდეგ, გვერდით პანელში მოვძებნოთ და დავაწკაპოთ “My Samples” ღილაკს, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:  . ამის შემდეგ გამოჩნდება პანელი, სადაც მოცემულია ფოლდერები კატეგორიების მიხედვით. ფოლდერების მარცხენა მხარეს მოცემულ + ნიშანზე დაკლიკებით ჩამოშლით სემპლების ჩამონათვალს. იმისთვის, რომ სემპლი მარედაქტირებელ ფანჯარაში მოვათავსოთ, საჭიროა მასზე ორჯერ დავაწკაპოთ. თუ სემპლის ადგილზე მოსმენა გვსურს, დავაკლიკოთ და არ მოვხსნათ მანამ, სანამ არ გავიგებთ ხმას.

ჩამონათვალში მოცემულ სემპლზე (bass01.ogg) ორი წკაპის შემდეგ, ბითის მარედაქტირებელ ფანჯარაში მანამდე ავტომატურად მოცემულ Kicker ტრეკის ქვემოთ გამოჩნდება ახალი ტრეკი სემპლის სახელით - bass01.ogg.




იმისათვის, რომ ახალ ტრეკზე ჩავწეროთ მელოდია (ამ შემთხვევაში მელოდია, რადგან ბასი გვაქვს დამატებული), დავაკლიკოთ ტრეკის სახელის გასწვრივ მოცემული ნაცრისფერი მართკუთხედებიდან პირველივეს, რის შედეგადაც გაიხსნება პიანო ფანჯარა (Piano roll).




პიანო ფანჯარაში მარცხენა მხარეს მოცემულია ფორტეპიანოს განლაგება, რომლის თითოეული ნოტის გასწვრივ დაკლიკებისასაც მივიღებთ იგივე სიმაღლის ბგერას, რაც ფორტეპიანოზეა გამოსახული. ამრიგად, თქვენ შეგიძლიათ მაუსის სხვადასხვა გრაფებში დაკლიკებით ააწყოთ ნებისმიერი მელოდია. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ ფანჯარაზე გამოსახულია დო ნოტი (ყვითლად შემოხაზული არეა).



ზემოთ მოცემულ პიანო ფანჯარაზე მონიშნული ღილაკების განმარტება:

1 შედგენილი მელოდიის დაკვრა

2 დაკვრის შეჩერება

3 ახალი ნოტების შესაქმნელი ხელსაწყო

4 მოცემული ნოტების წასაშლელი ხელსაწყო

შესაძლებელია მოცემული სემპლების გადაადგილება და ხანგრძლიობის გაზრდა. გადასაადგილებლად უბრალოდ დააწკაპეთ მასზე და მაუსის აშვების გარეშე გადააადგილეთ. ხანგრძლიობის გასაზრდელად/შესამცირებლად კი სემპლის მარჯვენა კუთხეში მიიტანეთ კურსორი და როდესაც მას ორივე მხარეს ისრები გაუჩნდება, დააწკაპეთ სემპლს და გააცურეთ მარჯვნივ ან მარცხნივ. რაც უფრო მოკლეა სემპლი, მით უფრო მოკლეა მისი ხანგრძლიობაც.

თუ გვსურს დამატებული ტრეკის პროექტიდან წაშლა, დავაწკაპოთ ტრეკის მარცხნივ მოცემულ ფიფქზე. გამოჩნდება პატარა ფანჯარა, სადაც მოვნიშნავთ „Remove this track”. ტრეკის წაშლის მეთოდი არის იგივე ორივე - ბითისა და სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯრებში.




მელოდიის/დასარტყამი პარტიის შექმნის შემდეგ, სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯარაში მოძებნეთ Beat/Bassline ტრეკი და მის გასწვრივ, მართკუთხედზე დაკლიკებით გადმოიტანეთ შექმნილი მელოდია სიმღერის მარედაქტირებელში. მართკუთხედი გამწვანდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი შექმნილი მელოდია განთავსდა სიმღერის მარედაქტირებელში, სადაც კომპოზიციის ყველა შემადგენელი თავსდება.




### აუდიოფაილის იმპორტი

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს, რომ პროგრამაში შემოვიტანოთ წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილი, უნდა დავუბრუნდეთ სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯარას, სადაც Sample track არის მოთავსებული. ეს არის ის ტრეკი, რომელსაც შეუძლია უკვე ჩაწერილი აუდიო ფაილის აჟღერება.

Sample track-ის გასწვრივ მოცემული ნაცრისფერი მართკუთხედებიდან პირველივეზე დაკლიკების შემთხვევაში გამოჩნდება ახალი ფანჯარა, რომლის მარცხენა მხარეს მოცემულია იმ ადგილმდებარეობების ჩამონათვალი, საიდანაც შეგიძლიათ, რომ წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილის იმპორტი (პროექტში შემოტანა) გააკეთოთ. დავუშვათ, მოცემული აუდიოფაილი დესკტოპზე გაქვთ შენახული, დააწკაპეთ Desktop-ს, მოძებნეთ ფაილი და ორჯერ დააწკაპეთ მას. ამის შემდგომ, Sample track-ის გასწვრივ, ნაცრისფერი მართკუთხედების ნაცვლად გაჩნდება აუდიოფაილი, ბგერის ტალღის გამოსახულებით.



სიმღერის მარედაქტირებელი ფანჯრის ღილაკების ზოგადი მიმოხილვა:




1 ფანჯარაში მოცემული ტრეკების ერთიანად დაკვრა

2 დაკვრის შეჩერება

3 ბით/ბას ტრეკის დამატება

4 სემპლ ტრეკის (წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილისთვის) დამატება

5 აუტომაციის ტრეკის დამატება (ამ ტრეკით შესაძლებელია ნებისმიერი პარამეტრის ავტომატური მართვა. მაგალითად, ხმის სიძლიერის ცვლა წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლების მიხედვით)

6 Solo/Mute ფუნქცია. თუ მწვანე ნაწილს დააკლიკებთ და ორივე მართკუთხედი ნაცრისფერია, ეს Mute ფუნქციაა და ამ დროს ტრეკი გათიშულია მთლიანი პროექტის დაკვრის დროს. თუ მარჯვენა მართკუთხედს დავაკლიკებთ, ის ნარინჯისფერი გახდება, ამ დროს ყველა სხვა დანარჩენი ტრეკი გამოირთვება და მხოლოდ ამ კონკრეტულ ტრეკს მოისმენთ. ამას Solo ფუნქცია ეწოდება.

## აუდიოფაილის ექსპორტი

მუშაობის დასრულების შემდგომ, თქვენ შეგიძლიათ ყველა ის ინსტრუმენტი, რომლითაც შექმენით კომპოზიცია შეკრიბოთ და ერთიანად დააექსპორტოთ, ერთ აუდიოფაილში.

ამისათვის მენიუს პანელში დააწკაპეთ Project და შემდეგ Export. გამოჩნდება ფანჯარა, რომელიც, ისევე როგორც აუდიოფაილის იმპორტის დროს, მარცხნივ გიჩვენებთ ადგილმდებარეობების ჩამონათვალს, სადაც შეგიძლიათ შეინახოთ დაექსპორტებული აუდიოფაილი. ადგილის შერჩევის შემდგომ, იგივე ფანჯარაში File name-ის გასწვრივ ველში

Untitled.wav-ის ნაცვლად შეგიძლიათ მიუთითოთ ფაილის თქვენთვის სასურველი სახელი და დააწკაპოთ Save-ს.




ამის შემდეგ, გამოჩნდება ფანჯარა, სადაც მოცემულია ინფორმაცია აუდიოფაილის შესახებ. დააწკაპეთ Start-ს და აუდიოფაილი დაექსპორტდება




File
Edit
View
Transport
Tracks
Generate
Effect
Analyze
Help


File
Edit
View
Transport
Tracks
Generate
Effect
An
New Ctrl+N
Open... Ctrl+O
Recent Files
Close Ctrl+W
Save Project Ctrl+S
Save Project As...
Save Compressed Copy of Project...
Check Dependencies...
Edit Metadata...
Import
Export Audio... Ctrl+Shift+E
Export Selected Audio...
Export Labels...
Export Multiple... Ctrl+Shift+L
Export MIDI...
Apply Chain...
Edit Chains...
Page Setup...
Print...
Exit Ctrl+Q


Select one or more audio files...
Look in:
Downloads
Name
#
Title
Contributin...
Album
Quick access
Desktop
Libraries
This PC
Network
Qartuli_xmebi...
recv
Kurzweil-K20...
freewavesa...
Qartuli_xmebi...
4
Sadgegrdzelo
Qartuli xme...
www.alazani....
File name:
Files of type:
WAV, AIFF, and other uncompressed types
Open
Cancel


Select one or more audio files...
Look in:
Downloads
Quick access
Desktop
Libraries
This PC
Network
Name
#
Title
Contributin...
Album
Qartuli_xmebi...
recv
Kurzweil-K20...
freewavesa...
Qartuli_xmebi...
4
Sadgegrdzelo
Qartuli xme...
www.alazani....
File name:
Qartuli_xmebi_-_Sadgegrdzelo
Files of type:
WAV, AIFF, and other uncompressed types
Open
Cancel












File Edit View Transport Tracks Generate Effect An
New Ctrl+N
Open... Ctrl+O
Recent Files
Close Ctrl+W
Save Project Ctrl+S
Save Project As...
Save Compressed Copy of Project...
Check Dependencies...
Edit Metadata...
Import
Export Audio... Ctrl+Shift+E
Export Selected Audio...
Export Labels...
Export Multiple... Ctrl+Shift+L
Export MIDI...
Apply Chain...
Edit Chains...
Page Setup...
Print...
Exit Ctrl+Q


Export Audio
Save in: Downloads
Name
#
Title
Contributin...
Album
Qartuli_xmebi...
recv
Kurzweil-K20...
freewavesa...
Qartuli_xmebi... 4 Sadgegrdzelo Qartuli xme... www.alazani....
Quick access
Desktop
Libraries
This PC
Network
File name: Qartuli_xmebi_-_Sadgegrdzelo
Save as type: WAV (Microsoft) signed 16 bit PCM
Save
Cancel
Options...

**ყოველი მუსიკალური ფრაგმენტი თუ ხმა, რითაც პროგრამა LMMS-ში შექმნილია პროექტები, მოთავსებულია საგაკვეთილო ფაილებშიც.**

**გაკვეთილი 1**

ი.ს.ბახი. პრელუდია №1 – დო მაჟორი. „კარგად ტემპერირებული კლავირი", ტ.1
ი.ს.ბახი. პრელუდია №2 – დო მინორი. „კარგად ტემპერირებული კლავირი", ტ.1

**გაკვეთილი 2-3**

ქართული ხალხური სიმღერა „მუხა წონწილებს" (მესხური)
ქართული ხალხური სიმღერა „თუშური" (ლელა თათარაიძის შესრულებით)
ქართული ხალხური სიმღერა „ბულბულსტვენა" (იმერული)
თოფის გასროლის ხმა
ლ. ვ. ბეთჰოვენი. სიმფონია N6, „პასტორალური"
„გაზაფხული" (ქალაქური სიმღერა)
ვ.ა.მოცარტი. Ave verum corpus

**გაკვეთილი 4**

ქართული ხალხური სიმღერა „კიკოლიკო-ზალიკო" (იმერული)
ქართული ხალხური სიმღერა „კალოსპირული" (კახური)
ქართული ხალხური სიმღერა „გაგნისა გორსა" (თუშური)
ქართული ხალხური სიმღერა „ქართლური მაყრული"
ქართული ხალხური სიმღერა „შავი შაშვი" (გურული)
ქართული ხალხური სიმღერა „ხვარამზე" (თუშური)

**გაკვეთილი 5**

ქართული ხალხური სიმღერა „ოროველა" (კახური)
ქართული ხალხური სიმღერა „სიქოულზატა" (მეგრული)
ქართული ხალხური სიმღერა „იმერული მგზავრული"

**გაკვეთილი 6**

პ.ჩაიკოვსკი. ბალეტი „გედების ტბა"- ოდეტას თემა (ორი ვარიანტი)
პ.ჩაიკოვსკი. ბალეტი „გედების ტბა" – ცეკვები: ესპანური, იტალიური (ნეაპოლური), უნგრული, პოლონური (მაზურკა).

**გაკვეთილი 7**

ი.სტრავინსკი. ბალეტი „ფასკუნჯი" – უკვდავი კაშჩეის, დატყვევებული მზეთუნახავისა და გამარჯვების თემები

**გაკვეთილი 8**

ე. გრიგი. „პერ გიუნტი". საორკესტრო სიუიტა №1 – „დილა"
ე. გრიგი. „პერ გიუნტი". საორკესტრო სიუიტა №1 – „მთის მეფის გამოქვაბულში"
ე. გრიგი. საფორტეპიანო პიესა „ჯუჯების მარში"

**გაკვეთილი 9**

პ. ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო პიესების კრებული „საბავშვო ალბომი" – „კუდიანი დედაბერი"
მ. მუსორგსკი. საფორტეპიანო სიუიტა „სურათები გამოფენიდან" – „ქოხი ქათმის ფეხებზე"

**გაკვეთილი 10**

პ.ჩაიკოვსკი.საფორტეპიანო პიესების კრებული „საბავშვო ალბომი" – „კუდიანი დედაბერი";
ა.ლიადოვი. სიმფონიური პოემა „კუდიანი დედაბერი".

**გაკვეთილი 11**

პროკოფიევი. სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“

**გაკვეთილი 12-13**

ა. ლიადოვი. სომფონიური პოემა „კიკიმორა“;

**გაკვეთილი 14**

ს. პროკოფიევი. ბალეტი „კონკია“ – „ზამთრის ფერიის ცეკვა“

ჯ. გერშვინი. სიმფონიური პიესა „ამერიკელი პარიზში“.

**გაკვეთილი 15-16**

ს. პროკოფიევი. ბალეტი „კონკია“ – ვიდეოფრაგმენტები

**გაკვეთილი 17**

ს. პროკოფიევი. ბალეტი „კონკია“ – „ფერია-წელიწადი“; „ფერიები“ : „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“; „კონკიას მეჯლისზე გაცილების სცენა“

**გაკვეთილი 18-19**

ე. ჰუმპერდინგი. ოპერა „ჰენზელი და გრეტელი“ – ფრაგმენტი

ვ. ა. მოცარტი. „ჯადოსნური ფლეიტა“: უვერტიურა; ტამინოს არია; პაპაგენოს არია „ეს ჟღერს ნათლად“; ღამის დედოფლის არია; პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი

**გაკვეთილი 21**

გერმანული საბავშვო სიმღერა „პატარა ვაშლის გულში“

**გაკვეთილი 24**

მ. რაველი. საორკესტრო სიუიტა „დედა ბატი“

მ. რაველი. საფორტეპიანო ციკლი „ღამის გასპარი“ – „უნდინა“

მ. რაველი. საფორტეპიანო ციკლი „ღამის გასპარი“ – „სკარბო“,

**გაკვეთილი 25**

მ. რაველი. საორკესტრო სიუიტა  „დედა ბატი“: „მზეთუნახავისა და ურჩხულის დიალოგი“; „ზღაპრული ბაღი“

**გაკვეთილი 26**

კ. დებიუსი. საორკესტრო პრელუდი „ფავნის დასვენება ნაშუადღევს“ – ფრაგმენტი

კ. დებიუსი. საფორტეპიანო პიესების ციკლი „საბავშვო კუთხე“:„გოლივოგის ქეიქუოქი“, „პატარა ზანგი“.

**გაკვეთილი 27**

ა. სკრიაბინი. სამი პრელუდია

ი. სტრავინსკი. ბალეტი „ფასკუნჯი“ – ფრაგმენტი

მ. რაველი. სიუიტა „დედა ბატი“ - „მზეთუნახავისა და ურჩხულის“ დიალოგი“

ს. პროკოფიევი. ბალეტი „კონკია“-ვალსი

**გაკვეთილი 28-29**

მ. რაველი. „უნდინა“,

პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა“-ფერია დრაჟეს ცეკვა

ო. რესპიგი. „რომის ფიჭვები“

მ. რაველი. „სკარბო“

კ. დებიუსი. „ფოერვერკი“ (საფორტეპიანო პრელუდიები. რვეული 2)

მ. რაველი. „ზღაპრული ბაღი“

**გაკვეთილი 30-31**

აუდიოჩანაწერი –  ვინდოუსისა და მობილურის ტექნიკური ხმები.

**გაკვეთილი 32-33**

აუდიოჩანაწერი – McBook-ისა და iPhone-ს ხმები

**გაკვეთილი 34-35**

ლუპის ხმოვანი ნიმუშები.

ჯ. პლატო – ფენაკისტისკოპი

**გაკვეთილი 36-37**

ელექტრონული მუსიკა:

კომპოზიცია IC122 (სანდრო თავართქილაძე)

Early Morning, I'm Alright, Toke (თორნიკე ნიკოლაიშვილი)

Lost Mood, Micro Bax (ბაქი ლორთქიფანიძე) – Walter

რატის კომპოზიცია - Have A Nice Flight

რატის კომპოზიცია - "მეორეული"

**გაკვეთილი 38-39**

ქართული ხალხური სიმღერა „მამლი მუხასა"

ქართული ხალხური სიმღერა „შინა ვორგილ"

ქართული ხალხური სიმღერა „ჩიტის ნალი მიპოვნია"

Windows-ის ხმოვანი სქემა

**გაკვეთილი 40**

ჩ.ჩაპლინი. ფილმი „ახალი დროება" – ფრაგმენტები

მ. ჯექსონი. Smile („ღიმილი").

**გაკვეთილი 41-42**

ჩ.ჩაპლინი. ფილმი „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" – ფრაგმენტები

**გაკვეთილი 43**

ჩ.ჩაპლინი. ფილმი „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" – ფრაგმენტები

რ.ლაღიძე. სიმფონიური სურათი „საჭიდაო".

მუსიკა კინოფილმიდან „ყვავილი თოვლზე"

**გაკვეთილი 44-45**

ჩ. ჩაპლინი. ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება"-ფრაგმენტები

ი. შტრაუსი. „რადეცკის მარში"

ფ. ლისტი. „უნგრულ რაფსოდია" №6

რ. ვაგნერი. ოპერა „ლოენგრინი" – საქორწილო მარში

ფ. შუბერტი სერენადა.

**გაკვეთილი 46**

ვ.ა.მოცარტი. ვარიაციები. დო მაჟორი

ფრაგმენტი მ. კობახიძის კინოფილმიდან „ქოლგა"

**გაკვეთილი 47**

ბ. ფილსი. სიმღერა „Sclafe, mein Prinzchen" ფ. ვ. გოთერის სპექტაკლისათვის „ესთერი".

ლ. ვ. ბეთჰოვენი.სიმღერა „ზაზუნა"

**გაკვეთილი 48-49**

ე. გრიგი. „პერ გიუნტი",  საორკესტრო სიუიტა №1, №2 პიესები: „დილა", „ოზეს სიკვდილი", „ანიტრას ცეკვა", „მთის მეფის გამოქვაბულში", „სოლვეიგის სიმღერა"

**გაკვეთილი 50-51**

ფრაგმენტები სპექტაკლიდან „ჭინჭრაქა"

**გაკვეთილი 52-53**

ვიდეოფრაგმენტები სპექტაკლებიდან: „კავკასიური ცარცის წრე“, „ჯინსების თაობა“, „ბაკულას ღორები“, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“

**გაკვეთილი 54**

ჯ.ლუისის პანტომიმა ლ. ანდერსონის საორკესტრო ნაწარმოების „საბეჭდი მანქანის“ მიხედვით

მ.მარსო. პანტომიმა „პეპლებზე ნადირობის ხმა“

მ.მარსო. პანტომიმა დებიუსის „მთვარის შუქი“

**გაკვეთილი 56-57**

კ. დებიუსი. „მთვარის შუქი“

ფ. შუბერტი. „სერენადა“

ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“ – ტრიუმფალური მარში

მ. რაველი. ბალეტი „დაფნისი და ქლოა“- მზის ამოსვლის სცენა

ს. პროკოფიევი. სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“ – ფრაგმენტები

კ. სენ-სანსი. სიუიტა ორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ცხოველთა კარნავალი“ – პიესები: „ლომის სამეფო მარში“, „კენგურუები“, „გრძელყურა ვირები“, „ჩიტები“, „სპილო“, „დედლები და მამლები“, „გუგული უღრან ტყეში“.

**გაკვეთილი 58**

რ. ატკინსონი. პანტომიმა „უჩინარი დოლი“ (*Invisbledrum*).

ჯ. ლუისის პანტომიმა „დირიჟორი“ კინოფილმიდან „პორტიე“ (Bellboy _ Conducting).

**გაკვეთილი 59**

ქართული ხალხური საკრავების აუდიოჩანაწერები: სალამური, დოლი, გუდასტვირი, ჭიანური, ჩონგური, ფანდური, ჩანგი.

**გაკვეთილი 60**

ქართული ხალხური საკრავების აუდიოჩანაწერები: სალამური, გუდასტვირი, ჩონგური, ქართული გარმონი.

გურული სიმღერა „დილა“

**გაკვეთილი 61-62**

ინდური მუსიკა, რაგა რავი შანკარისა და ანოუშკა შანკარის შესრულებით.

მელოდიები ინდური საკრავების შესრულებით

**გაკვეთილი 63**

სხვადასხვა ქვეყნების ხალხური საკრავების აუდიოჩანაწერები: რანადი, შოტლანდიური გუდასტვირი, ბანსური, სიტარი, დულციმერი, გონგი, დიჯერიდუ.

დულციმერზე შესრულებული სიმღერა Somewhere Over The Rainbow.

**გაკვეთილი 64**

სხვადასხვა ქვეყნების ხალხური საკრავების აუდიოჩანაწერები: ალპური საყვირი, ბანჯო, ინდური საკრავები.

სიმღერა ბანჯოს თანხლებით

**გაკვეთილი 65-66**

მოკლემეტრაჟიანი ფილმი ინდური საკრავების შესახებ

ჩინური ინსტრუმენტი გუჯენგი – აუდიოჩანაწერი

იაპონური საკრავების: ტაიკო, რუტეკი, ჰიტირიკს-ფლეიტა, ტუჩის გარმონი-აუდიოჩანაწერები.

**გაკვეთილი 67**

სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ საკრავების აუდიოჩანაწერები: ალპური საყვირი, ბანჯო, ექტარა, გუჯენ, ტაიკო, რუტეკი

**გაკვეთილი 68**

სხვადასხვა ქვეყნის საკრავების აუდიოჩანაწერები; მარაკასი, ოცარინა, კასტანეტები, ოკულელე, გიტარა.

## ა

**ადაჯიო** ((იტალ. adagio) – მუსიკალური ნაწარმოების ნელი ტემპი.

**აკაპელა** (იტალ. acappella) – სიმღერა თანხლების გარეშე.

**აკომპანემენტი** – ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდიის მუსიკალური თანხლება.

**აკორდი** – ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა.

**ალეგრეტო** (იტალ. allegretto) – მუსიკალური ნაწარმოების ცოცხალი ტემპი, მაგრამ შედარებით ნელი, ვიდრე ალეგრო.

**ალეგრო** (იტალ. allegro) – მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი.

**ალტი** – ქალის ან ბავშვის სასიმღერო დაბალი ხმა.

**ანდანტე** (იტალ. andante) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, მშვიდი ტემპი.

**აპლოდისმენტი** (ფრანგ. სიტყვა) – მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით. ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა წარმოდგენაზე (თეატრში, კონცერტზე, ცირკში). აპლოდისმენტებს, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს შეძახილები (ოვაციები) „ბრავო“, „ბრავისიმო“, რაც იტალიურად ნიშნავს „შესანიშნავია“.

**აპოთეოზი** – რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება; სპექტაკლის ან კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა.

**აფიშა** – მიზნად ისახავს, შეატყობინოს მაყურებელს, თუ სად, როდის, რა სანახაობა გაიმართება. არსებობს აფიშა-პროგრამები და ე.წ. მოკლე ფურცლები.

**აჩელერანდო** – (იტალ. accelerando) – მუსიკაში ტემპის აჩქარება.

## ბ

**ბაგატელი** – (ფრანგ. პატარა, დახვეწილი ნივთი) მცირე ზომის, მსუბუქი მუსიკალური პიესაა ფორტეპიანოსათვის.

**ბალეტი** – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი გმირები ცეკვავენ ორკესტრის თანხლებით და ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს.

**ბანი** – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**ბარიტონი** – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.

**ბეკარი** – ნიშანი, რომელიც აბათილებს დიეზს და ბემოლს.

**ბემოლი** – ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერას ნახევარი ტონით ქვემოთ.

**ბის!** – მაყურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს გარკვეული ნომრის გამეორების თხოვნას.

**ბრენდი** (ინგლ. brendy) – სახელის, სიტყვის, სიმბოლოსა და დიზაინის ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ პროდუქციას და განასხვავებს სხვებისგან. თითოეულ ბრენდს კონკრეტული ინდივიდუალური ღირებულება აქვს.

## გ

**გამა-** ერთი ან რამოდენიმე ოქტავის ფარგლებში ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობაა.

**გასტროლი** (გერმ. „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.

**გუნდი** – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა).

## დ

**დიეზი** – ნიშანი, რომელიც ბგერას ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.

**დიმინუენდო** (იტალ. diminuendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან შესუსტება.

**დირიჟორი** – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.

**დისკანტი** – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.

**დუეტი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ე

**ელექტრონული მუსიკა –** ასე უწოდებენ ელექტრონული მუსიკალური საკრავებით, ასევე სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით შექმნილ მუსიკას. მათ შორისაა სინთეზატორი და კომპიუტერიც.

**ეტიუდი** – პიესა, რომლის შესწავლა და შესრულება მიზნად ისახავს შემსრულებლის დაოსტატებას.

ვ

**ვალსი** – ძველებური გერმანულ-ავსტრიული წყვილთა ცეკვა, რომელიც თანამედროვეობაშიც პოპულარულია. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4, იშვიათად, 3/8 ან 6/8.

**ვირტუოზი** – ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას.

**ვოკალური მუსიკა** – ადამიანის ხმით შესრულებული მუსიკა

**ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა** – მუსიკა, რომელიც ადამიანის ხმითა და მუსიკალური საკრავებით სრულდება.

ი

**იმიტირება** – მიბაძვა.

**ინსტრუმენტული მუსიკა** – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

**ინტერვალი** (ლათ. Intervallum – მანძილი, შუალედი). მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი შემავალი საფეხურების რაოდენობას. ინტერვალის შესახებ ვსვამთ ორ კითხვას: მერამდენე საფეხურია ფუძიდან მწვერვალი და რამდენი ტონია მათ შორის.

**ინტონაცია** – მუსიკალური აზრის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც რამდენიმე ბგერისაგან შედგება და ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს.

**იოდლი** – შვეიცარულ სიმღერებში „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმა.

კ

**კანონი** (ბერძნ. kanon – წესი) – პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკის სახეობაა, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში რამდენიმე ტაქტის დაგვიანებით იწყება. კანონი შეიძლება იყოს ორხმიანი, სამხმიანი და მეტხმიანი.

**კანტატა** (იტალ. cantare სიმღერა) – რამდენიმე ნომრისგან შემდგარი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, უფრო მცირე ზომის, ვიდრე ორატორია. შინაარსის მიხედვით, მკაფიოდ განასხვავებენ სასულიერო და საერო კანტატებს.

**კარნავალი** – სახალხო დღესასწაული ნიღბებით.

**კვარტეტი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ოთხი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

**კილო** – მუსიკალურ ბგერებს შორის გარკვეული დამოკიდებულება, ურთიერთკავშირი. ყველა მელოდია აგებულია გარკვეული კილოს საფუძველზე.

**კლავიატურა** – თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა კლავიშიან საკრავებზე (ფორტეპიანო, როიალი, კლავესინი და ა. შ.)

**კომპოზიტორი** – ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის.

**კოლაჟი –** საკუთარი ან სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტისაგან აწყობილი ერთგვარი კომპოზიცია. კოლაჟის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხმითაც.

**კონკურსი** – სხვადასხვა დარგში გამართული შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა.

**კონტრალტო** (ან ალტი) – ქალის დაბალი სასიმღერო ხმა.

**კონტრაპუნქტი** (ნიშნავს ნოტი ნოტის წინ, წერტილი წერტილის წინ) – რამდენიმე დამოუკიდებელი მუსიკალური აზრის შერწყმა, პოლიფონიური მუსიკის შექმნის ერთ-ერთი ხერხი.

**კონტრდანსი** – ინგლისური ხალხური ცეკვა. ამ ცეკვიდან წარმოიშვა სხვა ინგლისური და, ნაწილობრივ, ფრანგული ცეკვებიც.

**კონცერტი** (იტალ. concerto, შეთანხმება; ლათ. concertare შეჯიბრი) – 1. მუსიკის სახალხო შესრულება. 2. დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ერთ ან რამდენიმე სოლო ინსტრუმენტზე, ორკესტრის თანხლებით.

**კრეშჩენდო** (იტალ. crescendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან გაძლიერება.

**კრიმანჭული** – გამანჭულ კრინს ნიშნავს; გურულ სიმღერაში მამაკაცის ყველაზე მაღალი ხმაა, ახასიათებს ბგერიდან ბგერაზე სწრაფი მოქნილი მოძრაობა.

## ლ

**ლაიტმოტივი** (გერმ. leitmotiv – წამყვანი მოტივი) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას, დროდადრო მეორდება. გვხვდება ოპერებში, ბალეტებში და პროგრამულ მუსიკაში.

**ლეგატო** (იტალ. legato) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

**ლეზგინკა** – კავკასიელი ხალხების – ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვა.

**ლეიბლი** (ინგლ. Label – ქაღალდის ეტიკეტი). ხმისჩამწერი ლეიბლი (Record label), ან უბრალოდ, ლეიბლი – ამა თუ იმ კომპანიის მიერ შექმნილი ბრენდი ან სავაჭრო ნიშანი, რომელიც აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოებით, გავრცელებითა და პოპულარიზაციით არის დაკავებული.

**ლენდლერი** – ავსტრიულ-გერმანული ხალხური ცეკვა.

**ლოტბარი** – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

## მ

**მაზურკა** – პოლონური ცეკვა. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4.

**მაჟორი** (ფრანგ. majeur – დიდი) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხნე, მხიარული ელფერი.

**მარში** (ფრანგ. marche სიარული, წინსვლა) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სამხედრო, სპორტული და სამგლოვიარო მარშები.

**მელოდია** (ბერძნ. melodia - მღერა, ჰანგი) – ბგერების თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

**მენუეტი** – ძველებური ფრანგული ცეკვა.

**მეტრი** (ბერძნ. metron ზომა) – რიტმულ სურათში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

**მეცო სოპრანო** – ქალის საშუალო სასიმღერო ხმა.

**მინორი** (ფრანგ. mineur – პატარა) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი, სევდიანი ელფერი.

**მოდერატო** (იტალ. moderato) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, თავშეკავებული ტემპი, ანდანტესა და ალეგროს შორის.

**მუსიკალური თემა** – მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

## ნ

**ნაწარმოები** – ნებისმიერი მუსიკალური თხზულება.

**ნოტები** – ბგერის სიმაღლისა და ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ნიშნები.

**ნევმები** – მუსიკალური ბგერების აღმნიშვნელი, ნოტების წინამორბედი ნიშნები. აჩვენებდა მელოდიის მიმართულებას, არ იყო განსაზღვრული არც ბგერის სიმაღლე, არც მისი გაჟღერების ზუსტი დრო.

## ო

**ოპერა** – მუსიკალური სპექტაკლი, სადაც მომღერლები, ორკესტრის თანხლებით, შინაარსს სიმღერით გადმოსცემენ. ოპერაში, შესაძლებელია, საცეკვაო ნომრებიც იყოს ჩართული.

**ორატორია** (ლათ. oratorium – სამლოცველო) – ძირითადად, რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები მომღერალი სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

**ორკესტრი** – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკრავზე შეთანხმებულად უკრავს.

**ოსტინატო** (იტალ. ostinato – დაჟინებით, ჯიუტად) – რამდენიმე ბგერის ან რიტმული ფიგურაციის გამეორება.

**პ**

**პანტომიმა** (ბერძნ. pantomimos რაიმეს მიბაძვით განსახიერება) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

**პარტია** – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დაწერილი მუსიკა.

**პაუზა** – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით, ასეთი შეჩერების აღნიშვნა.

**პენტატონიკა** – ხუთი ბგერისაგან შემდგარი ჩინური კილო.

**პიანო** (იტალ. piano) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

**პიესა** – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

**პიციკატო** (იტალ. pizzicato) – სიმებიან-ხემიანი საკრავების სიმებზე თითის გამოკვრით დაკვრა.

**პოლკა** – ჩეხური ნაციონალური ცეკვა, რომელიც წყვილებში სრულდება. ცეკვის მუსიკალური ზომაა 2/4

**პოლიფონია** (ბერძნ. poly – მრავალი, phone – ხმა) – მრავალხმიანი მუსიკის ნაირსახეობაა, რომელიც აგებულია დამოუკიდებელი, თანაბარმნიშვნელოვანი ხმების ერთდროულ ჟღერადობაზე.

**პოლონეზი** – პოლონური წარმოშობის საზეიმო ცეკვა-სვლა, სრულდება ზომიერ ტემპში. პოლონეზით, ამაღლებული და სადღესასწაულო განწყობის შექმნისათვის, როგორც წესი, იწყებოდა მეჯლისები.

**პოპ-კულტურა** – პოპულარული, მასობრივი კულტურა. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმებია გასართობი ხასიათის ფილმები, მუსიკა, ტელევიზია, თამაშები და ა.შ.

**პოპური** (ფრანგ. სხვადასხვა საჭმლის შერევა) – მუსიკაში პოპულარული მუსიკალური თემების თანმიმდევრული შეწყობილი შესრულება.

**პორტამენტო** – იტალიური სიტყვაა (portamento) და გადატანას ნიშნავს. ეს არის შესრულების ხერხი, რომლის დროსაც ერთი ნოტი თანდათანობით, მოქნილად გადადის შემდეგი ნოტის სიმაღლეზე.

**პროგრამული მუსიკა** – ინსტრუმენტული მუსიკა, სადაც კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს წინაწარ განსაზღვრავს, – ზოგჯერ სათაურით, ზოგჯერ კი ლიტერატურული წინასიტყვაობით.

**პუბლიკა** – ხალხი, რომელიც კონცერტს ან რაიმე წარმოდგენას ესწრება.

**პიქტოგრამა** (ლათ. pictus – დახატული, ბერძნ. grapho – ვწერ) – პირობითი ნიშანი, ნახატი.

**ჟ**

**ჟანრი** – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა.

**ჟესტიკულაცია** – არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმაა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობებისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

**რ**

**რაგა** – კლასიკური ინდური მუსიკალური ფორმა.

**რეგისტრი** (ლათ. registrum– სია) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჯგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

**რიტენუტო** (იტალ. ritenuto) – მუსიკის ტემპის შენელება.

**რიტმი** – მუსიკაში გრძელი და მოკლე ბგერების, ანუ სხვადასხვა გრძლიობების მონაცვლეობა.

**ს**

**სამხმოვანება** – ტერციებად დალაგებული, სამი სხვადასხვა ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

**სიმფონია** (ბერძნ. symphonia – შეთანხმება, შეწყობა, კეთილხმოვანება) – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. სიმფონია რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება.

**სიმღერა** – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან.

**სინკოპა** – რიტმული დაჯგუფება, სადაც მახვილი (აქცენტი) ძლიერი დროიდან სუსტ დროზეა გადატანილი.

**სიუიტა** (ფრანგ. suite – თანმიმდევრობა) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე ნაწილს ან პიესას მოიცავს.

**სიუჟეტური მუსიკა** – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე ასახავს პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტეპიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით. ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა. შ.

**სკეტჩი** – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმაა.

**სოლისტი** (იტალ. solo ერთი, ერთადერთი) – შემსრულებელი, რომელიც ნაწარმოებს დამოუკიდებლად ასრულებს ან ნაწარმოებში სოლო პარტიის შემსრულებელი; მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი.

**სონატა** – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც იწერება ფორტეპიანოს ან რომელიმე სხვა საკრავისა და ფორტეპიანოსათვის; შედგება ერთი ან რამოდენიმე ნაწილისაგან.

**სოპრანო** – ქალის მაღალი სასიმღერო ხმა.

**სტაკატო** (იტალ. staccato) – წყვეტილად სიმღერა ან დაკვრა.

**სტილი** – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და გამომსახველობითი ხერხები.

**ტ**

**ტაქტი** – მუსიკალური ნაწარმოების მცირე მონაკვეთი ერთი ძლიერი დროდან მეორემდე, გამოიყოფა სანოტო სისტემის გადამკვეთი ვერტიკალური ხაზებით (ტაქტის ხაზი).

**ტემბრი** – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის ჟღერადობის შეფერილობა.

**ტემპი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

**ტენორი** – მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

**ტონალობა** – ტონალობა კილოს ბგერების ზუსტი სიმაღლებრივი განლაგება და მდებარეობაა.

**ტონიკა** – მოცემული კილოს ყველაზე მყარი, ძლიერი საფეხურია, რიგით პირველი. ტონიკისკენ მიიზიდებიან კილოს დანარჩენი საფეხურები. ტონიკას აღვნიშნავთ ასოთი T ან რომალური ციფრით I.

**ტრიო** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება სამი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

**ტრიუმფი** – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს უწყობდნენ; 2. დიდი წარმატებით, გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი.

**ტუში** – სადღესასწაულო ხასიათის მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ხშირად ჩასაბერი საკრავები ასრულებენ.

**უ**

**უვერტიურა** – ოპერის ან ბალეტის შესავალი, რომელშიც კომპოზიტორი მოკლედ მოუთხრობს მსმენელს ნაწარმოების შინაარსისა და გმირების შესახებ. უვერტიურას ორკესტრი ასრულებს. XIX საუკუნიდან გაჩნდა ე.წ. საკონცერტო უვერტიურები – და-

მოუკიდებელი საორკესტრო პიესები, რომელთაც ხშირად პროგრამული ხასიათი აქვთ.

**უნისონი** – (იტალ. unisono –ერთი ბგერა) – ერთი და იმავე სიმაღლეზე ორი ან რამოდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა.

## ფ

**ფაქტურა** (ლათ. factura დამზადება, დამუშავება, აგებულება) – მელოდიისა და თანხლების ერთობლიობა, ასევე, მრავალხმიან ნაწარმოებში ხმების ერთობლიობა; მუსიკალური მასალის გადმოცემის ხერხები, რომლებსაც კომპოზიტორები სხვადასხვაგვარად ამუშავებენ. ესენია: მელოდია, აკორდიკა, ფიგურაციები, ხმათასვლის ხერხები და ა.შ. ფაქტურის დასახასიათებლად ხშირად იყენებენ ასეთ განსაზღვრებებს: შემჭიდროვებული ფაქტურა, აკორდული ფაქტურა, გამჭვირვალე და ა.შ.

**ფენაკისტისკოპი** (ბერძნ. მატყურა (მაცდური) და ვუყურებ) – ლაბორატორიული ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მოძრავი ნახატების ჩვენებისთვის. იგი შექმნა 1832 წელს ბელგიელმა ფიზიკოსმა ჟოზეფ პლატომ.

**ფესტივალი** – ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკის, კინოს, თეატრის) მიღწევათა ჩვენება. ეწყობა პერიოდულად.

**ფინალი** (იტალ. finale – დასასრული) – ოპერის, ბალეტის, ასევე სონატის და სიმფონიის დასკვნითი ნაწილი.

**ფოლკლორი** (ინგლ. folklore ხალხური სიბრძნე) – ხალხური შემოქმედება, რომელიც მოიცავს მუსიკას, ცეკვას და ა. შ.

**ფორტე** (იტალ. forte) – ხმამაღლა სიმღერა ან დაკვრა.

**ფრაზა** – რამდენიმე მოტივისგან შემდგარი მუსიკალური ნაგებობა.

## ქ

**ქორალი** – საეკლესიო გალობა, სასულიერო მუსიკის სახეობა. ძირითადად, ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოები. არსებობს საორგანო და საფორტეპიანო ქორალები. (მაგ., იოჰან სებასტიან ბახის საორგანო ქორალები, რობერტ შუმანის საფორტეპიანო პიესა „ქორალი“).

**ქრონომეტრაჟი** – რაიმე პროცესების და მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

## ც

**ცეკვა** – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

**ციკლი** (ლათ. cyclus – წრე) – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

## ჯ

**ჯაზი** – პროფესიული მუსიკის სახეობა, რომელიც აფრო-ამერიკული ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა აშშ-ში.

## ჰ

**ჰანგი** – სიმღერა, მელოდია.

**ჰომოფონია** – მრავალმხმიანი მუსიკა, სადაც წამყვანია მელოდია, რომელსაც დანარჩენი ხმები თანხლებას უწევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. გარაყანიძე ე., ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. განათლების, კულტურის და სულიერების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“. თბ., 2011
2. ერქომაიშვილი ა., გზები, ადამიანები, სიმღერები. თბ., 2011
3. ქართული გალობა. ანთოლოგია. თბ., 2016
4. გოგებაშვილი ი., დედა ენა. გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2016
5. მარუაშვილი ლ., მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბ. 2016
6. Музыкальный энциклопедический словарь. Москва „Советская энциклопедия“.1990
7. Энциклопедический словарь юного музыканта. Москва „Педагогика”. 1985
8. Васина-Гроссман В., Книга о музыке и великих музыкантах. Изд. “Детская литература”. 1986
9. Nitsche Paul, Die Pfleger der Kinder-und Jugendstimme. Stimmbildung am Lied. BSchott’s Sohne. Mainz, 1970
10. Metzler. Komponisten Lexikon. Herausgegeben von Horst Weber. Verlag J. BMetzler Stuttgart. Weimar, 1992
11. სანოტო კრებული „ნანინა“, 2014 წელი, ავტ. ჯგუფი: ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, ა. უშვერიძე.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდებზე:

klio.ge
tskarostvali.ge

ISBN 978-9941-481-23-9







დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში